ევროკავშირი
საქართველოსთვის

ČENN

ოზურგეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია

(2024 – 2029 წწ)

მარტი 2024

მწვანე გურია - ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების
მხარდაჭერა ინკლუზიური და მდგრადი მწვანე ზრდისთვის

დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია CENN და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

1. მეთოდოლოგია 5
2. ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი – LAG 6
3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიმოხილვა 8
3.1 მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება 8
3.2 რელიეფი და ლანდშაფტი; ნიადაგსაფარი 9
3.3 ჰიდროგრაფიული ქსელი 10
3.4 კლიმატი 12
3.5 სტიქიური გეოლოგიური პროცესები 12
4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული და სოციალური მდგომარეობა 13
4.1 მოსახლეობა და დემოგრაფია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 13
4.2 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მდგომარეობა 14
5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის დარგის მიმოხილვა და ანალიზი 18
5.1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზოგადი სასოფლო-სამეურნეო პროფილი 18
5.2 სოფლის მეურნეობის დარგის SWOT-ანალიზი 19
6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის კვლევა 28
6.1 ბუნებრივი რესურსები და ძირითადი ტურისტული ღირებულებები 29
6.2 ბუნებრივი რესურსი და გარემო 29
6.3 შექმნილი (ხელოვნური) გარემო, ინფრასტრუქტურა 30
6.4 მასპინძლობა, ეკოტურისტული პროდუქტები და მომსახურების მიმწოდებლები 31
6.5 ტურისტული მოთხოვნა 32
6.5.1 საერთაშორისო და ეროვნული ტურისტული ბაზრები 32
6.5.2 ტურისტების სტატისტიკა 33
6.5.3 ძირითადი გამოწვევები და ტურისტული პროდუქტების განვითარების პოტენციალი ოზურგეთში 33
6.6 ტურისტული პოტენციალის SWOT-ანალიზი 34
6.7 რეკომენდაციები 38
7. ჯანდაცვა და სოციალური დაცვა 39
7.1 ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის დარგის SWOT-ანალიზი 46
7.2 რეკომენდაციები 47
8. ადგილობრივი ეკონომიკისა და მეწარმეობის განვითარება 47
8.1 ადგილობრივი ეკონომიკისა და მეწარმეობის განვითარების დარგის SWOT-ანალიზი 48
9. გარემოს დაცვა 51
9.1 გარემოს დაცვის დარგის SWOT-ანალიზი 52

10. განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდები 52
განათლება 53
10.1 განათლების მიმართულების SWOT-ანალიზი 56
10.2 რეკომენდაციები 58
ახალგაზრდები 58
10.3 ახალგაზრდების მიმართულების SWOT-ანალიზი 61
10.4 რეკომენდაციები 63
სპორტი 64
10.5 სპორტის მიმართულების SWOT-ანალიზი 66
10.6 რეკომენდაციები 66
11. კერძო და საჯარო სექტორებს შორის პარტნიორობის ჩამოყალიბება და კარგი მმართველობის მხარდაჭერა 67
11.1 საჯარო პარტნიორობისა და კარგი მმართველობის მიმართულების SWOT-ანალიზი 68
12. რეგიონული განვითარების პროექტების დაგეგმვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 70
12.1 სოფლის მეურნეობა 70
12.2 ტურიზმი 72
12.3 ჯანდაცვა და სოციალური დაცვა 73
12.4 ადგილობრივი ეკონომიკისა და მეწარმეობის განვითარება 74
12.5 გარემოს დაცვა 75
12.6 განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდები 76
12.7 კერძო და საჯარო სექტორებს შორის პარტნიორობის ჩამოყალიბება და კარგი მმართველობის მხარდაჭერა 77
13. მონიტორინგი და შეფასება 77
14. რეგიონული განვითარების პროექტების დაგეგმვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 78

1. მეთოდოლოგია

ადგილობრივი განვითარების სტრატეგია ეფუძნება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის ხედვას მუნიციპალიტეტის განვითარებასთან დაკავშირებით.

სტრატეგიის მთავარი მიზანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება, სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების შექმნა თანამონაწილეობრივი დაგეგმარების გზით. სტრატეგიის მოსალოდნელი შედეგებია: ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სიღარიბის დონის შემცირება, მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება და არსებული ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი გამოწვევების გადაჭრა.

სტრატეგიის შემუშავების მეთოდოლოგია ეფუძნება LEADER-მიდგომასა და პრინციპებს, რაც გულისხმობს სამუშაო პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის მრავალმხრივი ჩართვის უზრუნველყოფას, რათა უკეთ გამოიკვეთოს და შეფასდეს მისი საჭიროებები. ასეთი მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული ამოცანის სრულყოფილად შესრულების მიზნით სტრატეგიის შემუშავების პირველივე ეტაპზე ოზურგეთის ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფს ჩაუტარდა ინტენსიური ტრენინგები LEADER-პრინციპებზე დაფუძნებული ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავების მიმართულებით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია მოიცავს ანალიტიკურ და სტრატეგიულ ნაწილს, მათ შორის, მონიტორინგსა და შეფასებას. სტრატეგიის ანალიტიკური ნაწილი გულისხმობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რაოდენობრივ ანალიზს სხვადასხვა თემატური მიმართულებით. სტრატეგიის მომზადების პირველ ეტაპზე რაოდენობრივი ანალიზი განხორციელდა CENN-ისა და პროექტის პარტნიორი ორგანიზაციების მიერ („ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“, „დემოკრატიის ინსტიტუტი“ და „ქედის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი“) და მოიცავდა როგორც არსებული ლიტერატურის[1] მიმოხილვას, ასევე სხვადასხვა თემატურ თუ ფონურ კვლევას. მუნიციპალიტეტის რაოდენობრივი ანალიზის გამყარების მიზნით ჩატარდა თვისებრივი კვლევა და დარგების მიხედვით მომზადდა ე.წ. SWOT-ანალიზი სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლების აქტიური ჩართულობით. SWOT-ანალიზში დეტალურად არის განხილული მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული სფეროები, რის შედეგადაც გამოიკვეთა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სამოქმედო არეალი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის ანალიტიკურ ნაწილს საფუძვლად დაედო შემდეგი თემატური კვლევები:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული და სოციალური მდგომარეობა;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის საჭიროებები;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი.

სტრატეგიული ნაწილი მოიცავს ანალიტიკური ნაწილის გათვალისწინებით გამოკვეთილ თე-

[1] საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია – 2021-2027; საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი; საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პუბლიკაციები; სოციალური მომსახურების სააგენტოს პუბლიკაციები

მებსა და საჭიროებებს, რომლებიც შეთანხმებულია LAG-ის მმართველ საბჭოსთან, და რომელთა პრიორიტეტულობაც ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის სექტორულმა ჯგუფებმა აღიარეს.

2. ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი – LAG

ოზურგეთის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი – LAG – არის საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც შედგება კერძო, სამოქალაქო და საჯარო სექტორის წარმომადგენლებისაგან და ეფუძნება ნებაყოფლობითი წევრობის პრინციპს.

LAG-ის წევრობა, შემადგენლობა (ორგანიზაციული სტრუქტურა), შერჩევის პროცესი, როტაციის პოლიტიკა და სხვა ინსტიტუციური საკითხები რეგულირდება LAG-ის წესდების მიხედვით. წესდების თანახმად, LAG-ს მართავს თავმჯდომარე, რომელიც აკონტროლებს მის საქმიანობას. თავმჯდომარეს დახმარებას უწევს ორი თანათავმჯდომარე. თავმჯდომარესა და თანათავმჯდომარეებს LAG-ის წევრები ირჩევენ.

OZURGETI LAG | ოზურგეთის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი



LAG-ის საქმიანობა ემყარება LEADER-მიდგომის შვიდ ძირითად პრინციპს:

პროექტ „მწვანე გურიის“ ფარგლებში თანამონაწილეობრივი მიდგომის გზით განისაზღვრა LAG-ის ძირითადი მიზნები და ამოცანები, რის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ოზურგეთის LAG-ის ძირითადი მიზანია შემდეგი მიმართულებების ხელშეწყობა:

- ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება და მეწარმეობის მხარდაჭერა
- სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარება
- ტურიზმის განვითარება
- გარემოს დაცვა
- განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდები
- კერძო და საჯარო სექტორებს შორის პარტნიორობის ჩამოყალიბება და კარგი მმართველობის მხარდაჭერა

პროექტ „მწვანე გურიის“ ფარგლებში LAG ასრულებს შემდეგ ამოცანებს:

- განსაზღვრავს სოფლის განვითარებისათვის საჭირო პრიორიტეტებს მუნიციპალიტეტის შესაძლებლობებისა და გამოწვევების ანალიზის საფუძველზე;
- ადგილობრივი თემის მოსახლეობასთან კონსულტაციის შედეგად ავლენს მისი საცხოვრებელი გარემო პირობებით გამოწვეულ საჭიროებებს;
- ადგენს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიას (LDS) ეროვნული სტრატეგიების შესაბამისად;
- მოსახლეობას აწვდის სრულ და ყოვლისმომცველ ინფორმაციას ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შესახებ;
- ავრცელებს საზოგადოებაში ინფორმაციას საგრანტო განაცხადების წარდგენის ყველა პროცედურის შესახებ და განმარტავს მათ;
- კარგი მმართველობის პრაქტიკის დასანერგად და ხელშესაწყობად ქმნის ადგილობრივ საჯარო ინსტიტუტებთან ღია და გამჭვირვალე თანამშრომლობის მექანიზმებს.

ოზურგეთის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი თანამშრომლობს საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კერძო პირებთან.

მმართველმა საბჭომ, გენერალური ასამბლეის სექტორულ ჯგუფებთან ერთად, განსაზღვრა პრიორიტეტები და საბოლოოდ ჩამოაყალიბა ის მიმართულებები, რომელთა განვითარებაც უპასუხებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამოწვევებს და სრულად დააკმაყოფილებს მუნიციპალიტეტის საჭიროებებს.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიმოხილვა

3.1 მუნიციპალიტეტის ზოგადი დახასიათება

გურიის რეგიონი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს, შავ ზღვასა და მესხეთის ქედს შორის. გურიას სამხრეთიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ესაზღვრება, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – სამცხე-ჯავახეთის, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან – იმერეთის, ხოლო ჩრდილოეთიდან – სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონები. გურიის ფართობი 2,033 კმ²-ია, რაც ქვეყნის ტერიტორიის 2,9%-ია. გურიის რეგიონი ბუნებრივი პირობების მიხედვით ორ – ბარისა და მთის – ნაწილად იყოფა.

გურიის რეგიონში მოქმედებს სამი თვითმმართველი ერთეული: ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები. რეგიონულ დონეზე სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებას წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, რომლის ადმინისტრაცია ქ. ოზურგეთშია განთავსებული. ქ. ოზურგეთი დედაქალაქიდან 325 კმ-ით არის დაშორებული.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. მისი ფართობი შეადგენს 643,07 კმ²-ს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა, სამხრეთით – აჭარა-გურიის ქედი, მდინარე ჩოლოქი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, აღმოსავლეთით – ჩოხატაურის, ხოლო ჩრდილოეთით – ლანჩხუთის მუნიციპალიტეტები. ჰავა ხასიათდება სუბტროპიკული ნოტიო კლიმატით. ტენიანობას განაპირობებს შავი ზღვის სიახლოვე და აღმოსავლეთიდან გარშემორტყმული მაღალი ქედები. ტენიანობა განსაკუთრებით მაღალია ზაფხულში. ნალექების საშუალო წლიური ოდენობა შეადგენს 2,100-2,800 მმ-ს. ნალექების მაქსიმუმი სექტემბერში მოდის, მინიმუმი – მაისში. მუნიციპალიტეტი, რომლის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ოზურგეთი, 29 ტერიტორიული ერთეულისგან შედგება. ესენია: ქალაქი ოზურგეთი, ლაითური, ნარუჯა, ნასაკირალი, ურეკი, ასკანა, ბაილეთი, ბახვი, ბოხვაური, გურიანთა, დვაბზუ, ვაკიჯვარი, თხინვალი, კონჭკათი, ლიხაური, მაკვანეთი, მელექედური, მერია, მთისპირი, ნაგომარი, ნატანები, სოფელი ოზურგეთი, სილაური, შემოქმედი, ცხემლისხიდი, ძიმითი, ჭანიეთი, ჯუმათი, შრომა.

3.2 რელიეფი და ლანდშაფტი; ნიადაგსაფარი

გურიის რეგიონში, ძირითადად, გავრცელებულია ნიადაგის შემდეგი ტიპები: სუბტროპიკული ეწერ-ლებიანი, ყვითელმიწა, წითელმიწა, სუბტროპიკული ეწერი, ლამიან-ჭაობიანი, ტორფიან-ჭაობიანი, ალუვიური მაძღარი, ნეშომპალა კარბონატული და გაეწრებული წითელმიწა ნიადაგები. წითელმიწა ნიადაგები გავრცელებულია ამონთხეული (ეფუზიური) ქანების ღრმა გამოფიტვის ქერქზე, რაც, ძირითადად, ტენიანი და თბილი სუბტროპიკული ჰავის ზეგავლენით არის განპირობებული. ამ დროს მიმდინარე ძლიერი ქიმიური პროცესები იწვევს ქანის შემადგენელი ცალკეული მინერალების ინტენსიურ გახსნას, ძლიერ ჰიდრატაციას და დაჟანგვის პროცესებს. წითელმიწა ნიადაგებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩაის, ლურჯი მოცვის და სხვა კულტურების წარმოების საქმეში. ისინი ხასიათდება ნიადაგის მჟავე რეაქციით. ქიმიური მელიორაციის დანერგვის შემთხვევაში, აღნიშნული ნიადაგების გამოყენება შესაძლებელია კულტურათა ფართო სპექტრისათვის, როგორიცაა: ციტრუსები, თხილი, კივი, სიმინდი და სხვა მრავალწლიანი და ერთწლიანი კულტურები.

ეწერი ნიადაგები. დასავლეთ საქართველოს რაიონებში გავრცელებულია სუბტროპიკული, საშუალო და ძლიერი ეწერი ნიადაგები. მათ აქვს სუსტად გამოსახული ჰუმუსოვანი ჰორიზონტი (12-15 სმ) და გამტვრიანებული სტრუქტურა. ეწერი ნიადაგები ხასიათდება ერთ-ნახევარი ჟანგეულების ბევრად ნაკლები შემცველობით SiO_2-თან შედარებით. რკინისა და ალუმინის ერთ-ნახევარი ჟანგეულები გადანაცვლებულია ქვედა ფენაში, ხოლო ზედა და შუა ფენებში დაგროვებულია SiO_2. ჰუმუსისა და აზოტის რაოდენობა სიღრმისაკენ თანდათან იკლებს.

ეწერ-ლებიანი ნიადაგები. ამ ტიპის ნიადაგებს ახასიათებს საშუალო და ძლიერი დაჭაობება შუა და ქვედა ფენებში, რაც გამოწვეულია ამ ფენებში ნიადაგის მძიმე მექანიკური შედგენილობით და სუსტი წყალგამტარობით. ზედა ფენებში ეწერ-ლებიანი ნიადაგები გაეწრების მკაფიო ნიშნებს ატარებს და ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით ეწერ და ჭაობის ლამიან ნიადაგებს შორის გარდამავალი მაჩვენებლებით ხასიათდება. მათ აქვს ჩალისფერი შეფერილობა, სუსტი სტრუქტურა, მძიმე თიხნარი შემადგენლობა, რაც დაჭაობებას განაპირობებს. ამ ნიადაგებისათვის დამახასიათებელია სუსტი ტუტე რეაქცია, მაგრამ, მიუხედავად ასეთი თვისებებისა, ერთწლიანი კულტურებისათვის მათი გამოყენება შესაძლებელია.

გურიის რეგიონში ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლები მთლიან ფართობზე 1991 წელს იქნა შესწავლილი. გამოკვლევებით დადგინდა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ნიადაგების 50% ძლიერ მჟავე ნიადაგებს მიეკუთვნება, ნიადაგების 42% ღარიბია გაცვლითი კალიუმის შემცველობით, ხოლო 48% – მოძრავი ფოსფორით. 1991 წლის შემდეგ გურიის რეგიონში ფართომასშტაბიანი გამოკვლევები არ ჩატარებულა. სოფლის მეურნეობაში შექმნილმა მდგომარეობამ დიდი გავლენა მოახდინა ნიადაგების ნაყოფიერებაზე, შემცირდა ჰუმუსოვანი ფენა, ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქების გამოყენება. აზოტოვანი სასუქების ცალმხრივმა გამოყენებამ დაარღვია კავშირი ნიადაგს, სასუქსა და მცენარეს შორის. ამას მოჰყვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გავრცელებული კულტურების მოსავლიანობის შემცირება, რაც განსაკუთრებით შეეხო ჩაის და ციტრუსოვან კულტურებს.

გურიის რეგიონში ნიადაგების მრავალფეროვნება საშუალებას გვაძლევს, რომ ისინი გამო-

ყენებულ იქნეს სხვადასხვა ერთწლიანი თუ მრავალწლიანი კულტურის საწარმოებლად.

მუნიციპალიტეტის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი უჭირავს მესხეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთ კალთას, რომელიც აგებულია ინტენსიურად დანაოჭებული შუაეოცენური ვულკანოგენური ქანებით, ანდეზიტური განფენებით, ტუფებით, ტუფ-ბრექჩიებითა და ტუფ-კონგლომერატებით. ამ სუბსტრატზე განვითარებულია ღრმად დანაწევრებული მთა-ხეობათა რელიეფი. გაბატონებულია V-სებრი ეროზიული ხეობები და მათ შორის მოქცეულია ქედები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის უმაღლესი ადგილები მისი საზღვრის სამხრეთ-აღმოსავლეთ უბანზეა. აქ არის უმაღლესი მწვერვალები: საყორნია (2,752 მ) და გუნიისთავი (2,132 მ). მუნიციპალიტეტის ტერიტორიის შუა წელში გავრცელებულია ნეოგენური თიხებით, ქვიშაქვებითა და კონგლომერატებით აგებულ ნაოჭა სუბსტრატზე ჩამოყალიბებული მეოთხეული (ჩაუდური) ტერასებიანი სერები და ძლიერ დანაწევრებული გორაკ-ბორცვები. მათ შორის მოქცეულია მდინარეებისპირა ალუვიური ვაკე-დაბლობები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასავლეთი ნაწილი უჭირავს შავიზღვისპირა მეოთხეულ აკუმულაციურ ვაკე-დაბლობებს, რომლებსაც სანაპიროს გასწვრივ გასდევს ქვიშიანი დიუნების ზოლი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულია ნოტიო სუბტროპიკულ ვაკეთა, ბორცვიანი მთისწინეთისა და ნოტიოჰავიანი მთა-ტყის ლანდშაფტის ტიპების შემდეგი სახეები:

- სანაპირო ქვიშიანი დიუნური ზოლი ფსამოფილური მცენარეულობით;
- დაჭაობებული ვაკე-დაბლობები უმთავრესად ბუჩქნარებითა და ლამიან-ჭაობიანი ნიადაგებით;
- ჭალები მდელო ტყის მცენარეულობითა (ლაფნარ-მურყნარი) და ალუვიური ნიადაგებით;
- დახრილი ვაკე-დაბლობები კოლხური მცენარეულობით, ალუვიური და ეწერი ნიადაგებით;
- ბორცვიანი მთისწინეთი კოლხური მცენარეულობით, წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგებით;
- ნოტიოჰავიანი საშუალო მთები წიფლის ტყეებითა და ტყის ყომრალი ნიადაგებით;
- ნოტიოჰავიანი საშუალო მთები წიფლნარითა და მუქწიწვიანი ტყეებით, ტიპური და გაეწრებული ტყის ყომრალი ნიადაგებით;
- სუბალპური ტყეები და მდელოები მთა-ტყისა და მთა-მდელოს ნიადაგებით;
- ალპური მდელოები მთა-მდელოს ნიადაგებით.

3.3 ჰიდროგრაფიული ქსელი

გურიის რეგიონი მდიდარია წყლის რესურსებით – მდინარეებით, ტბებით, ბუნებრივი და ხელოვნური წყალსაცავებით, მიწისქვეშა მტკნარი წყლებით, მინერალური წყლებით და თერმული წყლის რესურსით. გურიაში სულ 25 საშუალო და მცირე ზომის მთის მდინარე ჩამოედინება, რომელთა საერთო სიგრძე 598 კმ-ს შეადგენს, ხოლო აუზების საერთო ფართობი 1,000 კმ^2-ზე მეტია. რეგიონში არის 3 ტბა (საერთო ფართობი რეგიონში – 3,5 კმ^2) და 3 წყალსაცავი (საერთო

ფართობი – 4,4 კმ²). 2011 წელს ბუნებრივი წყლის ობიექტებიდან წყლის აღებამ – 95 მლნ მ³, ხოლო წყლის გამოყენებამ 94,4 მლნ მ³ შეადგინა. 2011 წლის წყალაღების მონაცემების თანახმად, რეგიონში მოპოვებული წყლის რესურსების (მიწისქვეშა და ზედაპირული წყალი) 96% გამოიყენება ჰიდროენერგეტიკაში, 2% – სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით, ხოლო დანარჩენი – სამრეწველო მიზნებით, სარწყავად და რეკრეაციული ფუნქციით. გურია ესაზღვრება ტრანსსასაზღვრო მნიშვნელობის შავ ზღვას.

გურიაში მოიპოვება მინერალური წყლები – „ნაბეღლავი“ (მარაგი – 101,9 მ³ დღე-ღამეში) და „გულიანი“ (მარაგი დაუდგენელია). „ნაბეღლავის“ წარმოება კარგად არის განვითარებული და იგი რეგიონის ერთ-ერთ ძირითად საექსპორტო პროდუქციას წარმოადგენს. რეგიონში არსებული მინერალური წყლის რესურსის რეკრეაციული და საკურორტო დანიშნულებით გამოყენება შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობის გამო შეზღუდულია. ასევე გამოუყენებელია თერმული წყლების ენერგეტიკული პოტენციალი. რეგიონის ტერიტორიაზე არსებული, უნიკალური ბალნეოლოგიური თვისებებით ცნობილი შავი ზღვის სანაპირო ზონის პოტენციალი (ურეკი-შეკვეთილი-ნატანების მაგნიტური ქვიშის პლაჟები) მხოლოდ ნაწილობრივ არის გამოყენებული, რასაც, არსებითად, წყალგაყვანილობის, საკანალიზაციო სისტემებისა და შესაბამისი გამწმენდი ნაგებობების არარსებობა განაპირობებს[2].

წყლის რესურსების პოტენციალი ჰიდროენერგეტიკაში არ არის ეფექტიანად გამოყენებული. მხარის გეოგრაფიული მდებარეობა და კლიმატური პირობები ქმნის შესაძლებლობას, გურიის მდინარეებზე აშენდეს მცირე ჰესების კასკადები (საერთო სიმძლავრეებით 80-100 მგვტ), რაც არამხოლოდ დააკმაყოფილებს მხარის ენერგეტიკულ მოთხოვნებს, არამედ შესაძლებელი იქნება ელექტროენერგიის რეალიზაციაც და ამით შემოსავლის დამატებითი წყაროს შექმნა. გურიის ტერიტორიაზე ორი მოქმედი ჰესია – ბჟუჟჰესი (მდინარე ბჟუჟზე) და აჭჰესი (მდინარე აჭზე), რომელთა საერთო სიმძლავრე 12,8 მგვტ-ს შეადგენს. ორივე ჰესი ჩართულია საქართველოს ერთიან ენერგოსისტემაში. 2007 წლიდან აქტიურად დაიწყო „ბახვი ჰაიდრო პაუერის“ კასკადური ჰესების მშენებლობა, რომლებიც 6 ერთეულისაგან შედგება და საერთო ჯამში 60 მგვტ-ს გამოიმუშავებს. ამჟამად მიმდინარეობს მშენებლობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის მოწყობა. აღსანიშნავია, რომ რეგიონის გეოდინამიკური პოტენციალისა და მაღალი რისკის გათვალისწინება უმნიშვნელოვანესია როგორც რეგიონის მოსახლეობის უსაფრთხოების, ისე გარემოს დაცვის თვალსაზრისით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორია დაღარულია მდინარეებითა და ხეობებით, რომლებიც აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიედინება და ეკუთვნის შავი ზღვის აუზს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამოივლის მდინარე სუფსა (20 კილომეტრამდე), რომელსაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზევე ერთვის მდინარე ბახვისწყალი. სხვა მნიშვნელოვანი მდინარეა ნატანები თავისი შენაკადებით: ბჟუჟი, ჩოლოქი, ბოგილა და სხვ.

მუნიციპალიტეტის მდინარეები საზრდოობს ლანქერებით, წვიმებით, ნიადაგის წყლითა და წყაროებით. ზღვის შესართავთან ისინი ხელს უწყობს დაბლობის დაჭაობებას. მდინარე ჩოლოქი მუნიციპალიტეტს გამოყოფს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიისგან.

---

[2] http://guria.gov.ge/geo/static/200?fbclid=IwAR1I6lVhsrHCGSxjh3awzXMgPPI11J6lZyPL6ZvGbxejR0i1QOhP48c7aTI

მდინარეები მდიდარია თევზით. გვხვდება კალმახი, წვერა, ორაგული, ღორჯო. მდინარე ნატანებს სათავე აქვს მესხეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 2,752 მ-ზე მდებარე მწვერვალ საყორნიასთან. მდინარე სოფელ შეკვეთილთან ერთვის შავ ზღვას. მდინარის სიგრძე 60 კმ-ია, აუზის ფართობი – 657 კმ². ის საზრდოობს წვიმის, თოვლისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალდიდობა იცის გაზაფხულზე, წყალმცირობა – ივლის-აგვისტოში, წყალმოვარდნა – მთელი წლის განმავლობაში. საშუალო წლიური ხარჯია 33,5 მ³/წმ. იყენებენ წისქვილებისათვის და სარწყავად. მისი მნიშვნელოვანი შენაკადებია ბუჟი და ჩოლოქი. ნატანები ზემო წელში მთის მდინარის თვისებებს იჩენს, ხოლო ქვემო დინებაში დაბლობის ტიპური მდინარეა.

3.4 კლიმატი

გურიის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტი კლიმატის ცვლილების მიმართ ძლიერ მოწყვლადია. კლიმატის ცვლილების შესახებ საქართველოს მეოთხე ეროვნული შეტყობინების პროგნოზის მიხედვით, ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა გურიაში 2070 წლისთვის 2.40°C-ით, ხოლო 2100 წლისათვის კი 3.10°C-ით მოიმატებს; ხოლო ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა დაიკლებს: 2070 წლისათვის – 7%-ით, 2100 წლისათვის კი – 4% ით.

აღსანიშნავია, რომ კლიმატის ცვლილების ფონზე საშუალო წლიური ტემპერატურის მატების შედეგად ბოლო ოცი წლის განმავლობაში შავი ზღვის დონემ უკვე აიწია 20 სმ-ით[3], რასაც თან დაერთო გაძლიერებული შტორმები, ტალღების ბალიანობის ზრდა და ტალღების მიმართულების ცვლილება, რაც დაკავშირებულია ქარების მიმართულების ცვლილებასთან. აღნიშნული პროცესები სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ზღვის სანაპირო ზოლისათვის, ვინაიდან საფრთხეს უქმნის სანაპიროზე არსებულ ინფრასტრუქტურას.

შეცვლილი კლიმატური პარამეტრების ფონზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი საფრთხის წინაშეა სოფლის მეურნეობა და მისი ძირითადი მიმართულებები – ჩაისა და თხილის სექტორები. მუნიციპალიტეტში, მისი ჰიდროლოგიური ქსელის თავისებურებიდან გამომდინარე, გაზრდილია წყალდიდობის, წყალმოვარდნებისა და კლიმატთან დაკავშირებული ბუნებრივი კატასტროფების რისკი; გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი, რომელსაც დასავლეთიდან 20 კმ-ის სიგრძეზე მიუყვება შავი ზღვის სანაპირო ზონა, ასევე გამოირჩევა კლიმატის ცვლილების მიმართ მოწყვლადობით.

3.5 სტიქიური გეოლოგიური პროცესები

გურიის რეგიონი მორფოლოგიური პირობების მიხედვით ორ – ბარისა და მთის – ნაწილად იყოფა. საზღვარი მათ შორის ზღვის დონიდან 500-600 მეტრ სიმაღლეზე გადის. კოლხეთის დაბლობის ნაწილს გურიის წინამთების გორაკ-ბორცვიანი ზოლი მისდევს. გორაკ-ბორცვიანი მთისწინეთი წარმოადგენს ტექნოგენურად ყველაზე მეტად დატვირთულ ტერიტორიას, სადაც მკვეთრად არის გამოხატული ადამიანის ნეგატიური სამეურნეო საქმიანობა და მისგან გამოწვეული საშიში გეოლოგიური პროცესები. უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელს დაბალი იყო სტიქიური გეოლოგიური პროცესების ჩასახვა-გააქტიურების ხარისხი საშუალო მრავალწლიური ფონის დონეზე, ხოლო ცალკეულ უბნებზე შეინიშნებოდა მეწყრების ჩასახვა-გააქტიურების

[3] https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/library/environment_energy/climate-change-strategy-of-ajara-.html

მომატების ტენდენცია, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მოსახლეობას და სოფლის ინფრა-სტრუქტურას.

გეოლოგიური პროცესების ჩასახვა-გააქტიურებაში, სხვადასხვა გეოლოგიური გარემოს პირობებში, უმთავრესი როლი კლიმატურ ფაქტორებს ენიჭება. კლიმატის მკვეთრი ცვლილება და ატმოსფერული ნალექების სიჭარბე, რასაც თან სდევს მეტეოროლოგიური აგენტების (თავსხმა წვიმები, თოვლი და სხვ.) პერიოდული გახშირება ან მკვეთრი შემცირება, მყისიერად აისახება საშიში გეოლოგიური პროცესების გააქტიურებაზე, რაც იწვევს უარყოფით ზემოქმედებას ინფრასტრუქტურულ ობიექტებსა და მოსახლეობაზე.

გეოლოგიური პროცესების გააქტიურება, სხვა ფაქტორებთან (გეოლოგიური, მორფოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და სხვ.) ერთად, მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ატმოსფერული ნალექების რაოდენობასა და მის სეზონურ განაწილებასთან. ბოლო წლების მონაცემების გაანალიზების შედეგად, სურათი ნათლად აჩვენებს კლიმატური ფაქტორის (ატმოსფერული ნალექების რაოდენობა) მნიშვნელოვან როლს გეოლოგიური პროცესების ჩასახვასა და მათ გააქტიურებაში.

მთლიანად გურიის რეგიონში სხვადასხვა სახის სტიქიური გეოლოგიური პროცესების მეტ-ნაკლები ზემოქმედების არეალში მოქცეულია 180 დასახლებული პუნქტი. მათ შორის, მაღალი რისკის ქვეშ მოქცეულია 56, საშუალო რისკის ქვეშ – 61, დაბალი რისკის ქვეშ – 63, ხოლო ძლიერ დაბალი რისკის ქვეშ – 13 დასახლებული პუნქტი[4].

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დემოგრაფიული და სოციალური მდგომარეობა

4.1 მოსახლეობა და დემოგრაფია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 57,900 კაცს შეადგენს. მოსახლეობის საშუალო სიმჭიდროვე არის 51.3 კაცი/კმ^2 (გურიის რეგიონში).

მოსახლეობის რაოდენობა და წილი გურიაში მუნიციპალიტეტების მიხედვით (2023 წელი)			
№	მუნიციპალიტეტი	ათასი კაცი	%
გურია სულ		**104.3**	**100%**
1	ოზურგეთი	57.9	55.5%
2	ლანჩხუთი	29.2	28 %
3	ჩოხატაური	17.3	16.5%

ოზურგეთის მუნიციპალიტეტს, მოსახლეობის რაოდენობის თვალსაზრისით, გურიაში პირველი ადგილი უჭირავს – აქ ცხოვრობს გურიის რეგიონის მთლიანი მოსახლეობის 55.5%.

[4] საინფორმაციო ბიულეტენი, საქართველოში 2022 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2023 წლისთვის; თბილისი 2023 – გეოლოგიის დეპარტამენტი

მოსახლეობის 97,2% ქართველია. აქ, ძირითადად, ცხოვრობენ გურულები, ასევე აჭარლები, აგრეთვე სომხები (1,8%) და რუსები (0,6%). მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია – 88%, 10%-ს შეადგენენ მუსლიმები. მოქმედებს 4 მეჩეთი, მათ შორის, ორი მედრესეთი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოვრობენ ასევე სხვა რელიგიური მიმდინარეობების წარმომადგენელთა მცირე ჯგუფები: იეჰოვას მოწმეები და „მეს“-ის („მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოში“, ე.წ. ბოსტონის დაჯგუფება) წევრები.

1989 წლის შემდეგ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა კლების ტენდენციით გამოირჩევა:[5]

მოსახლეობის რაოდენობა წლებისა და სქესის მიხედვით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში			
აღწერის წელი	მოსახლეობა	კაცი	ქალი
1939	58,514	28,657	29,857
1959	75,240	33,981	41,259
1970	79,710	36,711	42,999
1979	84,278	39,070	45,208
1989	90,040	42,315	47,725
2002	78,661		
2014	62,863		
2020	59,900		



ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის კლება, ძირითადად, 2001-2017 წლებში ფიქსირდება. ამ პერიოდის შემდგომ, 2018 - 2023 წლებში კი, პირიქით, მართალია, მცირედით, მაგრამ მაინც იზრდება, რაც, ძირითადად, საქალაქო დასახლებებში მცხოვრებთა რიცხოვნობის ზრდის ხარჯზე ხდება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 75 დასახლებული პუნქტია: 1 ქალაქი, 4 დაბა და 70 სოფელი.

4.2 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მდგომარეობა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოციალური პაკეტით მოსარგებლეთა რაოდენობა 2012-2020 წლებში მცირედი კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. რაც შეეხება 2021-2022 წლის მონაცე-

[5] https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba

მებს, აღნიშნული რიცხვი წინა წლებთან შედარებით გაიზარდა და 2022 წლისთვის სოციალური პაკეტით მოსარგებლეთა რიცხვმა 2,850 კაცს მიაღწია.

ამავე სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, გურიის რეგიონში 2022 წელს სოციალური პაკეტით ისარგებლა 1,961-მა ქალმა და 3,824-მა კაცმა, სულ 5,785-მა პირმა.

გასული წლების იგივე მაჩვენებელი კი გურიის მუნიციპალიტეტში ასე გამოიყურება:



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, გურიის რეგიონში 2022 წელს პენსიის მიმღებთა რაოდენობა 27,049 ადამიანს შეადგენდა. ოზუ-

რგეთის მუნიციპალიტეტში კი იმავე წელს პენსიის მიმღებთა რაოდენობა 15,174 იყო. ოფიციალური მონაცემებით, ბოლო წლების სტატისტიკა ასეთია:

პენსიის მიმღებთა რაოდენობა (2022 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით)		
№	მუნიციპალიტეტი	ბენეფიციართა რაოდენობა
1	ჩოხატაური	4,592
2	ლანჩხუთი	7,283
3	ოზურგეთი	15,174
	გურიის რეგიონი	**27,049**

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, საჯარო სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების აღსაზრდელთა რიცხვი, ბოლო წლების მონაცემებით, კლებულობს. რაც შეეხება აღმზრდელ-პედაგოგებს, აღმზრდელების თანაშემწეებს ან ინკლუზიური განათლების სპეციალურ პედაგოგებს, იმავე პერიოდში მათი რაოდენობა მზარდ დინამიკას აჩვენებს.

საბავშვო ბაღებისა და აღსაზრდელების რაოდენობა გურიის რეგიონში მუნიციპალიტეტების მიხედვით (სასწავლო წლის დასაწყისისთვის, ერთეული)					
№	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	წლები			
		2017/2018	2018/2019	2017/2018	2018/2019
1	სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების რაოდენობა	43	43	43	44
2	აღსაზრდელთა რაოდენობა	2716	2708	2655	2402
3	აღმზრდელ-პედაგოგი/ აღმზრდელი	288	313	291	334

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობის მხრივ, გურიის რეგიონი ერთ-ერთი მოწყვლადი რეგიონია მცხეთა-მთიანეთისა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის შემდეგ.



რაც შეეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობას, აღსანიშნავია, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში ეს მონაცემი არ შეცვლილა და მუნიციპალიტეტში სულ ასეთი 44 დაწესებულებაა. ამ დაწესებულებებში მოსწავლეთა რიცხოვნობა დროის იმავე მონაკვეთში კლების ტენდენციით ხასიათდება. მოსწავლეთა 2012 წელს არსებული რაოდენობა – 9,057 – 2022 წლისთვის 8,396-მდე შემცირდა.

მუნიციპალიტეტში არსებული საერთაშორისო მნიშვნელობის ასფალტბეტონის საავტომობილო გზის სიგრძე 20 კილომეტრია, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზაც (109 კილომეტრი) ასფალტბეტონისაა. რაც შეეხება ადგილობრივი მნიშვნელობის გზას, იგი სულ 450 კმ-ია და აქედან 50 კმ ასფალტბეტონისაა, ხოლო 400 კმ მოხრეშილია.

სატრანსპორტო სისტემის მხრივ, მუნიციპალიტეტში ოპერირებს შპს „ტექნოსერვისი“ 4 მიკროავტობუსით და სს „ტრანსსერვისი“ სამი მიკროავტობუსით. 1 მიკროავტობუსი კი ოზურგეთის გამგეობას ექვემდებარება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგება ხორციელდება შემდეგი სისტემით:

- სისტემგარეშე არსებული წყალსადენები;
- სისტემური წყალსადენები (ქ. ოზურგეთი, დაბა ნარუჯა, მთისპირი, ასკანა);
- წყაროები, არტეზიული და ჩვეულებრივი ჭები.

ქ. ოზურგეთი მთლიანად გაზიფიცირებულია. ნაწილობრივ გაზიფიცირებულია სოფლები: შემოქმედი, ლაითური, ნასაკირალი, ბახვი, ნარუჯა, ასკანა, მთისპირი, ვაკიჯვარი. აღსანიშნავია, რომ ელექტროენერგია მიეწოდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 100%-ზე.

რაც შეეხება ნარჩენების მართვას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნაგავსაყრელები მოწყობილია სოფ. მერიასა და დაბა ურეკში.

5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის დარგის მიმოხილვა და ანალიზი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის მოსამზადებლად მიმდინარე წელს ჩატარდა სოფლის მეურნეობის საჭიროებების კვლევა. კვლევის მიზანს წარმოადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის დარგში არსებული მდგომარეობის გაანალიზება და ადგილობრივი ფერმერებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების საჭიროებების და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის დარგის პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენა.

აღნიშნულ პროცესში გათვალისწინებულია სამაგიდო კვლევა, რომელიც სტატისტიკური მონაცემებისა და საერთაშორისო თუ ადგილობრივი დონორი ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზს მოიცავს. დოკუმენტი ეფუძნება აგრეთვე საველე სამუშაოების ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებისა და ფოკუსჯგუფების შედეგებს.

5.1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზოგადი სასოფლო-სამეურნეო პროფილი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა ტრადიციულად წამყვან დარგს წარმოადგენს. მეჩაიეობასა და მეციტრუსეობაზე მოდიოდა პრაქტიკულად რაიონის მოსახლეობის შემოსავლების უდიდესი ნაწილი.

დღესდღეობით მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (70%-ზე მეტი) მთლიანად თუ ნაწილობრივ სოფლის მეურნეობაშია დასაქმებული და ამ საქმიანობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მათი შემოსავლებისა თუ სურსათით უზრუნველყოფის საქმეში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობა წარმოდგენილია ძირითადად წვრილი ფერმერული და საოჯახო მეურნეობებით. ამ მიმართულებით მთავარ გამოწვევად ხარისხიანი მექანიზაციის არქონა და დაბალპროდუქტიულობა რჩება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა არ არის გამართული, არ არის მოწესრიგებული სადრენაჟო სისტემა. ცალკე პრობლემაა ფერმერთა საკუთრებაში არსებული ფართობების დანაწევრება და ფრაგმენტაცია, რაც, ერთი მხრივ, განპირობებულია რთული რელიეფით, მეორე მხრივ, მცირე ნაკვეთების სიმრავლით, მათი ნაწილობრივი დაჭაობებით და სხვ. კერძო საკუთრებაში არსებული მიწების უმრავლესობა 1 ჰა-ზე ნაკლებია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო მიწები კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირადაა განაწილებული: სულ სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობი არის 27,588 ჰა. აქედან სახნავი არის 4,355 ჰა, მრავალწლოვანი ნარგავები – 8,302 ჰა, სათიბი – 317 ჰა, საძოვარი – 5,813.5 ჰა; მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობაა 31,248 სული, აქედან ფური არის 18,224, ღორი – 5,508, ცხვარი – 189, თხა – 1,776, ფრინველი – 203,845, ფუტკარი – 8,950 ოჯახი, მოქმედი საკალმახე – 2, სატბორე – 22, ამხანაგობა – 3, სულ 7 ერთეული ტექნიკით, სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა – დაახლოებით 80 ერთეული, სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივი – 8.

მერიის ტერიტორიულ ორგანოში მდებარეობს მექანიზაციის სერვისცენტრი, რომელიც ემსახურება მთელ გურიის რეგიონს და ქობულეთის მუნიციპალიტეტს.

გურიის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო სავარგულის საშუალო ფართობი ერთ ფერმერზე 0.9-დან 1.3-მდე ჰა-ს შეადგენს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტზე კი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების კატეგორიები და ფართობები ასე ნაწილდება:

		ოზურგეთი
სულ სასოფლო-სამეურნეო მიწები, ჰა	სულ	27,589
	კერძო	20,267
	სახელმწიფო	7,322
მათ შორის		
სახნავი, ჰა	სულ	4,355
	კერძო	4,234
	სახელმწიფო	121
მრავალწლოვანი ნარგავები, ჰა	სულ	8,302
	კერძო	6,735
	სახელმწიფო	1,567
სათიბი, ჰა	სულ	317
	კერძო	92
	სახელმწიფო	225
საძოვარი, ჰა	სულ	5,814
	კერძო	405
	სახელმწიფო	5,409
საკარმიდამო, ჰა	სულ	8,801
	სახნავი	1,384
	მრავალწლოვანი	7,417
	სათიბი	0
	საძოვარი	0

არსებული სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზისა და შესაბამისი ლიტერატურის გაცნობის საფუძველზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის სოფლის მეურნეობის შემდეგი ძირითადი მიმართულებები გამოიკვეთა: მესაქონლეობა, მეღორეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა, მეთხილეობა, მეჩაიეობა, მეციტრუსეობა, მემარცვლეობა და ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების მოყვანა. რაც შეეხება პერსპექტიულ მიმართულებებს და მათი განვითარების შესაძლებლობებს, ამ კუთხით დასახელდა: კივი, სუბტროპიკული ხურმა, ლურჯი მოცვი, ფეიჰოა, მევენახეობა, ზეთისხილი, დაფნა.

5.2 სოფლის მეურნეობის დარგის SWOT-ანალიზი

მუნიციპალიტეტში სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ჩატარებული შეხვედრების შედეგად მომზადდა დარგის მიმართულებების SWOT-ანალიზი:

ციტრუსის, დაფნისა და სუბტროპიკული ხილის წარმოება

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
გამოცდილება და ხელსაყრელი გარემო პირობები; ადგილობრივი ჯიშების არსებობა; ქართული ლიმონის, ქუმკვატის წარმოების პოტენციალი (გეოგრაფიული აღნიშვნა და ადგილწარმოშობის დასახელება)	მცირე ზომის, დანაწევრებული ნაკვეთები; კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის უგულებელყოფა, შესაბამისად, დაბალი მოსავლიანობა და წარმოებული პროდუქციის არასტაბილური ხარისხი; გადამამუშავებელი და შემნახველი ინფრასტრუქტურის ნაკლებობა; სპეციალისტების სიმცირე; თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობის დეფიციტი და ნაკლები ხელმისაწვდომობა მათზე; საკონსულტაციო სერვისებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესება; ახალი, ბაზარზე მოთხოვნადი, მაღალმოსავლიანი ჯიშების პოპულარიზაცია; აგროტურიზმის განვითარების პოტენციალი; შესანახი და გადამამუშავებელი ტექნოლოგიების დახვეწა; პროდუქციის დივერსიფიკაცია (პირველადი პროდუქტი, გადამუშავებული და ა.შ.); თანამედროვე, მაღალმოსავლიანი, ბაზარზე მოთხოვნადი ჯიშების შესწავლა და დანერგვის ხელშეწყობა	არასტაბილური გასაღების ბაზარი კლიმატის ცვლილება და ამინდის ექსტრემალური მოვლენები; მავნებელ-დაავადებების გავრცელება

მეჩაიეობა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
უნიკალური ადგილობრივი ჯიშები, რომლებიც მორგებულია ადგილობრივ პირობებზე; ხელსაყრელი კლიმატური პირობები ჩაის წარმოებისთვის; მაღალი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები; მაღალი გემოვნური თვისებების მქონე ადგილობრივი ჯიშები	ნაკლები მოსავლიანობა ტროპიკულ ქვეყნებთან შედარებით; დაბალი ცნობიერება ქართული ჩაის სექტორის შესახებ; მიტოვებული ჩაის პლანტაციები
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
ჩაის წარმოების ხელშემწყობი პროექტების არსებობა; ჩაის გადამუშავების ახალი ტექნოლოგიების გაცნობა და დანერგვა: მწვანე ჩაი – მაღალი ხარისხის, უმაღლესი ხარისხის პროდუქტი; ჩაის პროდუქტების დივერსიფიკაცია – ჩაის ფოთლის, როგორც საკვები პროდუქტის (სასმელი), ჩაის ყვავილის, როგორც პარფიუმერიის ნედლეულის, გამოყენება; დამხარისხებელი, გადამამუშავებელი ხაზების მოწყობა; მიტოვებული ჩაის პლანტაციების აღდგენის შესაძლებლობა; ჩაის ფესტივალების მოწყობა საზოგადოების ცნობიერების ამაღლების და მყიდველის მოზიდვის მიზნით; ჩაის ტურიზმის განვითარება	არასტაბილური გასაღების ბაზარი; კლიმატის ცვლილება და ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენები (ავდარი)

მევენახეობა-მეღვინეობა

დღეისათვის გურიის რეგიონში მოძიებული და შემორჩენილია ვაზის 40-ზე მეტი აბორიგენული კულტურული ჯიში. ვაზი ძირითადად გავრცელებულია საკარმიდამო ნაკვეთებზე. მართალია, გურიის რეგიონში დაბალია მეღვინეობის ინდუსტრიულად განვითარების პოტენციალი, თუმცა უნიკალური ჯიშები და შემორჩენილი ტრადიციები რეგიონს მევენახეობა-მეღვინეობის ნიშურად განვითარების შესაძლებლობებს უქმნის. ადგილობრივ ვაზს XIX საუკუნის შუა წლებში ჭრაქმა და XX საუკუნის 70-80-იან წლებში ნაცარმა დიდი დარტყმა მიაყენა. გურიაში მასობრივად დაიწყეს „ადესის“ („იზაბელა“) გაშენება. XIX საუკუნის 90-იანი წლებისთვის „ადესას“ თითქმის ჩანაცვლებული ჰქონდა ძველი გურული ჯიშები. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში გურიაში კვლავ გაჩნდა ინტერესი მევენახეობა-მეღვინეობის, განსაკუთრებით ძველი გურული

ჯიშების, მიმართ.

ღვინის გარდა, ყურძნის პროდუქტებიდან აღსანიშნავია ძმარი, „ნადუღი ტკბილი“ (ბადაგი), „ჯანჯუხა“ (ჩურჩხელა), ტკბილისკვერი და ფელამუში.

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
ენდემური ჯიშები; ნიშური წარმოება; ჯიშების მრავალფეროვნება; დივერსიფიცირებული პროდუქტები („ჯანჯუხა“, ჭაჭა, ბადაგი)	პროფესიონალი სპეციალისტების (აგრონომები, ღვინის ტექნოლოგების) ნაკლებობა; მცირემიწიანობა; სერტიფიცირებული სანერგე მეურნეობების ნაკლებობა; მეღვინეობისთვის საჭირო მანქანა-დანადგარების, ინვენტარის ნაკლებობა; მუშახელის ნაკლებობა; მცენარეთა დაცვის საშუალებების დაბალი ხარისხი; წარმოებული პროდუქციის სიმცირე; მევენახეობის ხელშემწყობი პროგრამების არარსებობა
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
მაღალხარისხიანი ღვინოების წარმოების პოტენციალი; გურული ღვინის პოპულარიზაცია; ღვინის ტურიზმი; ჩხავერის მოყვანა მიკროზონებში	კლიმატის ცვლილება, ბუნებრივი კატაკლიზმები; მავნებელ-დაავადებების გავრცელება; არასწორი ტექნოლოგიის გამო დაბალი ხარისხის ღვინის წარმოება

მეთხილეობა

XX საუკუნის 90-იან წლებში გურიაში მასობრივად დაიწყო თხილის კულტურის გავრცელება. თხილის ნაყოფის რეალიზაცია ერთ-ერთი ძირითადი შემოსავლის წყაროა ადგილობრივი მოსახლეობისათვის. რეგიონში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაში ინვესტირებული კაპიტალის დიდი ნაწილი სწორედ თხილის წარმოებასა და შესაბამის გადამამუშავებელ საწარმოებზე მოდის. სოფლის მეურნეობის ამ დარგს რეგიონში შემდგომი განვითარების პერსპექტივა აქვს. რეგიონში თხილის კულტურის მიერ დაკავებული ფართობი ყოველწლიურად იზრდება როგორც ახალ ნაკვეთებზე, ისე ძველი, ტრადიციული კულტურების ამოძირკვის ხარჯზე. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, თხილის წარმოების მხრივ, რეგიონში პირველ ადგილზეა. სხვა კულტურებთან შედარებით, თხილს მრავალი უპირატესობა აქვს.

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
პროდუქტი არამალფუჭებადი და ტრანსპორტაბელურია; ფართოდ დანერგილი კულტურაა გურიაში; მაღალი მოთხოვნა ბაზარზე; უნარჩენო პროდუქტი (თხილის ნაჭუჭისა და ნასხლავის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა დანიშნულებით); თხილი გურული სამზარეულოს განუყოფელი ნაწილია („ჯანჯუხა“, საკმაზები)	მავნებელ-დაავადებების გავრცელება; ხარისხის კლების პარალელურად შემცირდა საბაზრო ღირებულება; თხილის ჩაბარების დროს ხარისხის კონტროლის არასათანადო მეთოდების გამოყენება; რეგიონში საშრობი ინფრასტრუქტურის ნაკლებობა; რეგიონში ნაკლებად გადამუშავდება პროდუქცია და ძირითადად ხდება ნაჭუჭიანი თხილის რეალიზაცია, რაც ზღუდავს რეგიონში დამატებითი ღირებულების შექმნას; შენახვის არასათანადო პირობები, რაც იწვევს ლპობას და პროდუქტის ხარისხის დაქვეითებას; არასათანადო აგროტექნოლოგია; საკონსულტაციო სერვისებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
მსოფლიო ბაზარზე სტაბილური ადგილის შენარჩუნების შესაძლებლობა; სახელმწიფო პროგრამების მიზანმიმართულად გამოყენება; აგროტექნოლოგიის დახვეწა; კონკურენტული გარემოს შექმნა; თხილის ადგილობრივად გადამუშავების და, შესაბამისად, რეგიონში დამატებითი ღირებულების შექმნის შესაძლებლობა; თხილის პროდუქტების დივერსიფიცირება; ექსტენცია საკონსულტაციო მომსახურების გაძლიერება (თხილის მწარმოებელთა ასოციაცია, ანასეულის კვლევითი ინსტიტუტი); ჯიშობრივი სიწმინდის შენარჩუნება (კულტურული ბაღები)	კლიმატური ექსტრემალური მოვლენები; მავნებელ-დაავადებების გავრცელება; ფასების არასტაბილურობა

მეცხოველეობა

რეგიონის სამივე მუნიციპალიტეტში გავრცელებულია მესაქონლეობა. ფერმერული ტიპის მეურნეობებში მისდევენ მომთაბარე მესაქონლეობას და გაზაფხულის ბოლოს საქონელს მთებში, ალპურ საძოვრებზე, მიერეკებიან. თანდათანობით იკიდებს ფეხს ხელოვნური განაყოფიერების გამოყენება, რაც ფერმერებს საშუალებას მისცემს, გააუმჯობესონ საქონლის ჯიშური მახასიათებლები და მნიშვნელოვნად გაზარდონ სასოფლო-სამეურნეო საქონლის პროდუქტიულობა.

გურიაში აღირიცხება 60,6 ათასი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. წარმოებული პროდუქცია შეადგენს 3,4 ათას ტონა ხორცს და 34,2 ათას ტონა რძეს. მესაქონლეობაში როგორც წველადობის, ასევე ხორცის წარმოების დაბალ დონეს, ძირითადად, განაპირობებს გენეტიკური მოძველება, არასათანადო ვეტერინარული მომსახურება, პირუტყვის მოვლის თანამედროვე ტექნოლოგიებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, საკვები ბაზის რაოდენობრივი და ხარისხობრივი სიმწირე.

ბოლო აღწერის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი პირველ ადგილს იკავებს რეგიონში ფურის, ღორისა და ფრინველის სულადობის მხრივ (ფური – 18,224 სული, ღორი – 5,508 სული, ფრინველი – 203,845 ფრთა).

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
ბაზარზე მოთხოვნადი პროდუქცია; ტურისტულ ბაზრებთან სიახლოვე; მრავალფეროვანი პროდუქტების წარმოების შესაძლებლობა	მაღალი კონკურენცია იმპორტირებულ პროდუქტებთან; მცირემიწიანობა; ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების მაღალი თვითღირებულება; კადრების (ვეტერინარები) და მუშახელის სიმცირე; საზოგადოების ცნობიერების დაბალი დონე; დაბალპროდუქტიული ჯიშები
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
სახელმწიფო პროგრამების მიზანმიმართულად გამოყენება	კლიმატური ექსტრემალური მოვლენები (ავდარი); დაავადებების გავრცელება

ერთწლოვანი კულტურები

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
ხელშემწყობი კლიმატური პირობები; ტრადიციული დარგი; ბაზარზე არსებული მოთხოვნა; მათი ნარჩენები, როგორც საკვები ბაზა მეცხოველეობისთვის	დანაწევრებული ფართობები, რომლებიც არ იძლევა მექანიზაციის გამოყენების საშუალებას; ნიადაგის დაბალნაყოფიერება; ნიადაგის ეროზია; სამელიორაციიო სისტემის გაუმართაობა; მინერალური სასუქების და მცენარეთა დაცვის საშუალებების დაბალი ხარისხი (ფალსიფიცირება); მცენარეთა დაცვის საშუალებების მაღალი ფასები; მექანიზაციაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, დეფიციტი, მოძველებული ტექნიკური აღჭურვილობა
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
მელიორაციის სისტემის გაუმჯობესება; მექანიზაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდა; მცენარეთა დაცვის საშუალებებზე, მათ გამოყენებაზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება	სავარგულების მიტოვება, დაუმუშავებელი ფართობების ზრდა; ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენები (უამინდობა); მავნებელ-დაავადებების გავრცელება

მეფუტკრეობა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
ბიომრავალფეროვნება; ხელსაყრელი ბუნებრივი და კლიმატური პირობები; ტრადიციული დარგი; სახელმწიფოს მიერ დარგის პრიორიტეტად აღიარება; ფუტკრის პროდუქტების მრავალფეროვნება; ქართული ფუტკრის ჯიშობრივი მახასიათებლები	თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობის დეფიციტი; გაზრდილი ნალექიანობა და დაბალი ტემპერატურა; ანტიბიოტიკების გამოყენებით თაფლის დაბინძურება; მეფუტკრეებს შორის კომუნიკაციის ნაკლებობა, არაკონსოლიდირებული საქმიანობა; ბრენდინგის არარსებობა; ბიზნესუნარების დეფიციტი; სრული ლაბორატორიული ანალიზების ჩატარებისთვის საჭირო პირობების არარსებობა; არასტანდარტული, მოძველებული ინვენტარი
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
მრავალი სახეობის პროდუქტების წარმოება; პროექტი „მწვანე გურია“ ევროკავშირის მხარდაჭერით; ბრენდირება; RDA-ის/საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანების ტრენინგები; მუნიციპალიტეტის ადგილობრივი გრანტები; ფუტკრის პროდუქტებზე გაზრდილი მოთხოვნა; პროფესიულ სასწავლებლებში მეფუტკრეობის მიმართულებით მომზადება-გადამზადების კურსების დანერგვა	შესაძლო პანდემიები; ექტრემალური ბუნებრივი მოვლენები (უამინდობა); ბუნებრივი კატასტროფები; მავნებელ-დაავადებების გავრცელება; რეზისტენტულობა პრეპარატების მიმართ/ქცევის ცვლილება; მცენარეთა დაცვის საშუალებების გადაჭარბებით გამოყენება

კენკროვნები

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
მოთხოვნადი პროდუქცია; მაღალშემოსავლიანი კულტურები, რომლებიც ადვილად ეგუება რეგიონის პირობებს; სასათბურე მეურნეობის მოწყობის შესაძლებლობა; გადამუშავების შესაძლებლობა (ფოთლების ჩაი, ხილფაფა, ჩირი); ტუტე მიწის გამუავების შესაძლებლობა	ქართულ ბაზარზე გასაღების პრობლემები (ფასი); GLOBAL GAP-ის სერტიფიცირების სირთულე მცირემიწიანი ფერმერებისთვის, რაც აძნელებს პროდუქციის სტაბილურ ბაზარზე ექსპორტირებას; დაინტერესებული მხარეებისთვის, სპეციალისტებისთვის სატრენინგო პროგრამების არარსებობა; მორწყვის პრობლემა (სარწყავ წყალზე ნაკლები ხელმისაწვდომობა); მალფუჭებადი პროდუქცია; ბაზრის და სხვა კვლევებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა; საკონსულტაციო მომსახურებაზე ნაკლები ხელმისაწვდომობა
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
განვითარება ტექნოლოგიური თვალსაზრისით (სასაწყობე-სამაცივრე მეურნეობის განვითარება); პერსპექტიული საადრეო ჯიშების გამოყვანა და წარმოება; კოოპერატივების ჩამოყალიბება; ჯგუფური სერტიფიცირება; მცირე მწარმოებლების დაკავშირება კონსოლიდატორებთან; დეფიციტურ ბაზრებზე წვდომა	კლიმატის ცვლილება, ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენები (უამინდობა); მავნებელ-დაავადებების გავრცელება; ექსპორტის ბაზრის არასტაბილურობა, რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულება

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული მიმართულებების მხარდაჭერა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორია. სოფლის მეურნეობის პირველადი და გადამუშავებული პროდუქციის ადგილობრივი წარმოება ასევე მნიშვნელოვანია რეგიონში მონათესავე დარგების (მაგალითად, აგროტურიზმი, სათავგადასავლო ტურიზმი, გასტროტურიზმი და სხვ.) განვითარებისთვის. აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული დარგები მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ხასიათდება კომპეტენტური სამუშაო ძალის ნაკლებობითა და შეზღუდული ინფრასტრუქტურით.

მართალია, კონკრეტული რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს შესაბამის სექტორებს, მაგრამ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის განვითარებაზე ზრუნვა მოითხოვს ინტეგრირებული მიდგომების დანერგვას და არა მხოლოდ რომელიმე ერთ სექტორზე ფოკუსირებას. აუცილებელია კომპლექსური მიდგომების გამოყენება, რაც ორიენტირებული იქნება მთლიანად ოზურგეთის მუნიციპალიტეტზე და არა ცალკეული სექტორების განვითარებაზე.

მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეგიონულ ღირებულებათა ჯაჭვის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- კლიმატგონივრული პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების პრაქტიკის დანერგვა
- გადამამუშავებელი და მოსავლის აღების შემდგომი დამუშავების ინფრასტრუქტურის განვითარებით რეგიონში დამატებითი ღირებულების შექმნა
- ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია და მარკეტინგული მხარდაჭერა
- ბაზარზე წვდომის გაუმჯობესება

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შესაძლებელია ეფექტიანი და ინოვაციური მიდგომების შესახებ ტრენინგების ჩატარება და ინფორმაციის გავრცელების კამპანიების რეგულარული წარმოება როგორც სახელმწიფო, ისე კერძო და არასამთავრობო სექტორის ჩართულობით (და ყოველივე ამის შემდგომი მონიტორინგი), რადგანაც ასეთი ტიპის საქმიანობა შედარებით ნაკლებდანახარჯიანი ინტერვენციების სწრაფი და მაღალი უკუგების შესაძლებლობას იძლევა.

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის კვლევა

გურიაში ბოლო ხუთი წლის მანძილზე ტურიზმი გახდა სამთავრობო ორგანიზაციების სტრატეგიული დოკუმენტების განუყოფელი ნაწილი და ის განიხილება, როგორც რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, სოფლის ტერიტორიების აღორძინებისა და ეკონომიკის დივერსიფიკაციის ალტერნატიული მექანიზმი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, გურიის სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად, სარგებლობს გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიით. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ რეგიონის მდებარეობა, სიახლოვე ქუთაისისა და ბათუმის აეროპორტებთან, რკინიგზის ხელმისაწვდომობა რეგიონის ძლიერი მხარეა და ხელს უწყობს სათავგადასავლო, ეკო, აგრო და კულტურული ტურიზმის განვითარებას.

ოზურგეთში მდგრადი ტურიზმის განვითარებას მხარს უჭერენ რეგიონში არსებული სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუტები. მაგალითად, ეროვნული სატყეო სააგენტო და დაცული ტერიტორიების სააგენტო, საქართველოს სხვა რეგიონების მსგავსად, გურიის ტურიზმს განიხილავენ, როგორც ტყის მრავალფუნქციური და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების მექანიზმს – აქცენტი კეთდება ტერიტორიების მართვის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვაზე, ეკონომიკური სარგებლის გაზიარებასა და საარსებო წყაროს გაუმჯობესებაზე. იმ დროისთვის, როცა გურიის დაცული ტერიტორიების დაარსების პროცესი დასრულდება,

დაგეგმილია ტერიტორიების საზღვრების დემარკაცია. შედეგად, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ერთად, დაიწყებს ეკოტურისტული მარშრუტებისა და ტურისტული პროდუქტების განვითარებას. ამ დროს განსაკუთრებით მიექცევა ყურადღება ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობასა და სარგებლის მიღებას. შესაბამისად, გურიაში ტურისტული პროექტების განვითარების ჩარჩო დოკუმენტს წარმოადგენს საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია 2020-2030 და სამოქმედო გეგმა 2023-2025, ასევე, საქართველოს ტურიზმის ეროვნული სტრატეგია 2015-2025 და სამოქმედო გეგმა.

6.1 ბუნებრივი რესურსები და ძირითადი ტურისტული ღირებულებები

ოზურგეთის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის (დესტინაციის), პოტენციალს ადგილზე მიწოდების ფიზიკური ელემენტები განაპირობებს. ესენია: ბუნებრივი რესურსები და გარემო, შექმნილი (ხელოვნური) გარემო – ინფრასტრუქტურა, ოპერაციული (ინდუსტრიული) გარემო და მასპინძლობა. მიწოდება ტურიზმის პოლიტიკას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს. თუმცა რესურსების ტურისტულ პროდუქტად შეკვრას არსებული ტურისტული მოთხოვნა და კონკურენტუნარიანი გარემო განაპირობებს. მომდევნო თავებში აღწერილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებული მიწოდების და მოთხოვნის ელემენტები.

6.2 ბუნებრივი რესურსი და გარემო

ოზურგეთის მთაგორიანი ლანდშაფტი და ზღვის სანაპირო ზოლი აქტიური სათავგადასავლო და პასიური სარელაქსაციო დასვენების პირობებს ქმნის ვიზიტორებისთვის. მიწოდების ფუნდამენტური ელემენტებია ზომიერი კლიმატი, მთის და ზღვის ჰაერი, მთაგორიანი რელიეფი, არაურბანული ლანდშაფტი მდინარეების ხეობებითა და გორაკ-ბორცვებით, ზღვის სანაპირო ზოლი, სამთო კლიმატური კურორტები და სხვ. ალპურ ზონაში მდებარე ტბები, მდელოები და ხედები საინტერესო დანიშნულების ადგილებია სათავგადასავლო ტურიზმის მოყვარულთათვის. ჯაჯის ტბა, რომელიც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის, უფრო ადვილად მისასვლელია ოზურგეთიდან და შეიძლება ოზურგეთის ტურისტული დანიშნულების ადგილად მოვიაზროთ. ვიზიტორთათვის ასევე მიმზიდველია მდინარე ბუუჟისა და ნატანების ხეობები, მაკვანეთის ჩანჩქერი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 20,932 ჰა ტყის ფართობს უჭირავს. აქ გვხდება წაბლი, რცხილა, მურყანი, წიფელი და სხვ.

ოზურგეთის კლიმატური პირობები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებიდან ხელს უწყობს ციტრუსის, კენკროვანი და კურკოვანი სუბტროპიკული ხილის მოყვანას. გაიზარდა ლურჯი მოცვის წარმოება. რეგიონში მცირე ზომის ჩაის გადამამუშავებელი საწარმოები ფუნქციონირებს. ზოგიერთი მათგანი დაკავშირებულია გურიის ჩაის მარშრუტთან.

ცხრილი 1: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობები

ბუნებრივი ღირშესანიშნაობები
ხეობები და კანიონები: ბუუჟის სათავე და ბუუჟის ხეობა, ვაშლების ველი (ბუუჟის ხეობა), აჭის ხეობა, აგიდაყვის ხეობა, ასკანიტის კანიონები/საბადო (მთისპირის ციხესთან), ასკანის ხეობა და ჩანჩქერი, ნატანების ხეობა და გამოქვაბული/„სტალინის ფოსტა“
ტბები და ჩანჩქერები: ჭინჭაოს ტბა, მთისპირის ტბა, მაკვანეთის ჩანჩქერი, მთის, ტყის და სოფლის ლანდშაფტი, გომისმთა, გოგიეთის ეკოპარკი, ბაზიერთა გორა/ზემო მაკვანეთი, საყორნიის მთა (2,757 მ), ვაკიჯვრის ტყე (ესაზღვრება გომისმთას), ექადიის ტყე-პარკი
სხვა: დენდროლოგიური პარკები (წვერმაღალასა და შეკვეთილის დენდროლოგიური პარკები), მუსიკოსთა პარკი, ურეკი, შეკვეთილი (წვრილმარცვლოვანი მაგნიტური ქვიშის პლაჟებით), ნატანები

ოზურგეთის მიმდებარე მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე არსებული ბუნებრივი ობიექტებიდან, რომლებიც საინტერესოა კომბინირებული ტურისტული მარშრუტების დაგეგმარების თვალსაზრისით, აღსანიშნავია: ჯაჯის ტბა (ჩოხატაური), მწვანე ტბა, კინტრიშისა და მტირალას დაცული ტერიტორიები (ქედის, ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტები).

6.3 შექმნილი (ხელოვნური) გარემო, ინფრასტრუქტურა

მატერიალური კულტურის მემკვიდრეობა უმთავრესად წარმოდგენილია ტაძრებითა და მონასტრებით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბევრი ნასახლარი და ძველი ეკლესიების ნანგრევებია წარმოდგენილი. ტურისტული თვალსაზრისით, პოპულარულია აჭის წმინდა გიორგის ეკლესია, ჯუმათისა და შემოქმედის მონასტრები, ლიხაურის ეკლესია და სხვ.

ცხრილი 2. ოზურგეთის კულტურული რესურსები

კულტურული ძეგლები
ციხეები: ასკანის ციხე, ლიხაურის ციხე
ეკლესია-მონასტრები: ჯუმათის მონასტერი, შემოქმედის მონასტერი, აჭის მონასტერი, ბაილეთის ეკლესია, გორისფერდის ეკლესია შემოქმედში (დანგრეული), ვანისქედის ეკლესია, ლაითურის მრგვალი ეკლესია, დვაბზუს ეკლესია
უძველესი ნამოსახლარები და ეთნოლოგიური მემკვიდრეობა: ქვის საწნახელი შემოქმედში (შეუსწავლელია), ანასეულის ნამოსახლარი, გურიანთის ნამოსახლარი, ხვარბეთ-ნაღობილევის ნაშთები, ვაშნარის ნაქალაქარი, აბანოს ნაშთები ქალაქის ცენტრში, სიამაშვილების მარანი (ბაღდადი), დიმიტრი თესალონიკელის ნატაძრალი (მაკვანეთი)
სახლ-მუზეუმები და ოდები: ოზურგეთის ისტორიული მუზეუმი, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი, დვაბზუს ეთნოგრაფიული მუზეუმი, სახლ-მუზეუმები (შალვა რადიანის, ექვთიმე თაყაიშვილის და სხვ.), გურული ოდა-სახლები

გარდა მატერიალური კულტურის ძეგლებისა, მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან ტურისტულ რესურსს წარმოადგენს აქ არსებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა. გულთ-

ბილი მასპინძლობა, გურული იუმორი, ტრადიციული სამზარეულო, ფოლკლორი არამატერიალური კულტურის მრავალფეროვნების განუყოფელი ნაწილია. ჩაის ისტორია და დამზადების ტრადიციები ტურისტულ ნიშად იქცა ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის. რეგიონში არსებული ანზორ ერქომაიშვილის სახელობის სტუდია და ბავშვთა ქორეოგრაფიული და ხალხური სიმღერის შემსწავლელი სტუდიები ქართული პოლიფონიის ტრადიციებს აგრძელებენ. ადგილობრივი ხელსაქმიდან ჯერ კიდევ შემორჩენილია ავეჯისა და სუვენირების დასამზადებლად ბამბუკის გამოყენების ხელოვნება (ძირითადად, სოფ. ნატანებში). სოფელ მაკვანეთიდან იღებს სათავეს ქართული აკვნის დამზადება. ტრადიციული საქმიანობაა ორშიმოს (ღვინის ჭურჭელი), გიდლებისა და სხვა ტიპის კალათების, ასევე საშობაო გურული ნაძვის ხეების, ე.წ. „ჩიჩილაკების“, დამზადება.

გურიის, კერძოდ, ოზურგეთის ტრადიციები კარგად აისახება დღესასწაულ „ალეგრობაში“. სამწუხაროდ, ეს ტრადიციული საქველმოქმედო ზეიმი მივიწყებულია.

არამატერიალური მემკვიდრეობა
ტრადიციები: „კალანდა“, „ალეგრობა“, ნადი
ზეპირი გადმოცემები და ისტორია: ჩაის ისტორია, გურიის რესპუბლიკის ისტორია, ჩალანდრების ისტორია
კულინარია და გასტრონომია: გურული კერძები, ღვინო „ჯანჯუხა“ და სხვ., ქართული ტრადიციებით დამზადებული პროდუქტი: ჭურში დაყენებული და შენახული ღვინო, პოლიფონია და ფოლკლორი
ხელსაქმე: გიდლის, ჩიჩილაკის, ორშიმოს, გურული სამოსის, ქვის კეცის, გოდრის დამზადება

6.4 მასპინძლობა, ეკოტურისტული პროდუქტები და მომსახურების მიმწოდებლები

მუნიციპალიტეტში ეკოტურისტული პროდუქტისა და სერვისების მიმწოდებლებიდან წარმოდგენილია სასტუმროები, სასტუმრო სახლები, ღვინის მარნები, კაფე-რესტორნები. საინტერესოა ოჯახური რესტორნები აგრო და გასტროტურისტული გურული და სეზონური კერძების შეთავაზებებით[6]. სასტუმროებისა და სასტუმრო სახლების უმრავლესობა ზღვისპირა კურორტებზე – შეკვეთილსა და ურეკში – მდებარეობს.[7],[8]

არსებული ტურისტული არეალები და მარშრუტები

ოზურგეთში მარკირებულია ხუთი საფეხმავლო ბილიკი ტექნიკური რეგლამენტის დაცვით. მარშრუტები მოიცავს როგორც უშუალოდ ოზურგეთის მუნუციპალიტეტის შიდა ტერიტორიას, ასევე გურიის სხვა მუნიციპალიტეტებთან დამაკავშირებელ მიმართულებებს. თითქმის ყველა ბილიკი გარკვეულწილად კვეთს ტყის და დაგეგმილ დაცულ ტერიტორიებს[9]. მარკირებული მარშრუტების ინფრასტრუქტურაც უმთავრესად მხოლოდ მანიშნებლებით შემოიფარგლება; არ არის საპიკნიკე/საკემპინგე ადგილები და სამთო თავშესაფრები. ტურისტულ მარშრუტებს აქვს საცხენოსნო და ველოტურების პოტენციალიც.

---

6 https://bit.ly/3Tvi3Pm
7 წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2023
8 https://bit.ly/3Tvi3Pm
9 https://bit.ly/3Tvi3Pm

ოზურგეთში, კერძოდ, სოფელ გომსა და გომისმთას შორის, მდინარე ბჟუჟზე ყოველწლიურად იმართება ევროპის საკვალიფიკაციო ტურნირი კაიაკინგში. ღონისძიება რეგულარულად (მაისში) ტარდება და მასპინძლობს საშუალოდ 200-მდე მონაწილეს ევროპის ქვეყნებიდან. ღონისძიებაზე უსაფრთხოებასა და დახმარებას უზრუნველყოფს ოზურგეთის მუნიციპალიტეტი. მონაწილეები ღამის გასათევად რჩებიან მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ ოჯახებში, სასტუმრო სახლებში და ყიდულობენ ადგილზე წარმოებულ პროდუქციას.

სათავგადასავლო მარშრუტების გარდა, ოზურგეთში წარმოდგენილია „ღვინის გზა“ და „გურიის სტუმარმასპინძლობის მარშრუტი“ (ამ უკანასკნელის თანმხლებია „გურიის ჩაის გზა“). მარშრუტი აერთიანებს ჩაის, ჩირის, თაფლისა და ჩურჩხელის მწარმოებლებს, ოჯახური რესტორნებისა და სასტუმრო სახლების მფლობელებს.

6.5 ტურისტული მოთხოვნა

6.5.1 საერთაშორისო და ეროვნული ტურისტული ბაზრები

სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ყველაზე მეტი ვიზიტორი ჰყავს პროექტის სამიზნე რეგიონებს შორის. მუნიციპალიტეტის მონაცემებით, მათი დაახლოებით 15% საერთაშორისო ვიზიტორია. მათ შორის არიან ბიზნესვიზიტორები, რომლებიც პროექტების ფარგლებში სტუმრობენ გურიის რეგიონს და ღამის გასათევად ოზურგეთის სასტუმროებს ირჩევენ.



ძირითადი სეგმენტი:	ინფორმაციის წყარო:	ვიზიტორთა კმაყოფილება:	ვიზიტორთა უკმაყოფილება:
სათავგადასავლო აქტივობების მოყვარულები და ზღვაზე დამსვენებლები, ბავშვიანი ოჯახები, ბუნების წიაღში სასეირნოდ და/ან ზღვაზე ჩამოსული დამსვენებლები, ინდივიდუალური ტურისტები და მცირე ჯგუფები კონკრეტული სამოგზაურო მიზნებით	ინტერნეტი და სოციალური მედია; ვიზიტორები ინდივიდუალურად გეგმავენ დასვენებას, იყენებენ online-დაჯავშნის პლატფორმებს: booking.com, Tripadvisor	ლაშქრობა გომისმთაზე ტბებისა და ჩანჩქერების სანახავად, სიმწვანე, ხელუხლებელი ბუნება და გურული მასპინძლობა; ზღვის სანაპირო	საზოგადოებრივ ტრანსპორტზე ცუდი წვდომა, საინფორმაციო ნიშნების არარსებობა, ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების, საინფორმაციო დაფების ნაკლებობა და ნარჩენების მართვის დეფიციტი გარემოს დამზოგავი აქტივობების სიმცირე

6.5.2 ტურისტების სტატისტიკა

2022 წელს 15 წლის და უფროსი ასაკის რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ ოზურგეთში შეადგინა 269.5 ათასი, რაც 20%-ით მეტია წინა წელთან შედარებით. ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მონაცემებით, საერთაშორისო ვიზიტორები საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების დაახლოებით 15%-ს შეადგენენ.

15 წლის და უფროსი ასაკის რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა, ათასი		
	2019	2022
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	218.7	269.5
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	99.0	140.9
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	76.5	82.4

ვიზიტის ხანგრძლივობა: 2022 წელს ოზურგეთში საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების დარჩენის საშუალო ხანგრძლივობა, 2019 წლის მონაცემებთან შედარებით, გაორმაგებულია და ის შეადგენდა 4 ღამეს.

15 წლის და უფროსი ასაკის რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოში განხორციელებული ვიზიტებისას გათეული ღამეების საშუალო რაოდენობა		
	2019	2022
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	2.14	4.02
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	2.20	3.66
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	3.77	2.48

ძირითადი ტურისტული სეზონი: ივლისი-სექტემბერი

6.5.3 ძირითადი გამოწვევები და ტურისტული პროდუქტების განვითარების პოტენციალი ოზურგეთში

ოზურგეთის ადგილმდებარეობა, მწვანე და მრავალფეროვანი გარემო, 22 კმ-იანი სანაპირო ზოლი, სიახლოვე ცენტრალურ მაგისტრალთან, საერთაშორისო აეროპორტებთან, წელიწადის ოთხივე სეზონზე ამ დანიშნულების ადგილთან წვდომა ქმნის ტურიზმის განვითარების პოტენციალს. დაცული ტერიტორიების დაარსება, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და რეგიონის ბრენდირება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ტურისტების რაოდენობის ზრდას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალი არ არის სრულად ათვისებული. ამის ძირითადი მიზეზია შესაბამისი ინფრასტრუქტურის ნაწილობრივი დეფიციტი და ადამიანური რესურსების არასაკმარისი რაოდენობა. მიუხედავად ტურიზმის განვითარების სტრატეგიის შემუშავებისა, ტურისტული პროექტები, მათ შორის, ოზურგეთში ფრინველებზე დაკვირვების ტურის, ასევე, ჯომარდობის პუნქტის მოწყობა და სხვ., მუნიციპალიტეტში ხორციელდება ფრაგმენტულად, სუსტია დონორი ინსტიტუტების მიერ მხარდაჭერილი პროექტების მდგრადობა ადგილზე არასაკმარისი თანამშრომლობის გამო. ტურისტული პროდუქტის განვითარების კუთხით გურიის მუნიციპალიტეტებისა და მუზეუმების ადმინისტრაციების წარმომადგენლებმა გააკეთეს კულტურულ-ისტორიული ძეგლების (როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური) ინვენტარიზაცია. თუმცა არასაკმარისად არის გამოყენებული ოზურგეთის ბუნებრივ-კულტურუ-

ლი რესურსები. გურიის შესახებ ინტერნეტში მწირი ინფორმაციაა და არ არსებობს თემატური ტურისტული პროდუქტების განვითარების მარკეტინგული სტრატეგია. რეგიონში გამოიკვეთა ალტერნატიული ენერგორესურსებისა და გარემოს მიმართ პასუხისმგებლობის შემცველი ტურისტული აქტივობების შესახებ ცოდნის დეფიციტი.

ქვემოთ მოცემული SWOT-ანალიზი წარმოადგენს 2023 წლის 27 ნოემბრის სამუშაო შეხვედრის მონაწილე დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებს. მონაწილეებმა გამოავლინეს ოზურგეთის ტურიზმის განვითარების საჭიროებები, გამოწვევები და შესაძლებლობები.

6.6 ტურისტული პოტენციალის SWOT-ანალიზი

ძლიერი მხარე	სუსტი მხარე
ადამიანური რესურსები გურული იუმორი, სისხარტე და მასპინძლობა; მცირე საგრანტო პროგრამების ფარგლებში დაფინანსებული პროექტების განხორციელების გამოცდილება;[10] ასოციაცია „გურიის ჩაის გზა“; პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“; Naturland-ისა[11] და Eco.Georgia-ს პროექტები **კულტურული რესურსები** კულტურული მემკვიდრეობა; ტრადიციული მეურნეობები (მეფუტკრეობა, მევენახეობა/მეღვინეობა, მეციტრუსეობა) სამეურნეო ინვენტარი და ვაზის უნიკალური ჯიშები **ბუნებრივი რეკრეაციული რესურსები** წყლის რესურსები და მუავე წყლები; მთაგორიანი რელიეფი და გეოლოგიური სტრუქტურა; ბიომრავალფეროვნება; დაცული ტერიტორიები, ტყე, არამერქნული რესურსები; ურეკის მაგნიტური ქვიშა	**მართვა და მმართველობა** ტურიზმის სამსახურის, საინფორმაციო ცენტრის, ადგილის მართვის ორგანიზაციის დეფიციტი; სახელმწიფოს და კერძო სექტორის თანამშრომლობის, კერძო სექტორზე მარკეტინგული ფუნქციების დელეგირების დეფიციტი **ადამიანური რესურსების ნაკლებობა** კვალიფიციური კადრების დეფიციტი; მოტივაციის სიმცირე; გარემოს მიმართ პასუხისმგებლობის დეფიციტი ტურისტული ინფრასტრუქტურა შიდა გადაადგილებისთვის საჭირო ტრანსპორტის დეფიციტი; გასართობი სივრცეების დეფიციტი; ტუროპერატორების არარსებობა; კვების ობიექტებისა და სასტუმრო სახლების/ გესთჰაუზების სიმცირე; მცირე და საშუალო ბიზნესისთვის საჭირო ფინანსების ნაკლებობა; ტურისტული ბანერების/დაფების ნაკლებობა; გზის მანიშნებლების დეფიციტი; ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების დეფიციტი

[10] Cherritte-ის, USAID-ის პროექტების, ფარგლებში

[11] „ნატურლანდის“ ინიციატივა ხელს უწყობს პროფესიული სტრუქტურების ჩამოყალიბების გაძლიერებას ორგანული მეურნე-

ტურისტული ინფრასტრუქტურა და სერვისი	ძირითადი ინფრასტრუქტურა
„ბლექ სი არენა“; დენდროლოგიური პარკები; მუსიკალური პარკი; სასტუმროების, სასტუმრო სახლებისა და ეკოკოტეჯების რაოდენობის ზრდის ტენდენცია **ტურისტული პროდუქტი** „ჩაის გზა“, „ღვინის გზა“; კაიაკინგის ჩემპიონატი ბუჟუჟის ხეობაში; სხვა მუნიციპალიტეტებთან დამაკავშირებელი კომბინირებული ბილიკები **მიმზიდველობა/ცნობადობა** ახალი დესტინაცია, „აღმოუჩენელი“ ტურისტული ადგილების ხელსაყრელი მდებარეობა, სიახლოვე რკინიგზის სადგურთან, საერთაშორისო აეროპორტებთან; ვებგვერდი „ რა ყოფილა გურია“	შიდა გზების გაუმართაობა; წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემის გაუმართაობა; გარემოს მიმართ პასუხისმგებლობის შემცველი აქტივობების დეფიციტი (კომპოსტი, მზის და წყლის რესურსების გამოყენება) **ტურისტული პროდუქტი** სერვისის/პროდუქტის მიმწოდებლების არასაკმარისი თანამშრომლობა ერთმანეთთან; ადგილზე სურსათის მიწოდების ჯაჭვის დეფიციტი; არადივერსიფიცირებული პროდუქტები; შეუსწავლელი გურული სამზარეულო; მივიწყებული ტრადიციული დღესასწაულები (მაგალითად, „კალანდა“, „ალეგრობა“) **მიმზიდველობა/ცნობადობა** ბაზარზე შეზღუდული წვდომა; ცნობადობის დეფიციტი; არაბრენდირებული პროდუქტი, დესტინაცია; არ არის მონიშნული ტურისტული ბილიკები; იმიჯის შემქმნელი ვიდეორგოლების რაოდენობის სიმცირე; ტრანზიტული რეგიონი, აჭარასთან შედარებით ნაკლებად კონკურენტუნარიანი; მობილური ტურისტული აპლიკაციების არარსებობა

ობის დანერგვის შესაბამისი განათლების, სერვისების განვითარებისა და ორგანიზაციათაშორისი თანამშრომლობის სფეროში და მხარს უჭერს როგორც ადგილობრივ, ისე ევროკავშირის ბაზარზე ორგანული პროდუქტების ღირებულების ჯაჭვის განვითარებას. საქართველოში Sustain Caucasus International-თან ერთად პროექტი თანამშრომლობს ხუთ ადგილობრივ პარტნიორთან: ორგანული მეურნეობის ასოციაცია „ელკანა“, საქართველოს ორგანული ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია (GOTPA), ფერმერ ქალთა ასოციაცია (WFA), ბუნებრივი ღვინის ასოციაცია (NWA), საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA).

შესაძლებლობები	საფრთხეები
მართვა და მმართველობა სახელმწიფო და კერძო სექტორების ფუნქციების გამიჯვნა DMO-ს მსგავსი სტრუქტურის შექმნით; გურიის ტურისტული სტრატეგიის განახლება თანამონაწილეობითი მიდგომების დანერგვით, რაც გულისხმობს პროცესში ყველა ასაკის წარმომადგენელთა (ბავშვიდან პენსიონერამდე) ჩართვას, მომიჯნავე დარგების სპეციალისტებთან თანამშრომლობას (ინტერდისციპლინურობა) **ადამიანური რესურსები** გაცვლითი პროგრამების ორგანიზება საუკეთესო პრაქტიკის გასაცნობად; PR-სპეციალისტების გადამზადება; ჩაის მასპინძლობის და სხვა მოკლევადიანი კურსების მომზადება პროფესიულ სასწავლებელ „ჰორიზონტში“ **აგრო-გასტროტურიზმი** აგრო და გასტროტურიზმის დანიშნულების ადგილების/დესტინაციების იდენტიფიცირება და მათი აღწერილობის მომზადება, რომელშიც თავმოყრილია ტრადიციული სამზარეულოს ელემენტები; სადეგუსტაციო სივრცეების მოწყობა; მინდვრისა და ტყის რესურსების გამოყენება; საკალმახე მეურნეობების პროდუქტის დაკავშირება ტურისტულ ბაზართან; სადემონსტრაციო სივრცეების მოწყობა; ტრადიციების წარმოდგენა პერფორმანსების სახით (ნადი გურიაში, „კალანდა“); ხელსაქმის ოსტატების მხარდაჭერა; გარემოდამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენება; ბიოპროდუქტებისა და ეკომეგობრული პროდუქტების წარმოების გაზრდა (ტრადიციული პროდუქტები (ჩაი, ყურძენი, ღვინო, ციტრუსი) და ადგილობრივი ხელსაქმის მცოდნეთა ნაკეთობები)	არასტაბილური პოლიტიკური გარემო; ბუნებრივი საფრთხეები

სათავგადასავლო ტურიზმი, ეკოტურიზმი საფეხმავლო, საცხენოსნო, საწყლოსნო, ველო- და ექსტრემალური ტურისტული მარშრუტების იდენტიფიცირება და აღწერა, მაგ., სალაშქრო და საცხენოსნო ტური: ვაკიჯვარი-გომი-ბახმარო; მარშრუტი ჭინჭაოს მთიდან ქობულეთამდე და კინტრიშის ეროვნულ პარკამდე (აჭარის რეგიონი); საბანაკე სივრცე გურიანთაში (ვაშნარი), მისი ადაპტირება და აღჭურვა აღნიშნული აქტივობისთვის; ევროპის საკვალიფიკაციო ტურნირი კაიაკინგში მდ. ბჟუჟზე ეკო-აგროტურიზმის განვითარება ლიხაურის ციხის, მდ. აჭისწყლის ხეობის, ანასეულის დენდროლოგიური პარკის, საქუხიას, ძიმითის ჩანჩქერების გარშემო ამბების „გაცოცხლება“, ლეგენდების შესახებ ინფორმაციის მოძიება და ბილიკების გეგმარება; შესწავლილი მარშრუტების მარკირება; გიდების გადამზადება; საბანაკე სივრცეების მოწყობა და ადაპტირება სხვადასხვა აქტივობისთვის (მაგ., გურიანთის ვაშნარში); გარემოს მიმართ პასუხისმგებლობის შემცველი აქტივობების დანერგვა **კულტურული ტურიზმი** ნაკლებად ცნობადი კულტურული ძეგლების შესახებ ინფორმაციის მოპოვება; ლეგენდების, თქმულებების, ისტორიების, მათ შორის, ცნობილი ადამიანების შესახებ ამბების მოძიება და „გაცოცხლება“; კულტურული მარშრუტების იდენტიფიცირება და მონიშვნა; საინფორმაციო დაფების დამზადება და მონტაჟი გიდების გადამზადების სერვისების დანერგვა (უცხო ენების შემსწავლელი კურსები) ოზურგეთის 2-3 სთ-იანი საფეხმავლო სითი-ტურის პროგრამის შედგენა საინფორმაციო/ საინტერპრეტაციო მასალის გამოყენებით	

მარკეტინგი ტურისტული პროდუქტების განვითარების სტრატეგიები; გურიის, როგორც მწვანე რეგიონის, ბრენდინგი; ნიშური პროდუქტის პოზიციონირება; საშუალო შემოსავლის მქონე და მაღალშემოსავლიან ტურისტებზე ორიენტირება; სტანდარტებისა და სავაჭრო ნიშნის (ხარისხის ნიშანი) დანერგვა ტურისტული პროდუქტის ხარისხისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით; გასაცნობი და პრეს-ტურების ორგანიზება ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრებისთვის, ასევე, ბლოგერებისთვის; აპლიკაციების, ვიდეორგოლების, ბროშურებისა და ბუკლეტების დამზადება; გურული სამზარეულოს შესახებ წიგნის გამოცემა; ტურისტული რუკის შექმნა; „გურიის ჩაის გზის“ რეკლამა აეროპორტებსა და რკინიგზის სადგურებში; ტურისტული სააგენტოს შექმნა; ფესტივალების რეგულარულად ორგანიზება (ჩაის ფესტივალის მასშტაბის გაზრდა)	

6.7 რეკომენდაციები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებული სიტუაციის მიმოხილვა შეიძლება შეჯამდეს შემდეგნაირად:

- ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა მნიშვნელოვანი ასპექტია ოზურგეთის ტურიზმის განვითარებისათვის;
- ტურისტული სეზონის გასახანგრძლივებლად საჭიროა სხვადასხვა ტურისტული შეთავაზების შემუშავება (მათ შორის, ზამთრის სეზონისთვის);
- გასათვალისწინებელია დასვენებაზე (გომისმთა), თავგადასავალსა და ეკოლოგიურ აქტივობებზე დაფუძნებულ ტურიზმზე მზარდი მოთხოვნა; შესაბამისად, ტურისტული პაკეტების დივერსიფიკაცია (საცხენოსნო, ველო, სამთო-სალაშქრო მარშრუტები, გასტრო-აგრო, ეთნოგრაფიული ტურები და სხვ.);
- გასათვალისწინებელია ასევე კონკრეტული ტურისტული პროდუქტებისა და პაკეტების შექმნა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის (ერთდღიანი ტურები, მრავალდღიანი ტურები, თემატური ტურები (ბუნების შემეცნებითი, კულტურული, ეთნოგრაფიული, გასტროტურები და სხვ.), მათ შორის, ოზურგეთის 2-3-საათიანი სითი-ტური;

- მცირე ბიზნესის ხელშეწყობა გარემოს მიმართ პასუხისმგებლობის შემცველი აქტივობების, ეკომეგობრული პროდუქტების დივერსიფიკაციისა და ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის საჭიროების გათვალისწინებით;
- საჭიროა თემატური ფესტივალების ორგანიზების ხელშეწყობა სურსათის მიწოდების ჯაჭვის, ცნობადობის ამაღლებისა და დაინტერესებულ მხარეთა თანამშრომლობის მასშტაბის გაზრდის/კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით;
- დასახული მიზნების მისაღწევად საყურადღებოა ადგილზე შესაძლებლობების გაფართოება ადამიანური რესურსების, კვალიფიციური პერსონალის ხელშეწყობის გზით, კერძოდ, ტექნიკური დახმარების გაწევა (ტრენინგების მოწყობა) სურსათის უვნებლობის, ინდივიდუალური შეკვეთისთვის (a la carte) ადგილობრივი კერძების მენიუს მომზადების, მარკირებული ბილიკების (გაცოცხლებული ისტორიების) და სხვა სახის შემოქმედებითი ტურისტული პროდუქტების დანერგვის საკითხებში; პროფესიულ კოლეჯ „ჰორიზონტში“ პროფესიული კურსების დანერგვის ხელშეწყობა (გასტრონომიული მიმართულება, კულინარიის მასტერკლასები, ჩაის/ღვინის დაგემოვნება და სხვ.);
- მარკეტინგის მხრივ, ასევე საყურადღებოა ვიდეორგოლების, ციფრული მედიის გამოყენება შერჩეული ლოკაციების წარმოჩენისთვის. კარგი იქნება „სლოუ ფუდის“ კონცეფციის დანერგვის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, ვებგვერდის „რა ყოფილა გურია!“ გაცოცხლება.

7. ჯანდაცვა და სოციალური დაცვა

ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „მწვანე გურია – ადგილობრივი დემოკრატიისა და სოფლის განვითარების მხარდაჭერა ინკლუზიური და მწვანე ზრდისთვის“ ფარგლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ჩატარდა შეხვედრა/ფოკუსჯგუფი ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სფეროში მომუშავე ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების (LAG) წარმომადგენლებთან და სხვა აქტიურ მოქალაქეებთან. ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს და გამოხატეს მოსაზრებები იმ გამოწვევების შესახებ, რომლებიც ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მიმართულებით ადგილობრივ თემს აწუხებს; გამოვლინდა არსებული შესაძლებლობებიც. გაკეთდა SWOT-ანალიზი, რომლის ფარგლებშიც გამოიკვეთა შემდეგი საკითხები:

სოფლად პირველადი ჯანდაცვის სერვისების უკეთესი კოორდინაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით 2022 წლიდან „სოფლის ექიმის პროგრამის“ ადმინისტრირება გადაეცა სახელმწიფო სამედიცინო ჰოლდინგს. პროგრამის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს სოფლად პირველადი ჯანდაცვის სერვისების განვითარებას, მოსახლეობისთვის უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფოკუსჯგუფის წევრები დადებითად აფასებენ „სოფლის ექიმის პროგრამის“ ჰოლდინგისთვის გადაცემას და თვლიან, რომ ცენტრალური მართვის პრინციპით უკეთ მოგვარდება ის პრობლემები, რომლებიც სოფლის ექიმების წინაშე დღესდღეობით დგას.

ასევე ძლიერ მხარედ იქნა მიჩნეული ექთნების გაძლიერება და დადებითად შეფასდა რე-

ფორმა, რომლის ფარგლებშიც საექთნო სფერო რეგულირებადი პროფესია გახდება და დადგინდება ექთნებისა და მეანი ექთნების კომპეტენციები, მათი კლინიკური პრაქტიკის შინაარსისა და მოცულობის გათვალისწინებით, რაც, ერთი მხრივ, გაზრდის ექთნების საქმიანობის ეფექტიანობას, გააუმჯობესებს საქმიანობის ზედამხედველობის შესაძლებლობას, მეორე მხრივ, უკეთ იქნება დაცული მათი უფლებები.

ოზურგეთის ფოკუსჯგუფის წარმომადგენლების მოსაზრებით, მუნიციპალიტეტს გამართული და ეფექტური მუნიციპალური პროგრამები აქვს ჯანდაცვის და სოციალური დაცვის მიმართულებით. პროგრამები მორგებულია ადგილობრივ საჭიროებებზე. ისინი მუდმივად განახლდება და ემატება ახალი პროგრამები. განსაკუთრებით გამოიყო ლეიკემიით დაავადებული და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარების პროგრამა და მისი დადებითი მხარეები, ასევე ძვირად ღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში სიმსივნეების გავრცელების მაჩვენებელი იმატებს, ეს პროგრამები ადგილობრივი თემისთვის მეტად აქტუალური ხდება.

ჯგუფის წევრები ასევე ძლიერ მხარედ მიიჩნევენ სამედიცინო სფეროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოწვევას რაიონში, რათა მოქალაქეებმა ადგილზე უკეთესი სამედიცინო მომსახურება მიიღონ. ეს პრაქტიკა სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯია. თუმცა აღნიშნავენ, რომ უფრო ხშირად და უფრო მეტი სპეციალისტი უნდა ჩამოდიოდეს, რათა მოსახლეობამ ადგილზე მიიღოს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურება.

პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ერთ-ერთი პრიორიტეტი არის ციფრული ტექნოლოგიებისა და ტელემედიცინის დანერგვა. ოზურგეთის რაიონის რამდენიმე სოფლის ამბულატორია უკვე ჩართულია ტელემედიცინის პროექტში და დადებითად აფასებს მას. სოფლის ექიმები აღნიშნავენ, რომ ეს გაამარტივებს სერვისებზე სპეციალისტების ხელმისაწვდომობას და გააუმჯობესებს მკურნალობის ხარისხს. ზოგადად, ტელემედიცინა ხელს შეუწყობს შედარებით მაღალი ხარისხის და ხარჯთეფექტიანი ჯანდაცვის სერვისების მიწოდებას საქართველოს მოქალაქეებისათვის.

სოციალური საკითხები მეტად აქტუალური და სენსიტიურია ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის. მოქმედებს ძალიან მნიშვნელოვანი მუნიციპალური პროგრამები, როგორიცაა: დღის ცენტრის დაფინანსება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება, მზრუნველობამოკლებულ პირთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა, სოციალური სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციების თანადაფინანსება და სხვ. მუნიციპალიტეტში შეიქმნა ბავშვთა ზრუნვის განყოფილება, მიმდინარეობს მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების დაფინანსება; რაიონში ფუნქციონირებს ასევე აუტისტური აშლილობის მქონე ბავშვთა ორი ცენტრი; რაიონში არის ხანდაზმულთა სახლი, დღის ცენტრი. სოციალური მიზნების მქონე პროექტების თანადაფინანსება, ბავშვთა უფლებების დაცვის და გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული პროექტების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტია. თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დაფინანსება არასაკმარისია და დაფინანსების გაზრდის პირობებში შესაძლებელი იქნებოდა ადგილზე უფრო მეტი პროექტის განხორციელება.

დისკუსიის დროს ჯანდაცვის და სოციალური დაცვის მიმართულებით ბევრი პრობლემა და სუსტი მხარე გამოიკვეთა, მაგალითად, სოფლის ექიმების ტრანსპორტირება. როგორც წესი, სოფლის ექიმებს უჭირთ სოფლებში შორ მანძილზე გადაადგილება და პაციენტის მონახულება. ასევე პრობლემაა მათი ამბულატორიამდე მისვლა, რადგან რაიონიდან სოფელში დილის საათებში ტრანსპორტი არ გადის, ხოლო საღამოს საათებში რთულია რაიონულ ცენტრში დაბრუნება.

სამედიცინო პერსონალი ნაკლებად ფლობს ტექნოლოგიურ (კომპიუტერთან მუშაობის) უნარ-ჩვევებს, არ აქვს სამედიცინო პროგრამებზე მუშაობის გამოცდილება. განსაკუთრებით რთულია საქმიანობა ელექტრონული ჯანდაცვის სერვისის დანერგვის პირობებში, როცა მონაცემთა გაცვლა ელექტრონული სისტემის მეშვეობით ხორციელდება. კომპიუტერთან მუშაობის უნარ-ჩვევების ფლობა მეტად მნიშვნელოვანია ციფრული ჯანდაცვის ტექნოლოგიებისა და ტელემედიცინის სერვისების დანერგვის დროს.

ერთხმად აღინიშნა რაიონში ექთნების დეფიციფიტი. ხაზი გაესვა იმასაც, რომ ექიმი და ექთანი ერთ-ერთი ყველაზე დაბერებადი პროფესიებია და დაუყოვნებლივ ყველაფერი უნდა გაკეთდეს როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე, რომ გურია 10 წლის შემდეგ სამედიცინო პერსონალის გარეშე არ დარჩეს.

ზოგად პრობლემებში გამოიკვეთა პირველადი ჯანდაცვის რგოლის სისუსტე. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის მიერ პირველადი ჯანდაცვა პრიორიტეტად არის გამოცხადებული, ჯანდაცვისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფინანსური სახსრები უმეტესად კვლავ ჰოსპიტალურ სექტორზე იხარჯება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლო მონაცემებით, 1 სულ მოსახლეზე ამბულატორიულ-პოლიკლინიკური მომსახურებისთვის მიმართვიანობის საშუალო მაჩვენებელი ევროპის რეგიონის ქვეყნებისთვის 6-ს შეადგენს. საქართველოში უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში ეს მაჩვენებელი 2.2-ს არ აღემატებოდა. საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედების შემდეგ მკვეთრად გაიზარდა მოსახლეობის მიმართვიანობა როგორც ამბულატორიულ, ასევე სტაციონარულ დაწესებულებებში. 2021 წელს ამბულატორიულ-პოლიკლინიკური მომსახურებისთვის და სასწრაფო დახმარებისთვის მიმართვათა რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე, წინა წელთან შედარებით, საგრძნობლად გაიზარდა – გაუტოლდა 4.4-ს.[12]

ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგიის თანახმად, საყოველთაო ჯანდაცვის უზრუნველყოფა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევა და შენარჩუნება მხოლოდ პირველადი ჯანდაცვის გაძლიერებით, მაღალი ხარისხის, ეფექტური, უსაფრთხო, დროული სერვისების მიწოდებით არის შესაძლებელი.[13]

შესაბამისად, მეტად მნიშვნელოვანია „სოფლის ექიმის პროგრამის“ გაძლიერება და, ზოგადად, პირველადი ჯანდაცვის რგოლზე ზრუნვა. პრობლემებში დასახელდა ამბულატორიების მატერიალურ-ტექნიკური მხარე (მაგალითად, ბევრგან არ აქვთ პრინტერი), ასევე გამოიკვეთა

[12] დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სტატისტიკური ცნობარი 2021
[13] საქართველოს 2022 -2030 წლების ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია

სოფლის ამბულატორიების მწვავე ინფრასტრუქტურული პრობლემები. სოფლების უმეტესობის ამბულატორიები ვერ აკმაყოფილებს ბაზისურ საჭიროებებს, რადგან არ არის გამართული ინფრასტრუქტურა, წყალი, გათბობა და ა.შ.

ერთ-ერთ პრობლემად დასახელდა ასევე არაეფექტიანი თანამშრომლობა ცენტრალურ ხელისუფლებას, ადგილობრივ ხელისუფლებას, სამოქალაქო სექტორსა და სამედიცინო და სოციალური დაცვის სფეროს პერსონალის წარმომადგენლებს შორის. ბიუროკრატიული ბარიერები და დეცენტრალიზაციის პროცესის შეფერხება ხელს უშლის ადგილზე პრობლემების მოგვარებას. განსაკუთრებით იგრძნობა კოორდინაციის ნაკლებობა ბავშვთა ზრუნვის სფეროში, რომელშიც მულიტისექტორული მიდგომა მეტად მნიშვნელოვანია. ხშირად ხდება საკითხების დუბლირება სხვადასხვა სააგენტოსთან (განსაკუთრებით ბავშვთა ზრუნვის ნაწილში).

აღსანიშნავია მონაცემთა სისტემატიზაციის და ბაზების წარმოების პროცესის შეზღუდულობა. მუნიციპალიტეტებში, ძირითადად, არ არსებობს სტრუქტურირებულ მონაცემთა შემცველი ერთიანი ბაზები. აგრეთვე არ არის განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები, კერძოდ, არ არის დადგენილი პასუხისმგებელი პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამსახურის მიერ განსაზღვრული მონაცემების შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს. არ არის განსაზღვრული ასევე მონაცემების მოძიების წყაროები და გაზიარების გზები. რაიონში არ არსებობს თემის საჭიროებების ამსახველი ბაზები, კერძოდ: რამდენი ბავშვია ინსულინდამოკიდებული, ან/და რამდენს სჭირდება დამხმარე საშუალება (ეტლი და სმენის აპარატი).

ჯგუფის წევრებმა დიდ პრობლემად გამოყვეს ადგილზე გარკვეული სპეციალიზაციის მქონე ექიმების არარსებობა. მაგალითად, მუნიციპალიტეტში არ არის ბავშვთა ფსიქიატრი, ბავშვთა გინეკოლოგი, ბავშვთა ქირურგი, ინფექციონისტი, ბავშვთა სტომატოლოგი. ეს განსაკუთრებით ურთულებს მდგომარეობას შშმ ბავშვების მშობლებს, რომელთაც უჭირთ შვილების ტრანსპორტირება და სპეციალისტთან ვიზიტი ბათუმში ან ქუთაისში.

გამოიკვეთა ეთიკური საკითხები ჯანდაცვის სფეროში. ზოგიერთ შემთხვევაში მოქალაქეებს აქვთ დისკომფორტი, თუკი მიმართავენ ექიმს ან სამედიცინო პერსონალის სხვა წარმომადგენელს, რადგან დარღვეულია ეთიკური ნორმები. სამედიცინო ეთიკა წარმოადგენს სამედიცინო საქმიანობის ქვაკუთხედს. პაციენტის ავტონომიის პატივისცემა, ინფორმირებულობაზე დაფუძნებული თანხმობა და კონფიდენციალურობა წარმოადგენს სამედიცინო ეთიკის იმ პრინციპებს, რომლებიც ქმნის პაციენტისა და ექიმის ჯანსაღი ურთიერთობის საფუძველს.

პრობლემურია მინდობით აღზრდის სისტემაში მყოფი ბავშვების მდგომარეობა 18 წლის ზევით ასაკში. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მინდობით აღზრდის სერვისი ზარალდება მულტიდისციპლინური გუნდის არარსებობით. ასევე, ჯგუფის წევრების აზრით, ოზურგეთში განსაკუთრებით მწვავედ დგას კვალიფიციური კადრების დეფიციტის საკითხი, კერძოდ, არ ჰყავთ ფსიქოლოგი, არტთერაპევტი, ქცევის თერაპევტი და სხვ.

აქტიური მსჯელობა გაიმართა დასაქმების შესახებ. გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი, რის გამოც ბენეფიციარებს არ აქვთ მოტივაცია, ჩაერთონ დასაქმების სქემებში. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს სახელმწიფომ დაიწყო საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბური პროგრამა. პროექტი მიზნად ისახავს სოციალური შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი პირების და-

საქმებას. დასაქმების პროგრამაში ჩართულ პირს 4 წლის განმავლობაში გარანტირებულად შეუნარჩუნდება სოციალურად დაუცველის სტატუსი, მასთან მიბმული ფულადი და არაფულადი დახმარება. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში არ გადამოწმდება მისი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი.

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართული ბენეფიციარები, სოციალურ დახმარებასთან ერთად, დამატებით ფინანსურ სარგებელსაც მიიღებენ, რომელიც ნამუშევარი საათების მიხედვით დაანგარიშდება და ანაზღაურების ზღვარი (მაქსიმუმი) 300 ლარი იქნება. საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულებისთვის განკუთვნილი თანხა წარმოადგენს სოციალურ გასაცემელს, რომელიც არ იბეგრება.

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვის ნაცვლად ბენეფიციარს დასაქმება შრომის ბაზარზე არსებულ სხვა ვაკანსიებზედაც შეუძლია. სოციალურად დაუცველი პირი დასაქმების პროგრამაში იმ შემთხვევაშიც ჩაერთვება, თუ არაფორმალურად არის დასაქმებული. ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში სოციალური შემწეობის მიმღები პირის სტატუსი არ გადამოწმდება.[14] თუმცა ჯგუფის წევრებმა მიუთითეს პროგრამის არასწორ დიზაინზე, რაც გულისხმობს, რომ აღნიშნული პროგრამა ხელს ვერ უწყობს დასაქმებას რეგიონში. როგორც წესი, სოციალური შემწეობის მიმღები პირები სახელმწიფოდან კვლავ იღებენ ფულად სოციალურ დახმარებას, ამავე დროს, არიან არაფორმალურად დასაქმებულნი. მათი ფულადი ანაზღაურება არის აღურიცხავი შემოსავალი (სახელმწიფოს მხრიდან). ჯგუფის წევრები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ საჭიროა სოციალური შემწეობის მიღების მკაცრი ადმინისტრირება და მონიტორინგი, რათა პროგრამამ მიზნობრივ ჯგუფებამდე „მიაღწიოს“.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ბევრი რამე გაკეთდა შშმ პირებისათვის, ოზურგეთში კვლავ პრობლემად რჩება გარემოს ადაპტირება. შშმ პირებს უჭირთ გადაადგილება რაიონის მასშტაბით.

ჯგუფის წევრებმა პროფესიული სასწავლებლის, „ჰორიზონტის“, არსებობა ოზურგეთში განიხილეს, როგორც შესაძლებლობა. პროფესიულმა სასწავლებელმა შეიძლება მოამზადოს ექთნები, რაც ადგილობრივ დონეზე გადაჭრის მათი დეფიციტის პრობლემას. მოთხოვნის შემთხვევაში, პროფესიული სასწავლებელი დაამატებს საექთნო პროგრამას და მოამზადებს რეგიონისათვის საჭირო რესურსს.

ევროკავშირის მხარდაჭერაც აღქმულ იქნა, როგორც ასევე დიდი შესაძლებლობა რეგიონისათვის. მის ფარგლებში ბევრი საინტერესო პროექტისა და იდეის დაფინანსება და განხორციელება მეტად წაადგება რეგიონს და გააუმჯობესებს ადგილობრივი თემის მდგომარეობას.

შეხვედრაზე ითქვა, რომ საჭიროა მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მოწვევა ოზურგეთის რაიონში, რაც გააუმჯობესებს სამედიცინო და სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობას. ვიწრო სპეციალისტების ნაკლებობა რაიონში მიჩნეულ იქნა ერთ-ერთ სუსტ მხარედ; შესაბამისად, მათი გადამზადება შესაძლებლობებში უნდა იქნეს განხილული.

[14] https://www.moh.gov.ge/ka/news/6576/

ერთხმად აღინიშნა ხანდაზმულთა დღის ცენტრის და პალიატიური სერვისების არსებობის საჭიროება (მათგან არც ერთი არ არის მუნიციპალიტეტში). როგორც წესი, პალიატიური სერვისების მისაღებად ოზურგეთის მოქალაქეები მიდიან ბათუმში ან ქუთაისში. ჰოსპისის ან პალიატიური ცენტრის გახსნა ბევრი ადამიანისთვის შვება იქნებოდა. პალიატიური მზრუნველობა – ეს არის ქრონიკული, ინკურაბელური დაავადების მქონე პაციენტზე ორიენტირებული მულტიდისციპლინური მზრუნველობა. მასში ჩართული არიან სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, რომლებსაც შეუძლიათ, პაციენტს გაუწიონ შესაბამისი დახმარება, რათა ის სიცოცხლის ბოლომდე საზოგადოების სრულყოფილ წევრად დარჩეს.

პალიატიური მზრუნველობა უზრუნველყოფს ღირსეულ, უტანჯველ სიცოცხლეს. მისი მიზანია, აამაღლოს ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტისა და მასზე მზრუნველი პირების ცხოვრების ხარისხი. პალიატიური მზრუნველობის ბენეფიციარია ქრონიკული დაავადების მქონე ყველა პაციენტი. ამ ტიპის მზრუნველობა იწყება ქრონიკული დაავადების დადასტურებისთანავე და გრძელდება მკურნალობის მთელი პერიოდის განმავლობაში, რადიკალურ ჩარევებთან ერთად. ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის პროგრამა ფინანსდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ. პროგრამა ითვალისწინებს პალიატიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდასა და სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფას.

სოციალური სფეროს მიმართულებით შესაძლებლობა ბევრია. ერთ-ერთი საკითხია შინმოვლის პროგრამის განვითარება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. აღსანიშნავია, რომ 2023 წელს ზემოთ ხსენებულმა სამინისტრომ დაიწყო შინმოვლის მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის მიზანია მოსარგებლეთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, ჯანმრთელობის მდგომარეობის მართვა, მოსარგებლისა და მისი გარემოცვის ფსიქო-სოციალური დახმარება, რეჰოსპიტალიზაციის და ინსტიტუციონალიზაციის პრევენცია.[15] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დაამტკიცა ასევე შინმოვლის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტი.[16] ეს სიახლეები ძალიან კარგი შესაძლებლობაა, რომ რაიონშიც მუნიციპალიტეტის თანადაფინასებით დაიწყოს შინმოვლის პროგრამა, რომელიც გაზრდის ბენეფიციარების დამოუკიდებლობის ხარისხს ჩვეულ საცხოვრებელ პირობებში. ეს კარგი პრაქტიკა იქნება, როგორც მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო პროგრამების მხარდაჭერა.

ზოგადად, ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ სოციალური სერვისების განვითარება აუცილებელია მუნიციპალიტეტისათვის.

მნიშვნელოვანია სწავლისა და დასაქმების ხელშეწყობა სოციალური დაცვის მიმართულებით. დასაქმების პროგრამაში მონაწილე პირებს უნდა გაუჩნდეთ მოტივაცია, რომ ისწავლონ პროფესიულ სასწავლებლებში, ან გაიარონ მოკლე კურსები და დასაქმდნენ. სამუშაოს მაძიებელ პირთან უნდა მუშაობდეს ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი.

---

15 საქართველოს მთავრობის დადგენილება N69, 2023

16 https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5845785?publication=0

ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ჯანდაცვის და სოციალური საკითხების შესახებ. აუცილებელია მათი ინფორმირება სკრინინგზე, პრევენციულ სერვისებზე, დაავადებების მართვასა და თვითმკურნალობის შემცირების აუცილებლობაზე.

გამოიკვეთა ჯანდაცვისა და სოციალური სექტორის წინაშე არსებული საფრთხეებიც, კერძოდ, სამედიცინო პერსონალის (განსაკუთრებით ოჯახის ექიმებისა და ექთნების) დეფიციტი. გურია რეალურად დგას საფრთხის წინაშე, რომ 10-15 წელიწადში გართულდება ბაზისურ სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა სამედიცინო პერსონალის არარსებობის გამო.

პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა ქვეყანაში განისაზღვრა, როგორც საფრთხე ჯანდაცვისა და სოციალური სექტორისათვის. რაიონის განვითარებისათვის დაბრკოლებად დასახელდა ინფლაცია და აღურიცხავი შემოსავალი, რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაში ასევე აისახება ჯანდაცვისა და სოციალურ სექტორზე.

ჯგუფის წევრების აზრით, ოზურგეთში ამა თუ იმ სამედიცინო სერვისის ნაკლებობა და სამედიცინო მომსახურების დაბალი ხარისხი საშიშროებას წარმოადგენს ადგილობრივი მოსახლეობის სიცოცხლისთვის. მოქალაქეები მიდიან ქუთაისში, ბათუმსა და თბილისში მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით.

არაეფექტურია თანამშრომლობა მონაწილე მხარეებს შორის, რაც ართულებს კოორდინაციას და ეფექტური გადაწყვეტილების მიღებას ადგილობრივ დონეზე.

7.1 ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის დარგის SWOT-ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
„სოფლის ექიმის პროგრამის“ ადმინისტრირება სახელმწიფო სამედიცინო ჰოლდინგს გადაეცა; რეფორმა ექთნების შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით, რომლითაც საექთნო საქმე რეგულირებადი პროფესია გახდება; გამართული და ეფექტური მუნიციპალური პროგრამები (მაგ., ლეიკემიისა და ონკომიმართულების პროგრამები); დანერგილია მაღალკვალიფიციური სამედიცინო სფეროს სპეციალისტების რეგიონში მოწვევის პრაქტიკა; ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებისა და ტელემედიცინის დანერგვის პრაქტიკაში (პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ფარგლებში) რამდენიმე სოფლის ამბულატორიის ჩართვა და მათ მიერ ამ სფეროში მიღებული გამოცდილება; დღის ცენტრის დაფინანსება; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება; მზრუნველობამოკლებულ პირთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა; სოციალური სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციების თანადაფინანსება; ბავშვთა ზრუნვის განყოფილების ფუნქციონირება; მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების დაფინანსება; აუტისტური აშლილობის მქონე ბავშვებისათვის სპეციალური ცენტრების არსებობა და მათზე ხელმისაწვდომობა;	სოფლის ექიმების ტრანსპორტირების სირთულე; პაციენტების ამბულატორიამდე ტრანსპორტირების სირთულე; სამედიცინო პერსონალის მიერ კომპიუტერული ტექნოლოგიების ფლობის (უნარ-ჩვევების) დეფიციტი; სამედიცინო პერსონალის ნაკლები გამოცდილება სამედიცინო პროგრამებთან მუშაობის კუთხით; ექთნების დეფიციტი; პირველადი ჯანდაცვის, როგორც ინსტიტუციური რგოლის, ზოგადი სისუსტე; ამბულატორიების ცუდი მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა; სოფლის ამბულატორიების მძიმე ინფრასტრუქტურული მდგომარეობა; ნაკლები კოორდინაცია ცენტრალურ და ადგილობრივ ინსტიტუტებს შორის, დეცენტრალიზაციის დაბალი ხარისხი, განსაკუთრებით ბავშვებზე ზრუნვის პროგრამების განხორციელების კუთხით; გაუმართავია მონაცემთა ბაზები, არ ხდება მათი სისტემატიზაცია და რეგულარული განახლება; ადგილზე ხელმისაწვდომი არაა სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტების (მაგ., ბავშვთა ფსიქიატრის, ბავშვთა და მოზარდთა გინეკოლოგის და სხვ.) მომსახურების მიღება; კვალიფიციური კადრების (მაგ., ფსიქოლოგის, არტთერაპევტის, ქცევის თერაპევტის) დეფიციტი; საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების სახელმწიფო პროგრამის არაეფექტიანი მოდელი და დიზაინი; სოციალური შემწეობის მიღების არაკოორდინირებული ადმინისტრირება და მონიტორინგი; შშმ პირებზე მორგებული/ადაპტირებული გარემოს არქონა

შესაძლებლობები	საფრთხეები
პროფესიული სასწავლების დაფუძნება; ევროკავშირის და სხვა დონორი ორგანიზაციების პროექტების განხორციელება; ხანდაზმულთა დღის ცენტრის დაარსება; შინმოვლის პროგრამის განვითარება; ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხებზე ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლება	სამედიცინო პერსონალის დეფიციტი; პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა

7.2 რეკომენდაციები

საჭიროებებიდან და პრობლემებიდან გამომდინარე, რამდენიმე მიმართულებით გამოიკვეთა ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები, რაც მნიშვნელოვანია ადგილობრივი თემისთვის:

- ოზურგეთის პროფესიულ სასწავლებელში საექთნო პროგრამის დამატება და კურსდამთავრებულების ადგილზე დასაქმება;
- პალიატიური მზრუნველობის სერვისების განვითარება;
- შინმოვლის პროგრამის ამოქმედება და სერვისების შეთავაზება ადგილობრივი მოსახლეობისათვის (ზოგადად, სოციალური სერვისების განვითარება აუცილებელია მუნიციპალიტეტისათვის);
- მაღალკვალიფიციური სამედიცინო პერსონალის მოწვევა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, რაც გააუმჯობესებს სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობას;
- სოფლის ექიმების უზრუნველყოფა ტრანსპორტით;
- სამედიცინო პერსონალის (სოფლის ექიმებისა და ექთნების) გადამზადება (ტექნოლოგიური (კომპიუტერთან მუშაობის) უნარ-ჩვევების შეძენა/გაძლიერება) და ელექტრონული ჯანდაცვის სისტემის პრინციპების გაცნობა;
- დასაქმების პროგრამის მართვის ცვლილება ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით, საპილოტე პროექტის მომზადება და საუკეთესო პრაქტიკის შექმნა;
- ჯანდაცვის და სოციალურ საკითხებზე ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, მოქალაქეების ინფორმირება სკრინინგზე, პრევენციულ სერვისებზე, დაავადებების მართვასა და თვითმკურნალობის შემცირების აუცილებლობაზე.

8. ადგილობრივი ეკონომიკისა და მეწარმეობის განვითარება

რეგიონში ეკონომიკური და სამეწარმეო საქმიანობის განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებაა როგორც სახელმწიფო, ისე სხვა სექტორის წარმომადგენლებისათვის. კერძო სექტორის გაძლიერება და მხარდაჭერა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადგილობრივ მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, მათი საცხო-

ვრებელი გარემოსა და პირობების გაუმჯობესების კუთხით. პროექტის ფარგლებში ოზურგეთის ადგილობრივმა სამოქმედო ჯგუფმა (LAG), სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, გამართა სამუშაო შეხვედრა და მოამზადა დარგის SWOT-ანალიზი შემდგომი ღონისძიებებისა და აქტივობების ეფექტიანად დაგეგმვა-განხორციელების მიზნით:

8.1 ადგილობრივი ეკონომიკისა და მეწარმეობის განვითარების დარგის SWOT-ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
ადგილობრივი ბუნებრივი რესურსები, ტრადიციული, ავთენტური გარემო	დარგობრივი ბიზნესასოციაციებისა და გაერთიანებების სიმცირე
მუნიციპალიტეტის მდებარეობა, პორტებსა და აეროპორტებთან სიახლოვე	გასაღების ბაზრების სიმწირე, პროდუქციის რეალიზაციის პრობლემები
ეკოლოგიურად სუფთა გარემო, მაღალი ხარისხის ნედლეული და პროდუქტები	ბიზნესკონსალტინგისა და მხარდამჭერი ორგანიზაციების არარსებობა, სერვისებზე ხელმისაწვდომობის არარსებობა (მათ შორის, მეღვინეობაში)
„მწვანე რეგიონის“ სტატუსი	საზოგადოების ინფორმირებულობის დაბალი დონე, პასიურობა და სკეპტიკური განწყობა
ადამიანური რესურსები	რესურსების, მათ შორის, ადამიანურის (პროფესიული კადრების) სიმცირე
ოზურგეთის ტექნოპარკი	ადგილობრივი წარმოების მცირე მასშტაბები, პროდუქტის მაღალი თვითღირებულება და განვითარების ნელი ტემპები
მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და კეთილმოწყობის სამუშაოების ზრდის ტენდენცია	სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის დაბალი დონე
პროფესიული სასწავლებელი	ტურისტული ინფრასტრუქტურის არადამაკმაყოფილებელი დონე
ადგილობრივი განვითარების დოკუმენტები (მდგრადი განვითარების მიზნების, საშუალოვადიანი განვითარების, ახალგაზრდობის სტრატეგიული განვითარების, გომისმთის სივრცითი მოწყობის დოკუმენტები, ურეკი-შეკვეთილის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა)	ცხოვრების დონის დაბალი მაჩვენებლები
გაზრდილი მუნიციპალური ბიუჯეტი	შრომითი რესურსების, პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის დაბალი დონე
	ადამიანური რესურსების გადინება, შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაცია
	ახალი ტექნოლოგიების ცოდნისა და გამოყენების დაბალი დონე
	ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა, მაღალპროცენტიანი საბანკო სესხები
	სამეწარმეო განათლების დაბალი დონე და პროფესიული კადრების დეფიციტი თითქმის ყველა სფეროში

	ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობისა და მუნიციპალური სერვისების პრობლემები (სოფლად არასაკმარისი გარე განათება, არაადაპტირებული გარემო, გაუმართავი მუნიციპალური ტრანსპორტი, მისი მოუქნელი გრაფიკი, სკოლამდელი დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მძიმე მდგომარეობა, გზები დამეწყრილ ტერიტორიებზე) სასმელი წყლის და ცენტრალიზებული საკანალიზაციო სისტემის ფრაგმენტულობა მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე კურორტების ინფრასტრუქტურის არადამაკმაყოფილებელი დონე (მათ შორის, ურეკში, გომისმთაში) ბიოსასუქების არარსებობა მოძველებული ქარსაფარი ზოლი კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის არასათანადო ხარისხი სტიქიური მოვლენების პრევენციის გეგმის არარსებობა ცენტრალიზაციის მაღალი ხარისხი და გადაწყვეტილების მიღების დროში გაწელილი პროცესი ნარჩენების არასათანადო მართვა შრომითი მიგრაცია რეგიონში ხარისხის კონტროლის ლაბორატორიების არარსებობა მცირემიწიანობა მოუქნელი სადაზღვევო სისტემა, მოსავლის დაზღვევის არარსებობა
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
მეწარმეთა გაერთიანებების შექმნა და გაძლიერება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოტენციალის კვლევა პროდუქციის გასაღების ბაზრების დივერსიფიკაცია, გასაღების ახალ ბაზრებზე წვდომა დასაქმების და ბიზნესფორუმების მოწყობა	კლიმატის ცვლილება, ბუნებრივი კატაკლიზმები, სტიქიური მოვლენები გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისები ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი პრობლემები პოლიტიკური არასტაბილურობა არასტაბილური მდგომარეობა შავი ზღვის რეგიონში/ ბუნებრივი კატაკლიზმები

ადგილობრივი რესურსების პოტენციალის შესწავლა ნასაკირალის მინერალური წყლების პოტენციალის ათვისება ტრადიციული და ახალი, ბაზარზე მოთხოვნადი წარმოების წახალისება (ტუნგის, ბამბუკის, დაფნის, ეთერზეთების წარმოება-გადამუშავების პოტენციალის გამოყენების პერსპექტივის შესწავლა) ტურიზმის ხელშეწყობა (ზამთრის კურორტების და ყველა სეზონის ტურიზმის განვითარება), ტურისტული ნაკადების ზრდა და კურორტების განვითარების დოკუმენტების შემუშავება მუნიციპალიტეტის ცნობადობის ზრდა ფინანსებისა და კაპიტალის ალტერნატიულ ბაზრებზე ხელმისაწვდომობის ზრდა საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან პარტნიორობა და თანამშრომლობა მცირე და საშუალო ბიზნესის, მათ შორის, ტურიზმის, აგრობიზნესის, ახალი ტექნოლოგიების განვითარების და ინოვაციების დანერგვის ხელშემწყობი სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების პროგრამები ენერგოეფექტური ტექნოლოგიების წახალისება და დანერგვა კერძო და სახელმწიფო სექტორების თანამშრომლობის გაღრმავება ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა ახალგაზრდების სამეწარმეო აქტივობის წახალისება სტანდარტიზაცია პროფესიული განვითარება, ახალი ცოდნა და პროფესიები დეცენტრალიზაცია	ინფლაცია და ეროვნული ვალუტის არასტაბილურობა ბიუროკრატია რეგიონული და მუნიციპალური განვითარების სტრატეგიების სუსტი განხორციელება მცენარეთა მავნებლების, პარაზიტებისა და დაავადებათა გავრცელება

პრიორიტეტული სექტორების განვითარების ხელშეწყობა მეწარმეობის, როგორც დისციპლინის, სწავლება სასკოლო ასაკიდან პროფორიენტაციის ჩამოსაყალიბებლად ცნობიერების ამაღლება, პროფესიული განვითარება, ცოდნის გაღრმავება და ინფორმირება პროფესიების სპეციფიკის შესახებ, ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა თანამედროვე ტექნოლოგიების სწავლება და მათი დანერგვის ხელშეწყობა	

9. გარემოს დაცვა

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა ერთ-ერთი მთავარი და მულტისექტორული პრიორიტეტული მიმართულებაა არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოში. მდგრადი განვითარება და გარემოს დაცვა ის საკითხებია, რომლებსაც მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სოციალური, ეკონომიკური თუ სხვა სახის საქმიანობის განხორციელების პროცესში. გურიის რეგიონი, კერძოდ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, თუმცა მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე გარემოს დაცვის კუთხით ქმნის პრობლემებს რესურსების მდგრადი გამოყენების საქმეში. ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან გარემოსდაცვითი აქტივობების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის ოპერირებისთვის. სწორედ ამიტომ ოზურგეთის LAG-მა სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ჩაატარა სამუშაო შეხვედრები და მოამზადა აღნიშნული დარგის SWOT-ანალიზი:

9.1 გარემოს დაცვის დარგის SWOT-ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
ბუნებრივი რესურსების მრავალფეროვნება; ბუნებრივი ტყის საფარი და დაცული ტერიტორიები; მრავალფეროვანი ლანდშაფტი; ბუნებრივი ქარსაფარი ზოლები; ეკოლოგიურად სუფთა ჰავა და კლიმატი; ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოების შესაძლებლობა	მოსახლეობის დაუდევარი დამოკიდებულება ტყის ფონდის შენარჩუნების მიმართ; სასარგებლო წიაღისეულის არამდგრადი გამოყენება; მთაგორიანი რელიეფი; ცნობიერების დაბალი დონე გარემოს დაცვის საკითხებზე; ბუნებრივი კატასტროფების მაღალი რისკი; ნარჩენების მდგრადი მართვის სუსტი პრაქტიკა და არასაკმარისი ინფრასტრუქტურა; ხე-ტყის აღდგენის სუსტი ტენდენცია; უკანონო თევზჭერა და ნადირობა; უკანონო ნაგავსაყრელების დიდი რაოდენობა; ცენტრალური საკანალიზაციო სისტემების არარსებობის გამო ნიადაგის დაბინძურება; საწარმოო ნარჩენების მდინარეებში ჩადინება
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
საკურორტო და ტურისტული მიმართულების განვითარება; ტყის არამერქნული პროდუქტის წარმოება; ქარისა და მზის ენერგიის სისტემების დანერგვა და ელექტროენერგიის გამომუშავება; ლანდშაფტისა და მიწების მიზნობრივად ათვისება; კომპოსტირება და ნარჩენების გადამუშავების შესაძლებლობა; ბრიკეტების წარმოება	ბუნებრივი კატაკლიზმები; ბუნებრივი რესურსების არაეფექტიანი გამოყენება; ტყის გაჩეხა და/ან ხანძარი; კლიმატის ცვლილება/ბუნებრივი კატაკლიზმები; პანდემია; არასტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო

10. განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდები

ოზურგეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის (LDS) შესამუშავებლად მნიშვნელოვანია გურიის რეგიონის მუნიციპალიტეტების პოტენციალისა და იმ გამოწვევების იდენტიფიცირება, რომლებიც, შესაძლოა, აფერხებდეს პროგრესს და ზღუდავდეს შესაძლებლობების

დანახვა-გამოყენებას. სწორედ ამიტომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში LAG-ის წევრების ჩართულობით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, რომელზედაც გამოიკვეთა განათლების, სპორტის საკითხები და ახალგაზრდობის საჭიროებები, ასევე, ამ სფეროებში მუნიციპალიტეტში არსებული პოზიტიური პრაქტიკა, პრობლემები და მათზე რეაგირების შესაძლებლობები. სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები, სკოლების, საბავშვო ბაღების, ბაღების გაერთიანების, პროფესიული კოლეჯის წარმომადგენლები და სკოლის მოსწავლეები. სამუშაო შეხვედრაზე, მონაწილეთა ინტერესების შესაბამისად, შეიქმნა სამი ჯგუფი შემდეგი მიმართულებებით: (1) განათლება; (2) სპორტი; (3) ახალგაზრდობა. ჯგუფებმა თითოეულ მიმართულებაზე მოამზადეს SWOT-ანალიზი.

განათლება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოქმედებს სკოლამდელი აღზრდის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები და პროფესიული სასწავლებელი. შესაბამისად, მნიშვნელოვანია განათლების სამივე საფეხურის სიღრმისეული ანალიზი.

სკოლამდელი აღზრდა და განათლება

საქართველოს სტატისტიკის სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 44 სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებაა. გამოიკვეთა, რომ მუნიციპალიტეტში მაღალია ხელმისაწვდომობა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაზე, რადგან მის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში (30 ადმინისტრაციული ერთეული) ფუნქციონირებს, სულ მცირე, ერთი საბავშვო ბაღი. შეხვედრის მონაწილეები სკოლამდელი აღზრდის საფეხურის ძლიერ მხარედ მიიჩნევენ უფასო და ჯანსაღი კვების პროგრამის არსებობას, საგანმანათლებლო პროგრამების მაღალ ხარისხს, რადგან თვლიან, რომ სააღმზრდელო პროცესის წარმართვისას გამოყენებულია აქტივობები, რომლებიც აღსაზრდელებში აძლიერებს კოგნიტურ და აკადემიურ უნარ-ჩვევებს. ძლიერ მხარედ მოიაზრება ასევე მშობელთა ჩართულობა, რაც საკუთარი შვილების მიღწევების მიმართ დიდი ინტერესით აიხსნება[17]. სუსტ მხარედ არის მიჩნეული აღმზრდელთა დაბალი კვალიფიკაცია და დაბალი ანაზღაურება. სააღმზრდელო პროცესის მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად დასახელდა თანამედროვე სტანდარტებთან შეუსაბამო ინფრასტრუქტურა და ინტერნეტზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა. მართალია, ძლიერ მხარედ მშობელთა ჩართულობის კომპონენტი გამოიკვეთა, თუმცა მონაწილეები ასევე აღნიშნავენ, რომ ის მშობლები, რომლებიც არიან დასაქმებული, ან იმყოფებიან დროებით შრომით მიგრაციაში ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ნაკლებად იჩენენ ინტერესს, იშვიათად ერთვებიან და მონაწილეობენ სააღმზრდელო პროცესსა და გადაწყვეტილებების მიღებაში. სკოლამდელი აღზრდის საფეხურზე შემეცნებითი პროცესის შემზღუდავ მნიშვნელოვან ფაქტორად სახელდება აღსაზრდელებისთვის მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობა.

[17] „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირმა“ გამოიკვლია საზოგადოების, კერძოდ, მშობლების, დამოკიდებულება სკოლამდელი აღზრდის საფეხურის მიმართ. კვლევის შედეგად გამოვლინდა მოულოდნელი ტენდენცია, კერძოდ, სკოლამდელი აღზრდის საფეხურს სფეროში ჩართული და დაინტერესებული პირები არ აღიქვამენ, როგორც მნიშვნელოვან საგანმანათლებლო ეტაპს. მუნიციპალიტეტის მხრიდან მწირი დაფინანსების პირობებში თანხის 5-10% ხმარდება საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფას. კვლევაში მონაწილე აღმზრდელები აცხადებენ, რომ დაბალია მშობელთა ინტერესი ბავშვის მიღწევების მიმართ. მშობლები, ძირითადად, კვების რაციონით ინტერესდებიან.

ზოგადი განათლების საფეხური

ზოგადი განათლების საფეხურზე მონაწილეებმა ძლიერ მხარედ დაასახელეს აქტიური, ინიციატივიანი, ლიდერი მოზარდების საშუალო მაჩვენებელი, რის მიზეზადაც არაფორმალური განათლების მიღების პროცესში მათი ჩართულობა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მოზარდთა მჭიდრო თანამშრომლობა მიიჩნიეს. ჯგუფის წევრი პედაგოგების მოსაზრებით, არაფორმალური განათლება განიხილება ყველაზე ეფექტიან და ეფექტურ ფორმატად მოსწავლეების განვითარებისა და გაძლიერების პროცესში. მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ის სერვისები, რომლებსაც სთავაზობენ მოქმედ მასწავლებლებს სახელისუფლებო, კერძო თუ სამოქალაქო სექტორები, დადებით გავლენას ახდენს მასწავლებელთა კომპეტენციასა და მოტივაციაზე. სიახლეებისადმი სწრაფვით გამოირჩევიან ის პედაგოგები, რომლებმაც მუშაობა ბოლო 6-10 წლის განმავლობაში დაიწყეს. მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ზოგადი განათლების საფეხურზე მნიშვნელოვანი გამოწვევა და, შესაბამისად, სუსტი მხარეა პედაგოგთა დაბალი კვალიფიკაცია. მათი აზრით, მასწავლებელთა ნაწილი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს და სტანდარტს. ასაკობრივი ნიშნით დისკრიმინაცია მიიჩნევა დამკვიდრებულ პრაქტიკად, რაც ხელს უშლის მეტი ახალგაზრდა კადრის დასაქმებას სკოლაში; მშობელთა გულგრილობა სკოლაში მიმდინარე პროცესის მიმართ ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობასა და აკადემიურ მიღწევებზე. იქიდან გამომდინარე, რომ რეგიონში მაღალია შრომით მიგრაციაში მშობელთა გადინების მაჩვენებელი, ჯგუფის წევრები მიიჩნევენ, რომ სკოლას მოუწევს აღზრდის ფუნქციის სრულად შეთავსება. შეხვედრის მონაწილეები ფიქრობენ, რომ მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების დიდი ნაწილი ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებულ, უსაფრთხო, ძალადობისგან თავისუფალ სასკოლო გარემოს; ხშირია ბულინგისა და სხვა ტიპის ძალადობის ფაქტები როგორც მოსწავლეებს შორის, ისე მასწავლებლების მხრიდან. ასევე აღინიშნა, რომ ზოგ შემთხვევაში მოსწავლეებიც გვევლინებიან მოძალადის როლში (ასეთ დროს, ძირითადად, გამომწვევ მიზეზად დევიაციური ან/და რთული ქცევა სახელდება). სკოლები ვერ ახერხებენ მოსწავლის ინტერესებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების შესაბამისი არაფორმალური განათლების შეთავაზებას. საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლეთა დიდი ნაწილი, განურჩევლად აკადემიური მოსწრების მაჩვენებლისა, სწავლას უმაღლესი განათლების საფეხურზე აგრძელებს. ამ პროცესში სკოლა ვერ ახერხებს მოსწავლისთვის კარიერის დაგეგმვის სერვისის შეთავაზებას, რაც მას დააფიქრებდა სამომავლო პროფესიის არჩევისა და შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისობაზე. დამატებითი ფინანსური სახსრების მოზიდვისთვის გამოწვევად პროექტების წერის გამოცდილების არქონა სახელდება. მნიშვნელოვან პრობლემად საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ მოზარდთა ნაკლები ინტერესი მიიჩნევა, რის გამომწვევ მიზეზებად კვალიფიციური მასწავლებლების სიმცირე და სასწავლო ლაბორატორიების არარსებობა სახელდება. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმართაობა და თანამედროვე სტანდარტებთან შეუსაბამო ინფრასტრუქტურა გავლენას ახდენს როგორც მოსწავლის, ისე მასწავლებლის მოტივაციაზე.

პროფესიული განათლება

პროფესიული განათლების საფეხურზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ძლიერ მხარედ პროფესიული სასწავლებლისა და იქ მაღალი სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსე-

ბობა სახელდება. ჯგუფის წევრები აღნიშნავენ, რომ პროფესიულ სასწავლებელს აქვს საკმარისი ფინანსური რესურსი განვითარებისა და ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ არსებობს მრავალი პროფესიის (ელექტროშემდუღებელი, სანტექნიკოსი და ა.შ.) წარმომადგენლების დეფიციტი, მონაწილეები ვარაუდობენ, რომ სუსტი მხარეა დაბალი ინტერესი განათლების ამ საფეხურის მიმართ, მისი ნაკლები პოპულარობა. მათი აზრით, საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებობს სტერეოტიპული დამოკიდებულება პროფესიული განათლების საფეხურის მიმართ. თუმცა, ამავე დროს, მიიჩნევენ, რომ, რაკი კოლეჯი სტუდენტებს ვერ სთავაზობს ხარისხიან და მრავალფეროვან საგანმანათლებლო პროგრამებს, ნაკლებია მსურველთა რაოდენობაც. მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს სტუდენტთა დაბალი აკადემიური შესაძლებლობები, რაც ართულებს მათთვის პროფესიის დაუფლების პროცესის ეფექტიანობის უზრუნველყოფას. სწავლა/სწავლების პროცესში გამოწვევად სახელდება დასაქმებული კადრების დაბალი კომპეტენცია, ხოლო პროგრამების სიმცირეს იწვევს რეგიონში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრის არარსებობა.

სამუშაო ჯგუფის წევრები მუნიციპალიტეტის განათლების სფეროში არსებული პრობლემების სრული თუ ნაწილობრივი მოგვარებისთვის მნიშვნელოვან შესაძლებლობად ასახელებენ მუნიციპალური პროგრამების დაფინანსების ზრდას და დონორი ორგანიზაციების მოზიდვას. მწირი ფინანსებისა და ცენტრალიზებული მართვის პირობებში რთულდება ადგილობრივ საჭიროებებზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღება.

სკოლამდელი აღზრდის საფეხურის აღსაზრდელებისთვის მუნიციპალური ტრანსპორტის გამოყოფა მნიშვნელოვნად გაზრდიდა განათლების ამ საფეხურის ხელმისაწვდომობას. მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებზე სასწავლო პროცესის მორგებისთვის აუცილებელ პირობად არაფორმალური განათლების პოპულარიზება, დაფინანსების გაზრდა და მასში ჩართული მოზარდების წახალისება სახელდება.

პროფესიული განათლების პოპულარიზება, მონაწილეთა აზრით, შესაძლებელია როგორც ადგილობრივ თემთან შეხვედრების ფარგლებში, ისე სკოლასა და პროფესიულ სასწავლებელს შორის თანამშრომლობის გაღრმავებით.

აღინიშნა, რომ სკოლებში შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამართვა (მათ შორის, ლაბორატორიების), მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების შექმნა/შეთავაზება და „კეთებით სწავლების“ მეთოდის დანერგვა ხელს შეუწყობდა სხვადასხვა პროფესიის პოპულარიზებას, გააფართოებდა მოზარდების პროფესიული პროგრამებითა და შედარებით არაპოპულარული დარგებით დაინტერესების შესაძლებლობას.

ყურადსაღებ საფრთხეს წარმოადგენს არამდგრადი საგანმანათლებლო პოლიტიკა, რომელიც მინისტრების ხშირ ცვლილებას უკავშირდება. შესაბამისად, რთულია გრძელვადიანი მიზნების დასახვა იმ პირობებში, როცა არსებობს მუდმივი ცვლილების მოლოდინი და ნაკლებია სტაბილურობის განცდა. გარდა ამისა, დაბრკოლებას წარმოქმნის მუნიციპალური ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მოსახლეობის ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს ზოგიერთი პროგრამის მიმდინარეობის შეწყვეტა ან დაფინანსების კლება. ზოგადად, მოსახლეობის ინდიფერენტული დამოკიდებულება აფერხებს ზემოაღნიშნული შესაძლებ-

ლობების რეალიზებას.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ განათლების სამივე საფეხურზე დაბალი კვალიფიკაციის მქონე კადრების ჩართულობით ინიციატივების განხორციელებამ შეიძლება ხელი შეუშალოს სასურველი შედეგების მიღებას.

ხშირ შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ვერ ახერხებენ მათ ხელთ არსებული ფინანსური რესურსის ეფექტიანად განკარგვას. შესაბამისად, მასშტაბურ საგრანტო პროგრამებში მონაწილეობის მიღებისას სპეციალისტების მხარდაჭერის გარეშე შეიძლება ვერ მოხერხდეს თანხის დათქმულ ვადაში, საკანონმდებლო ნორმების დაცვის შესაბამისად დახარჯვა.

10.1 განათლების მიმართულების SWOT-ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
სკოლამდელი აღზრდის საფეხური აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს კოგნიციის პროცესს, აკადემიური უნარ-ჩვევების გაძლიერებას; კვება; მშობელთა ჩართულობა – ინტერესი შვილის მიღწევების მიმართ **ზოგადი განათლების საფეხური** ინიციატივების მქონე, აქტიური მოსწავლეები; არაფორმალური განათლების სერვისის მრავალფეროვნება; სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამისა და არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ მოტივირებული მცირესტაჟიანი მასწავლებელი; ტრენინგები მასწავლებლებისთვის სხვადასხვა სერვისის მიმწოდებლების მხრიდან **პროფესიული განათლების საფეხური** პროფესიული კოლეჯი; საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობა; მრავალფეროვანი პროგრამების დანერგვის შესაძლებლობა; ფინანსური შესაძლებლობა	**სკოლამდელი აღზრდის საფეხური** სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში დასაქმებულთა დაბალი ანაზღაურება და არაკომპეტენტურობა; თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურის არქონა; სოფლად მცხოვრებ, ბაღის შენობიდან მოშორებით მცხოვრებ აღსაზრდელთა ტრანსპორტირების სერვისის არქონა; ინტერნეტზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა; პოზიტიური მშობლობის უნარ-ჩვევების არქონა; მშობელთა შრომითი მიგრაცია **ზოგადი განათლების საფეხური** პედაგოგების დაბალი კვალიფიკაცია (გარდა ამისა, საქმიანობაში ცვლილებების დანერგვისა და თანამედროვე სტრატეგიების დაუფლების სურვილის მქონე მასწავლებელთა მცირე რაოდენობა); ახალი კადრების შედინების შეფერხება სკოლაში; მშობელთა გულგრილობა და ნაკლები ინტერესი სკოლაში მიმდინარე პროცესებისა და შვილების აკადემიური მიღწევების მიმართ;

	გარემოსდაცვითი, სამეწარმეო და სხვა კომპეტენციების გაძლიერებისთვის საჭირო არაფორმალური განათლების ნაკლებობა; დონორი ორგანიზაციების დაინტერესებისთვის/ მოზიდვისთვის პროექტების წერის გამოცდილების არქონა; საგანმანათლებლო, ტექნიკური, საკანცელარიო რესურსების ნაკლებობა; თანამედროვე სტანდარტებთან შეუსაბამო ინფრასტრუქტურა; აღზრდის როლის არასაკმარისი გააზრება სკოლის წარმომადგენლების მხრიდან; ბულინგის ფაქტები და მათზე ადეკვატური და ჯანსაღი რეაგირებისთვის საჭირო კომპეტენციის ნაკლებობა; საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორიების არარსებობა; პროფესიული განათლების პოპულარიზებისკენ მიმართული კამპანიების ნაკლებობა **პროფესიული განათლების საფეხური** შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების ნაკლებობა; კვალიფიციური კადრების ნაკლებობა; ნაკლები ინტერესი შეთავაზებული პროგრამების მიმართ
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
მუნიციპალური ტრანსპორტი სკოლის მოსწავლეებისთვის; წარმატებული სასკოლო კლუბებისა და სხვა არაფორმალური განათლების ცენტრების წარმატებული პრაქტიკის გავრცელება სხვა სკოლებში; დამატებითი დონორების მოძებნა; პროფესიული განათლების პოპულარიზების ხელშეწყობა არსებული რესურსის სრული გამოყენებით	განათლების პოლიტიკის ხშირი ცვლილება; სკოლის მწირი ბიუჯეტი და თანხების არაეფექტიანად ხარჯვა; არაკვალიფიციური კადრები

10.2 რეკომენდაციები

- პედაგოგების კვალიფიკაციის ასამაღლებლად დამატებითი რესურსის მოძიება შემდეგი მიმართულებებით:
  - საგანმანათლებლო დაწესებულების როლი და ფუნქცია;
  - პედაგოგის როლის გაზრდა მოსწავლის/აღსაზრდელის/სტუდენტის საგანმანათლებლო შედეგების მიღწევის პროცესში;
  - უსაფრთხო გარემოს ფორმირება საგანმანათლებლო დაწესებულებაში; ძალადობის ამოცნობა და რეაგირება;
  - თანამედროვე საგანმანათლებლო სტრატეგიების შემუშავება;
  - მშობლებთან ეფექტური კომუნიკაციის ფორმების დანერგვა;
  - სკოლამდელი აღზრდის საფეხურზე აღმზრდელთა პროგრამის დაფინანსების ზრდა.
- სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილების გაზიარება სასწავლო ტურების ორგანიზების გზით;
- საბავშვო ბაღების საჭირო საგანმანათლებლო რესურსით აღჭურვა;
- სატრანსპორტო საშუალების გამოყოფა/შეძენა, განსაკუთრებით იმ აღსაზრდელებისთვის, რომლებიც სოფლის/დაბის ცენტრიდან მოშორებით ცხოვრობენ;
- დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება-გამოყოფა;
- სკოლებისა და საბავშვო ბაღების განახლებადი ენერგიის სისტემებზე გადასვლა რესურსების ოპტიმიზაციის მიზნით;
- კარიერის დაგეგმვის სერვისების განვითარება სკოლებში;
- ბიზნესისა და კერძო სექტორთან თანამშრომლობის წარმატებული პრაქტიკის ხელშეწყობა;
- ეკომეგობრული ტრანსპორტის პოპულარიზება მოსწავლეებში.

ახალგაზრდები

ჯგუფის წევრები ახალგაზრდულ კომპონენტზე მსჯელობისას ძლიერ მხარედ ასახელებენ ადგილობრივ დონეზე კვალიფიციური კადრების არსებობას. ისინი, ძირითადად, მოიაზრებენ ახალგაზრდული სფეროს მუშაკებს, რომლებსაც ახალგაზრდების გაძლიერების მიზნით განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამასა თუ პროექტში მონაწილეობის გამოცდილება აქვთ. მნიშვნელოვან შესაძლებლობად ფასდება ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის მუშაობის ეფექტიანობა და სარგებელი იმ სერვისებისა, რომლებსაც ისინი მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებს სთავაზობენ (მათ შორის, სხვადასხვა არაფორმალური განათლების პროგრამა და სხვ.). აღნიშნულ საკითხზე მსჯელობისას ხაზგასმით ითქვა, რომ ხშირ შემთხვევაში სწორედ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები არიან ინიციატორები და პირველები იწყებენ მუშაობას სხვადასხვა ჯგუფის გაძლიერებაზე, რაც მუნიციპალური სტრუქტურების წარმომადგენლებსაც უადვილებს სამიზნე ჯგუფებთან მუშაობას. გარდა ამისა, ისინი ახორციელებენ

სხვადასხვა სერვისის, მიდგომის პილოტირებას, აფასებენ მათ სარგებელს და გამოცდილებას უზიარებენ მუნიციპალურ სტრუქტურებს. ძლიერ მხარედ მოიაზრება უფასო მუნიციპალური პროგრამები და მცირე საგრანტო პროგრამა, რომლის მეშვეობითაც ახალგაზრდებს საშუალება ეძლევათ, მოიპოვონ დაფინანსება.

ახალგაზრდების გაძლიერებისთვის მნიშვნელოვან ძლიერ მხარედ მოიაზრება მუნიციპალიტეტის ფარგლებში ტექნოპარკისა და პროფესიული კოლეჯის არსებობა. აღსანიშნავია, რომ სამუშაო ჯგუფის წევრები იცნობენ ახალგაზრდების გაძლიერების შესახებ სახელმწიფო პოლიტიკას, ასევე, კვლევებს, რომლებიც მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით ჩატარდა. ხელის შემწყობ კომპონენტად მოიაზრება ახალგაზრდული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის არსებობაც.

LAG-ის წევრები აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ სოციალური პროგრამებით. გარდა ამისა, უმცირესობათა წარმომადგენლებს იწვევენ ოზურგეთის დრამატულ თეატრში. ასევე აღნიშნავენ, რომ, მათი დაკვირვებით, გაიზარდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების დასაქმების მაჩვენებელი.

სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ ახალგაზრდობის კომპონენტის სუსტ მხარედ დასახელდა მუნიციპალურ დონეზე პროგრამებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ახალგაზრდების ჩართვის ნაკლები შესაძლებლობები. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ამ დრომდე არ ამოქმედებულა ახალგაზრდობის საბჭო. გარდა ამისა, აღინიშნა, რომ არ არის შესწავლილი ახალგაზრდების საჭიროებები ადმინისტრაციული ერთეულების დონეზე. ვარაუდობენ, რომ მუნიციპალიტეტში დაბალია ახალგაზრდების დასაქმების მაჩვენებელი. მათი დიდი ნაწილი ამ დრომდე მშობლ(ებ)ის ფინანსური დახმარებით ცხოვრობს. ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვა აღრმავებს სკეპტიკურ, უიმედო დამოკიდებულებას მომავლის მიმართ. ამ პროცესში პასუხისმგებლობას სკოლის პედაგოგებსაც ანიჭებენ, რადგან მათი მხრიდან არაეთიკურმა მიმართვამ, უგულებელყოფამ, არასამართლიანმა შეფასებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მოზარდის სამომავლო წარმატებასა და მოტივაციაზე. ჯგუფის წევრების თქმით, ძირითად შემთხვევებში, ახალგაზრდები დასაქმებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცდილობენ. შესაბამისად, გაზრდილია მიგრაციის მაჩვენებელი.

მუნიციპალური ტრანსპორტის არახელსაყრელი განრიგის გამო ახალგაზრდებს ეზღუდებათ განათლების მიღების, დასაქმების, ამა თუ იმ სპორტულ ან სხვა ტიპის აქტივობებში ჩართვის შესაძლებლობა. სამუშაო ჯგუფის წევრები მიიჩნევენ, რომ სწავლების პროცესი პროფესიულ სასწავლებელში დაბალი ხარისხისაა, რის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად სტუდენტების აკადემიური, სოციალური, კოგნიტური უნარ-ჩვევების არქონა სახელდება. ამ პროცესში სუსტ რგოლად სკოლასა და პედაგოგს მოიაზრებენ, რადგან სტუდენტები არ ფლობენ სწავლისთვის საჭირო საბაზისო უნარ-ჩვევებს. სამუშაო ჯგუფის წევრები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია, გაღრმავდეს თანამშრომლობა სკოლასა და პროფესიულ სასწავლებელს შორის, რათა მოზარდებს დროულად მიეწოდოთ ინფორმაცია სხვადასხვა პროფესიის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს მათ, დადებითი ზეგავლენა მოახდინონ საზოგადოებაში არსებულ მავნე სტერეოტიპებზე პროფესი-

ულ განათლებასთან დაკავშირებით. პროფესიულ სასწავლებელში არსებული ერთფეროვანი პროგრამები ზღუდავს ახალგაზრდების შესაძლებლობას, დაეუფლონ ისეთ პროფესიებს, რომელთა წარმომადგენლების დეფიციტი შეიმჩნევა მუნიციპალიტეტში.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი სუსტი მხარეებისა, ჯგუფის წევრები მიიჩნევენ, რომ სხვადასხვა შეზღუდვის მქონე ახალგაზრდებისთვის არ არის შექმნილი ინკლუზიური გარემო, პროგრამები არ არის ადაპტირებული შშმ პირების საჭიროებებზე (მაგ., ჟესტურ ენაზე თარგმნა და სხვ.). მცირერიცხოვანია ისეთი პროგრამები, რომელთა მეშვეობითაც რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ჩაერთვებოდნენ პროფესიული განათლების მიღების პროცესში.

ჯგუფის წევრების თქმით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში, დაბებში და თუნდაც ქალაქის ტერიტორიაზე არ არსებობს სივრცეები, სადაც ახალგაზრდები შეძლებდნენ საქმიანი შეხვედრების გამართვას.

ზემოთ მიმოხილულ გამოწვევებთან გამკლავების და სუსტი მხარეების დაძლევის აუცილებელ პირობად შეხვედრის მონაწილეები მიიჩნევენ მუნიციპალური ტრანსპორტის განრიგის გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, სატრანსპორტო ერთეულების რაოდენობის გაზრდას, რათა ახალგაზრდებს მიეცეთ შეუზღუდავად გადაადგილების შესაძლებლობა და ჩაერთონ სხვადასხვა აქტივობაში.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებსა და პროფესიულ სასწავლებლებს შორის გაძლიერებული თანამშრომლობა და პროფესიული განათლების პოპულარიზების მიზნით შემუშავებული ერთიანი ხედვა გაზრდის განათლების აღნიშნული საფეხურით დაინტერესებას და დააჩქარებს მავნე სტერეოტიპების ნგრევას. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საინფორმაციო კამპანიების ჩატარებას პროფესიული განათლების პოპულარიზების ხელშეწყობის მიზნით, განსაკუთრებით მათში საბაზო და საშუალო განათლების საფეხურის მოსწავლეთა მშობლების მონაწილეობას.

გამოითქვა მოსაზრება, რომ კერძო სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავება პროფესიულ პროგრამებს უფრო ეფექტიანს და სამუშაო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისს გახდიდა. ბაზრის ყოველწლიური კვლევის შედეგების საფუძველზე ახალი პროგრამების დამატება ხელს შეუწყობს ადგილობრივი და მეზობელი მუნიციპალიტეტების სტუდენტების მოზიდვას. კარიერის კონსულტირებასა და კურსდამთავრებულთა დასაქმებაზე ზრუნვა აამაღლებს კოლეჯის სანდოობას და გაზრდის მოთხოვნას მასზე.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროგრამების დანერგვის პროცესში შეიძლება სხვა ქვეყნების გამოცდილების გაცნობა, სპეციალისტების მოწვევა ან/და ადგილობრივი კადრების გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლებისთვის. აუცილებელია მუნიციპალიტეტში მცხოვრები თითოეული ახალგაზრდის საჭიროებების კვლევის ჩატარება და გამოვლენილი შედეგების გათვალისწინებით მრავალფეროვანი მუნიციპალური სერვისების დანერგვა.

ზემოთ ჩამოთვლილი ინიციატივების ეფექტურად განხორციელებისთვის აუცილებელია დონორი ორგანიზაციების მოზიდვა ან ადგილზე არსებული რესურსების მობილიზება, მუნიციპალური პროგრამების დამატება, ასევე, სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით ახალგაზრდების სტიმულირება, ჩაერთონ ადგილობრივი ბიუჯეტის განხილვის პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ შემუშავებულია ახალგაზრდული პოლიტიკა როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე, სამუშაო ჯგუფის წევრები მიიჩნევენ, რომ თანამდებობის პირთა ცვლილება გავლენას ახდენს სამოქმედო გეგმისა და დასახული მიზნების შესრულებაზე. გარდა ამისა, ინსტიტუციურად არამდგრადია ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურების დაქვემდებარება. 2023 წლის ბოლოს ახალგაზრდობის სააგენტო განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს კურატორობის ქვეშ მოექცა, რაც იწვევს გარკვეულ ცვლილებებს. მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი ძლიერ მხარედ კვალიფიციური კადრების არსებობას ასახელებს, საფრთხეებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ კვალიფიციური კადრების გადინების პროცესი ისევ აქტუალურია. სამწუხაროდ, კვლავ მწვავე პრობლემად სახელდება ნეპოტიზმი.

სამუშაო ჯგუფის წევრები საფრთხედ აღიქვამენ არამდგრად ინიციატივებსა და პროექტებს როგორც ხელისუფლების, ისე სამოქალაქო სექტორის მხრიდან და მიიჩნევენ, რომ პროგრამებისა და პროექტების დასრულების/შეწყვეტის შემდეგ ახალგაზრდებში იზრდება უნდობლობა და უიმედობა.

ახალგაზრდების განვითარებისა და წინსვლის შემაფერხებელ ფაქტორად დასახელდა ნაადრევი ქორწინების მანკიერი პრაქტიკა, განსაკუთრებით რელიგიურ უმცირესობათა თემებში.

მუნიციპალური პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ დიდ დაბრკოლებად სტიქიური უბედურებები მიიჩნევა, რადგან ექსტრემალურ სიტუაციაში თანხების ხელახალი გადანაწილების გამო შეიძლება შეფერხდეს ამა თუ იმ პროგრამის მიმდინარეობის პროცესი.

10.3 ახალგაზრდების მიმართულების SWOT-ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
ადამიანური რესურსი ახალგაზრდული სფეროს კვალიფიციური მუშაკებისა და იქ მომუშავე პირების სახით; არასამთავრობო სექტორის მხრიდან მოზარდებისა და ახალგაზრდებისთვის არაფორმალური განათლების მრავალფეროვანი სერვისების შეთავაზება; უფასო მუნიციპალური პროგრამები – მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის წრეები, მცირე საგრანტო პროგრამა ახალგაზრდებისთვის; მრავალფეროვანი საპილოტე პროგრამები ახალგაზრდების გაძლიერებისთვის; ტექნოპარკი; პროფესიული კოლეჯი; ახალგაზრდების საჭიროებების არსებული კვლევა და ქვეყნის და მუნიციპალურ დონეზე გამოკვეთილი საჭიროებები;	მუნიციპალურ დონეზე პროგრამებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ახალგაზრდების ჩართვის ნაკლები შესაძლებლობები; ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საბჭოს არარსებობა; ახალგაზრდების, განსაკუთრებით ე.წ. NEET ახალგაზრდების, ინდივიდუალური საჭიროებების შესწავლა; პროფესიულ სასწავლებლებსა და სკოლებში დასაქმებული კადრების დაბალი კვალიფიკაცია; პროფესიულ კოლეჯში არსებული პროგრამების ერთფეროვნება და დასაქმების ბაზართან შეუსაბამობა; მიგრაცია (რომელმაც 60%-ს გადააჭარბა);

ახალგაზრდული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დოკუმენტი მუნიციპალურ დონეზე; რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების ჩართულობა სხვადასხვა პროგრამაში, მათი ინტეგრაციის მიზნით დაგეგმილი აქტივობების მრავალფეროვნება; დასაქმების მაჩვენებლის ზრდის ტენდენცია	ახალგაზრდებისთვის საინტერესო და უსაფრთხო დასაქმების ადგილების არსებობის დაბალი მაჩვენებელი; მუნიციპალური ტრანსპორტის არახელსაყრელი განრიგი; ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობა; უიმედო, სკეპტიკური განწყობა ახალგაზრდებში – ახალგაზრდების ინიციატივების ნაკლებობა, სხვადასხვა პროექტსა და ინიციატივაში მათი ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი; ეკონომიკური დამოუკიდებლობის არქონა; კვალიფიციური კადრების ნაკლებობა მილევად პროფესიებში (სანტექნიკოსი, ელექტრიკოსი და სხვ.); კარიერის დაგეგმვის სერვისის არარსებობა; პროფესიული განათლების საფეხურთან სკოლების თანამშრომლობის ნაკლებობა; კოლეჯის სტუდენტების საბაზისო განათლების დაბალი მაჩვენებელი; უმაღლესი განათლების მიმართ მშობლებისა და მასწავლებლების სტერეოტიპული დამოკიდებულება; შშმ პირებისთვის ადაპტირებული საგანმანათლებლო პროგრამების არქონა; ჟესტური ენის არცოდნა კოლეჯში; არაინკლუზიური გარემო
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
მუნიციპალური ტრანსპორტის შეძენა, განრიგის ცვლილება და მორგება მოსახლეობის საჭიროებებზე; კერძო სექტორთან პროფესიული სასწავლებლებისა და სხვა პასუხისმგებელი ორგანოების თანამშრომლობის გაღრმავება ახალგაზრდობის დასაქმების ხელშეწყობის მიზნით; პროფესიული სასწავლებლის პოპულარიზება სკოლაში; შრომის ბაზრის კვლევა და მუნიციპალური პროგრამების დამატება; კარიერის კონსულტირების სერვისების შეთავაზება;	გადაწყვეტილების მიმღები პირის შეცვლა, რაც იწვევს პოლიტიკის ცვლილებას; პოლიტიკის ცვლილება ახალგაზრდობის საკითხებთან მიმართებით; ნეპოტიზმი; რეგიონიდან კვალიფიციური კადრების გადინება; არამდგრადი ინიციატივები და პროექტები, რომელთა დასრულების/შეწყვეტის შემდეგ იზრდება უნდობლობა და უიმედობა ახალგაზრდებში;

ახალგაზრდების ინტერესებისა და საჭიროებების კვლევა; დონორების მოზიდვა; ახალგაზრდების გაძლიერება ინიციატივების განხორციელებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით; ბიუჯეტის განხილვის პროცესში ახალგაზრდების ჩართვის სტიმულირება	ნაადრევი ქორწინება; სტიქიური უბედურებებიდა ფორსმაჟორული მდგომარეობა

10.4 რეკომენდაციები

- მუნიციპალიტეტის დონეზე ახალგაზრდების ინდივიდუალური საჭიროებების შესწავლა და მათი გაძლიერებისთვის სხვადასხვა ადგილობრივი სერვისის დანერგვის ხელშეწყობა;
- მუნიციპალური სერვისების შემუშავების პროცესში უმცირესობათა ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინება;
- პროფესიული განათლების პოპულარიზების ხელშეწყობა და სკოლისა და კოლეჯის თანამშრომლობის სტიმულირება;
- პროფესიული სასწავლებლის ბაზაზე დასაქმების ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი მრავალფეროვანი პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა, კადრების გადამზადება ან/და მოწვევა, წარმატებული ევროპული პრაქტიკის გაცნობა;
- ახალგაზრდობის საკითხებზე მუნიციპალიტეტში მომუშავე (არსებული) ადამიანური რესურსის შენარჩუნებასა და გაძლიერებაზე ზრუნვა;
- კარიერისა და დასაქმების კონსულტირების სერვისების დანერგვა/გაძლიერება;
- რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება წარმატებული სამეწარმეო პრაქტიკის გაცნობის მეშვეობით;
- ახალგაზრდების ინიციატივების წახალისება და მხარდაჭერა, მათი გაძლიერება პროექტების წერისა და მართვის მიმართულებით;
- ახალგაზრდების კომპეტენციების გაძლიერება ტექნოლოგიების გამოყენების, დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცების მიმართულებით;
- ინოვაციური იდეების დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოძიება და ახალგაზრდების ინფორმირება/დაინტერესება;
- ახალგაზრდების ინფორმირება სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობის, მისი ფორმებისა და მექანიზმების შესახებ;
- შეკრებებისთვის სივრცეების შექმნა არა მხოლოდ მუნიციპალურ ცენტრში, არამედ სოფლებსა და დაბებში; ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი აქტივობა ხელმისაწვდომი იყოს როგორც მუნიციპალურ ცენტრში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის, ასევე სოფლის ტიპის დასახლებებში მცხოვრები პირებისთვის.

სპორტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს უფასო წრეები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, რომლებშიც გაერთიანებული არიან როგორც ბიჭები, ისე გოგონები. სამუშაო ჯგუფის წევრები მიიჩნევენ, რომ შეთავაზებული სპორტის სახეობები თანაბრად საინტერესოა ორივე სქესის წარმომადგენლებისთვის. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოქმედ კლუბებში გაერთიანებული ახალგაზრდები ასპარეზობისას მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ. არაერთი ტიტულოვანი სპორტსმენის არსებობა ხელს უწყობს სპორტის სახეობების პოპულარიზებას. მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში ხშირად არის გათვალისწინებული წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოება და წახალისება. სპორტის მუნიციპალური სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს სოფლების რწმუნებულებთან, რის მეშვეობითაც მოსახლეობაში ეფექტიანად ვრცელდება ინფორმაცია სპორტული წრეების შესახებ.

სამუშაო ჯგუფის წევრები ასევე მიიჩნევენ, რომ გაუმჯობესებულია/შექმნილია სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის განკუთვნილი სპორტული ინფრასტრუქტურა – ჩოგბურთის კორტები, ფეხბურთის სტადიონები სოფლებში და სხვ. ისინი აღჭურვილია საჭირო რესურსებით. შექმნილია სპორტის განვითარების ცენტრი, რომელიც აწყობს ყოველწლიურ შეჯიბრებებს.

მუნიციპალიტეტში ვითარდება ინდივიდუალური ინიციატივები, კერძოდ, სათემო კლუბი „ზვანელები“ აერთიანებს ზვანის უბანში მცხოვრებ მოზარდებსა და ახალგაზრდებს, რომლებიც წარმატებით ასპარეზობენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში. კლუბის დაარსება მიიჩნევა მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის გამოვლენად, იმის კარგ მაგალითად, რომ მოქალაქემ უნდა იზრუნოს საკუთარ თემში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე.

მართალია, გაუმჯობესებულია სპორტული ინფრასტრუქტურის ნაწილი, მაინც მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ინვენტარის ნაკლებობა და ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაციის საჭიროება. ამ პროცესში აუცილებელია გარკვეული რეგულაციების დაცვა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით. სპორტულ წრეებში გაერთიანებული მოსწავლეების მშობლები განსაკუთრებით მიუთითებენ იმაზე, რომ იქ სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები ზედმიწევნით დაცული არაა, რის გამოც უარი უთქვამთ აღნიშნულ უფასო სერვისზე.

სუსტ მხარედ არის მიჩნეული საცურაო აუზის ფუნქციონირების შეჩერება, თუმცა მონაწილეები აქვე განმარტავენ, რომ არსებული აუზი ვერ აკმაყოფილებდა დაწესებული სტანდარტის მოთხოვნებს, ძირითადად, მისი სიდიდის გამო.

სპორტულ წრეებსა და შეჯიბრებებში ახალგაზრდების ჩართულობის ხარისხი დაბალია. მუნიციპალური სამსახური ყოველწლიურად ატარებს შეჯიბრებებს, მაგრამ უჭირს ახალგაზრდების დაინტერესება.

მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს მშობლების ცნობიერების დაბალი დონე სპორტულ აქტივობებში ბავშვების ჩართვით მიღებული სარგებლის შესახებ. ხშირ შემთხვევაში, მოზარდები სპორტულ წრეებს სწორედ მშობლების ინიციატივით ეთიშებიან.

პრობლემას წარმოადგენს სპორტის ინსტრუქტორთა დაბალი კვალიფიკაცია, რაც ეჭვქვეშ აყენებს მოზარდების როგორც ფიზიკურ, ისე ემოციურ უსაფრთხოებას. როგორც მონაწილეები

აღნიშნავენ, ხშირია სპორტსმენების მხრიდან მავნე ნივთიერებების მოხმარების ფაქტები და ჯანსაღი ცხოვრების წესის პრინციპების უგულებელყოფა.

რაკი ფიზიკური აქტივობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებაში, სამუშაო ჯგუფის წევრები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება. ამისათვის კი სასურველია მრავალფეროვანი აქტივობების ორგანიზება, მათ შორის, სკოლის დონეზე სპორტის გაკვეთილების ხარისხიანად ჩატარება და სპორტული წრეების ამოქმედების ხელშეწყობა. ერთ-ერთ შესაძლებლობად მოაზრებულია შეჯიბრებების ჩატარება მოსწავლეთა მშობლების მონაწილეობით.

შეხვედრაზე გამოითქვა მოსაზრება, რომ სპორტული ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად განვითარება როგორც სახელმწიფო, ისე დონორი ორგანიზაციების დახმარებით უფრო მეტად მრავალფეროვანსა და ხარისხიანს გახდიდა სერვისის მიწოდების პროცესს. აღნიშნული საკითხი მეტად აქტუალურია სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის, რადგან ტრანსპორტირების პრობლემა მისი დიდი ნაწილის წინაშე დგას. ამიტომ ქალაქში ჩამოსვლის ნაცვლად ადგილზევე შეძლებდნენ სპორტის სხვადასხვა სახეობაში ვარჯიშს. სამუშაო ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს, რომ შესაბამისი სივრცეები სკოლების უმეტესობაში შემორჩენილია, თუმცა, ცხადია, ისინი საჭიროებს რეაბილიტაციას.

მნიშვნელოვანია მოტივირებული მოზარდებისა და ახალგაზრდების წახალისება, მათთვის სპორტული ცხოვრების პროცესში საჭირო ინვენტარის შეძენა და სხვა მნიშვნელოვანი საჭიროებების დაკმაყოფილება. სპორტული წრეების მიმართ ინტერესის გაღვივების მიზნით შეიძლება მოეწყოს შეხვედრები ცნობილ, წარმატებულ სპორტსმენებთან.

ჯგუფის წევრები აღნიშნავენ, რომ შესაძლებელია, პროფესიული კოლეჯის ბაზაზე დამატებით შემოღებულ იქნეს სპორტულ ინსტრუქტორთა გადამზადების მოკლე და გრძელვადიანი კურსები.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა ყურადღება გაამახვილეს იმ საფრთხეებზე, რომლებიც მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შეექმნება სპორტული ცხოვრების წესის უგულებელყოფის ან ნაკლები ჩართულობის პირობებში, კერძოდ, გაიზრდება სხვადასხვა მავნე ნივთიერების მომხმარებელთა რიცხვი, ბავშვობის ასაკში გაჯეტებზე დამოკიდებულთა რაოდენობა. დასახელებული საფრთხეები პირდაპირ უკავშირდება ახალგაზრდობის როგორც ფიზიკურ, ისე მენტალურ ჯანმრთელობას.

მეორე მხრივ, სხვადასხვა სპორტულ წრეზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის გამო შეიძლება გაიზარდოს მიგრაციის მაჩვენებელი. აღნიშნული საკითხი უმეტესად აქტუალურია როგორც სპორტის ინსტრუქტორების, ისე ნიჭიერი სპორტსმენების შემთხვევაში. ამის მიზეზია საკმარისი დაფინანსების, თანამედროვე სპორტული ინვენტარის არქონა. შიდა და გარე მიგრაცია აფერხებს ნებისმიერი სფეროს განვითარებას მუნიციპალიტეტებსა თუ სოფლებში.

10.5 სპორტის მიმართულების SWOT-ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
უფასო და მრავალფეროვანი სპორტული წრეები (ბიჭებისა და გოგონებისთვის); „ზვანელები“, სათემო სპორტული კლუბი – მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მაგალითი; წარმატებული ასპარეზობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში და ტიტულოვანი სპორტსმენების არსებობა; სასკოლო სპორტული შეჯიბრებები; ჩოგბურთის კორტების არსებობა; სპორტული მოედნების არსებობა სოფლებში; სპორტის განვითარების ცენტრის არსებობა; სპორტული აღჭურვილობით წრეების უზრუნველყოფა; წარმატებული სპორტსმენების წახალისება; სოფლის რწმუნებულებთან მჭიდრო თანამშრომლობა	სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურისა და ინვენტარის ნაკლებობა; გენდერული საკითხების გაუთვალისწინებლობა სპორტულ ინფრასტრუქტურაში; სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა; ახალგაზრდების ნაკლები ინტერესი სპორტული და ჯანსაღი ცხოვრების მიმართ; მშობლების ცნობიერების დაბალი დონე; სპორტის ინსტრუქტორების დაბალი კვალიფიკაცია; მავნე ნივთიერებების მოხმარება; საცურაო აუზის არარსებობა
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება; ტრანსპორტირების უზრუნველყოფა ან მუნიციპალური ტრანსპორტის განრიგის გადახედვა; სასკოლო სპორტული აქტივობების მოწყობა; მონდომებული მოსწავლეების წახალისება; შეხვედრები ცნობილ სპორტსმენებთან; ინფრასტრუქტურის განვითარება; სოფლის ტერიტორიებზე შეჯიბრებების ჩატარება; მშობლების ჩემპიონატების ჩატარება	მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულების მაჩვენებლის ზრდა; გაჯეტებზე დამოკიდებულება; მიგრაცია

10.6 რეკომენდაციები

- სკოლამდელ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დაიგეგმოს და განხორციელდეს პროექტები, რომლებიც უზრუნველყოფს მოზარდებისა და ახალგაზრდების ფიზიკურ აღზრდასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;
- სკოლების ჩართულობით სასკოლო სპორტის განვითარების სტრატეგიის შემუშავება;
- მუნიციპალიტეტსა და პროფესიულ კოლეჯს შორის ურთიერთთანამშრომლობის ჩამოყალიბება სპორტული მიმართულების ტრენერთა გადამზადების კურსების შექმნის მიზნით;

- მასობრივი სპორტის განვითარება მუნიციპალიტეტში, რისთვისაც საჭიროა ახალგაზრდებისთვის სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა დადგენა და მათი განვითარების პირობების შექმნა;
- სპორტულ ინფრასტრუქტურაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მათთვისაც, ვინც არ არის სპორტით დაინტერესებული.

SWOT-ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანწილად დგას საგანმანათლებლო, ახალგაზრდული, კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობის პრობლემა. ადგილობრივ მცხოვრებთ, განსაკუთრებით ბავშვებსა და ახალგაზრდებს, არ აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ მათთვის სასურველი და სასარგებლო მომსახურება. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სკოლების, არამედ არაფორმალური განათლების ცენტრების, სახელოვნებო, სპორტული და ახალგაზრდული სივრცეების ინფრასტრუქტურის მოწყობა, ინვენტარითა და რესურსებით მათი მომარაგება. ინტერნეტის მიწოდების დაბალი ხარისხი სოფლებში საყურადღებო ხელის შემშლელი ფაქტორია ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ინტეგრაციისა და განვითარების პროცესისთვის.

11. კერძო და საჯარო სექტორებს შორის პარტნიორობის ჩამოყალიბება და კარგი მმართველობის მხარდაჭერა

ადგილობრივ დონეზე პარტნიორობის ჩამოყალიბება სხვადასხვა მხარეს შორის და კარგი საჯარო მმართველობის პრაქტიკის დანერგვა გურიის რეგიონისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ყოველივე ამას ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ქვემოთ მოცემული ფაქტორები. ამ პროცესში მნიშვნელოვანია დაინტერესებულ მხარეებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა და კოორდინაცია (განსაკუთრებით ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა), კერძოდ:

1. გამჭვირვალობა: თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესი გამჭვირვალე და ხელმისაწვდომია ადგილობრივ მცხოვრებთათვის, ისინი უფრო მეტად აცნობიერებენ მას.
2. ჩართულობა: ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური ჩართვა კონსულტაციების გაცემისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ხელს უწყობს ინკლუზიურობის ზრდას.
3. კომუნიკაცია/კოორდინაცია: მკაფიო და ხელმისაწვდომი კომუნიკაცია და მხარეებს შორის კოორდინაცია უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობას და ზრდის მათ მოტივაციას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩასართავად.

მოცემული პერსპექტივიდან და საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივმა სამოქმედო ჯგუფმა, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, იმსჯელა საჯარო მმართველობის ხარისხის გაუმჯობესების რეალურ შესაძლებლობებზე. ამ მხრივ უფრო კონკრეტული საჭიროებების გამოვლენისა და მათი დაკმაყოფილების გზების დასახვისთვის ჯგუფმა მოამზადა SWOT-ანალიზი.

11.1 საჯარო პარტნიორობისა და კარგი მმართველობის მიმართულების SWOT-ანალიზი

ძლიერი მხარეები:	სუსტი მხარეები:
1. **მუნიციპალური სერვისები** ● საბავშვო ბაღების საკმარისი რაოდენობა ● საჯარო სივრცეების დასუფთავების და ნარჩენების გატანის გამართული სისტემა ● დღის ცენტრის არსებობა ● უფასო სასადილოს მომსახურება ● კრიზისული ცენტრის არსებობა 2. **საბიუჯეტო პროცესი** ● კვლევებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები ● მერის წარმომადგენლები, საკრებულოს წევრები აქტიურად არიან ჩართული პროცესში ● მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამის არსებობა 3. **მუნიციპალური ქონება** ● ქონების მართვის და საინვესტიციო განვითარების განყოფილებები მუნიციპალიტეტებში 4. **პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი** ● 2024-2027 წლების მუნიციპალიტეტის განვითარების დამტკიცებული დოკუმენტი; ● დარგობრივი განვითარების სტრატეგიების არსებობა 5. **მოქალაქეთა მონაწილეობა** ● საერთაშორისო ორგანიზაციების პროექტებში აქტიური ჩართულობა ● მუნიციპალიტეტების კარგი პოზიციონირება (იმიჯი) ● ინოვაციური მექანიზმების დანერგვის პილოტირების რეჟიმში ყოფნა (სამოქალაქო ლაბორატორია, მოქალაქეთა ასამბლეა და სხვა) ● OGP-ის სამოქმედო გეგმა. 6. **ელექტრონული მმართველობა** ● უკვე დანერგილი ელექტრონული მომსახურებები	1. **მუნიციპალური სერვისები** ● ტრანსპორტის მოუქნელი გრაფიკი ● არაადაპტირებული გარემო ● წყალმომარაგების სისტემების არარსებობა ან შეფერხებით მუშაობა ● საკანალიზაციო სისტემების არარსებობა ან შეფერხებით მუშაობა ● მიუსაფარი ძაღლები ● გაუწმენდელი სანიაღვრე სისტემები ● საზოგადოებრივი სივრცეების ნაკლებობა. 2. **საბიუჯეტო პროცესი** ● მოსახლეობის ნაკლები ინტერესი - მოქალაქეები თითქმის არ მონაწილეობენ საბიუჯეტო პროცესში; ● მოქალაქეებს არ გააჩნიათ ინფორმაცია საბიუჯეტო პროცესის შესახებ; ● მოსახლეობის სკეპტიციზმი. 3. **მუნიციპალური ქონება** ● ქონების აღურიცხაობა და საინვესტიციოდ მისი გამოუყენებლობა, რის გამოც ქონება ნადგურდება 4. **პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი** ● პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი; ● მუნიციპალური სტატისტიკის არარსებობა. 5. **მოქალაქეთა მონაწილეობა** ● მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს არარსებობა; ● ნაკლებად იყენებენ საერთო კრებების პრაქტიკას ● მოქალაქეების ნაკლები ინტერესი საკრებულოს და საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობის მიმართ ● მერი და საკრებულოს წევრები არ მართავენ/ან იშვიათად მართავენ ანგარიშების საჯარო განხილვას; ● Lsgindex-ში გაუარესებული შედეგები

	6. **ელექტრონული მმართველობა** • კომპეტენციების (ტექნოლოგიური უნარ-ჩვევები), ტექნიკური შესაძლებლობების ნაკლებობა
შესაძლებლობები	**საფრთხეები**
1. **მუნიციპალური სერვისები** • მუნიციპალური სერვისები • მიუსაფარ ცხოველებთან დაკავშირებით მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებები • დონორი ორგანიზაციების გაზრდილი ინტერესი • საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის კარგი შესაძლებლობები 2. **საბიუჯეტო პროცესი** • USAID-ის მხარდაჭერის მიმდინარე პროგრამა 3. **მუნიციპალური ქონება** • ქონების გადაცემის პროცედურები მარტივდება 4. **პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი** • საკანონმდებლო ჩარჩოს არსებობა • საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა 5. **მოქალაქეთა მონაწილეობა** • საერთაშორისო და ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების მხარდაჭერა 6. **ელექტრონული მმართველობა** • MSDA-ს სისტემის არსებობა	1. **მუნიციპალური სერვისები** • ფინანსების სიმცირე სერვისების განვითარების მიმართულებით • საკანონმდებლო რეგულაციების და სტანდარტების ნაკლებობა 2. **საბიუჯეტო პროცესი** • საკუთარი შემოსავლების ნაკლებობა და სახელწიფო ფონდებზე დამოკიდებულების მაღალი ხარისხი 3. **მუნიციპალური ქონება** • ცენტრალური ხელისუფლებიდან ქონების გადაცემის პროცესი შენელებულია • ქონება ძირითადად ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკუთვნის • ქონების გადაცემის რთული ბიუროკრატიული მექანიზმები 4. **პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი** • სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მუნიციპალური სტატისტიკა არ არის სინქრონიზებული პოლიტიკის დაგეგმვისთვის საჭირო მონაცემებთან. 5. **მოქალაქეთა მონაწილეობა** • საერთო კრების ნაწილში კანონმდებლობა ძალიან დეტალურია და მუნიციპალიტეტს მოქმედების თავისუფლება ნაკლები აქვს • პოლიტიკის დონეზე ნაკლებად არის წახალისებული მონაწილოების ინსტრუმენტების გამოყენება 6. **ელექტრონული მმართველობა** • ინტერნეტით დაფარვის პრობლემები • MSDA-ს სისტემის შეზღუდული ხელმისაწვდომობა

12. რეგიონული განვითარების პროექტების დაგეგმვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში

ოზურგეთის LAG-ის ძირითადი მიზანია შემდეგი მიმართულებების ხელშეწყობა:

- ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება და მეწარმეობის მხარდაჭერა
- სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარება
- ტურიზმის განვითარება
- გარემოს დაცვა
- განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდები
- კერძო და საჯარო სექტორებს შორის პარტნიორობის ჩამოყალიბება და კარგი მმართველობის მხარდაჭერა

ოზურგეთის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი თანამშრომლობს საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და კერძო პირებთან.

მმართველმა საბჭომ, გენერალური ასამბლეის სექტორულ ჯგუფებთან ერთად, განსაზღვრა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები და საბოლოოდ ჩამოაყალიბა ის მიმართულებები, რომლებიც შეესაბამება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამოწვევებს და სრულად ასახავს მუნიციპალიტეტის საჭიროებებს.

12.1 სოფლის მეურნეობა

N	გამოწვევები	გადაჭრის გზები		
		საგრანტო კონკურსი	შესაძლებლობების გაძლიერება	ლობირება-ადვოკატირება
1.	პროფესიულ ცოდნასა და ტექნოლოგიებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა	√	√	√
2.	გადამამუშავებელი და შემნახველი ინფრასტრუქტურის ნაკლებობა	√		√
3.	დარგის სპეციალისტების სიმცირე		√	√
4.	ფინანსებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა		√	√
5.	კლიმატის ცვლილებები	√		√
6.	დაბალი მოსავლიანობა	√		√
7.	პროდუქციის ნაკლები ცნობადობა		√	√
8.	სამუშაო ძალის სიმცირე		√	
9.	ხარისხიან კონსულტაციებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა	√		√
10.	სერტიფიცირებული სანერგეების ნაკლებობა	√	√	
11.	კოოპერაციის ნაკლები შესაძლებლობები	√		√

12.	დაავადებების მრავალფეროვნება და გავრცელების სისწრაფე		√	√
13.	მხარდამჭერი პროგრამების დაბალი ხარისხი			√
14.	პროდუქციის დაბალი ხარისხი და სტანდარტებთან შეუსაბამობა	√	√	
15.	პროდუქციის მაღალი თვითღირებულება და დაბალი კონკურენტუნარიანობა	√	√	
16.	დაბალპროდუქტიული ჯიშები (მეცხოველეობა)	√	√	
17.	უხარისხო ვეტ და ფიტოპრეპარატები და სასუქები		√	√
18.	მექანიზაციაზე ნაკლები ხელმისაწვდომობა	√	√	
19.	ბიოსასუქებსა და პრეპარატებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა	√		
20.	ნაკლებნაყოფიერი ნიადაგი, ნიადაგის ეროზია	√	√	
21.	დაუმუშავებელი ფართობები			√
22.	სამელიორაციო სისტემის არარსებობა			√
23.	პროდუქციის ბაქტერიული და სხვა სახის დაბინძურებით გამოწვეული რისკების ზრდა		√	√
24.	პროდუქციის ლაბორატორიული ანალიზების ჩატარებაზე ნაკლები ხელმისაწვდომობა		√	√
25.	მწარმოებლებს შორის კონსოლიდაციის ნაკლებობა			
26.	ბაზრების კვლევის შედეგებზე ინფორმაციის ნაკლებობა		√	
27.	სარწყავ წყალზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა	√	√	√

12.2 ტურიზმი

N	გამოწვევები	გადაჭრის გზები		
		საგრანტო კონკურსი	შესაძლებლობების გაძლიერება	ლობირება-ადვოკატირება
1.	ორგანიზებულობის დაბალი დონე დარგის მართვის პროცესში		√	√
2.	გურიის ტურისტული შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების დაბალი დონე	√	√	√
3.	კვალიფიციური კადრების სიმცირე		√	√
4.	მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობა			√
5.	ოზურგეთზე მომუშავე ტუროპერატორების არარსებობა	√	√	√
6.	გასართობი სივრცეების ნაკლებობა	√	√	√
7.	კვების და განთავსების ადგილების სიმცირე	√	√	√
8.	ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა		√	√
9.	ტურისტებისთვის მარკირებული საგზაო მარშრუტების არარსებობა	√	√	√
10.	ციფრულ სივრცეში მუნიციპალიტეტის შესახებ ცნობიერების დაბალი ხარისხი	√	√	√
11.	ძირითადი მუნიციპალური სერვისების (გზა, წყალი, კანალიზაცია) გაუმართაობა			√
12.	სერვისის მიმწოდებლებსა და ადგილობრივ მწარმოებლებს შორის კოორდინაციის დაბალი ხარისხი	√	√	√
13.	ტურისტული შესაძლებლობები არასაკმარისად არის შესწავლილი (მაგ., კულინარია, წეს-ჩვეულებები და სხვ.)		√	√
14.	გამოუყენებელი არსებული საინფორმაციო რესურსები (ვებგვერდი „რა ყოფილა გურია!“ და სხვ.)		√	√

12.3 ჯანდაცვა და სოციალური დაცვა

N	გამოწვევები	გადაჭრის გზები		
		საგრანტო კონკურსი	შესაძლებლობების გაძლიერება	ლობირება-ადვოკატირება
1.	პირველადი ჯანდაცვის მომსახურებებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა			√
2.	კომპეტენტური კადრების ნაკლებობა			√
3.	ციფრულ მედიცინაზე ნაკლები ხელმისაწვდომობა	√		√
4.	ამბულატორიების გაუმართაობა – ცუდი მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა			√
5.	მონაცემთა ბაზების არასისტემურობა და გაუმართაობა			√
6.	საჭირო სპეციალისტების არარსებობა			√
7.	საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების სახელმწიფო პროგრამის არაეფექტიანი მოდელი და დიზაინი		√	√
8.	შშმ პირებზე ადაპტირებული გარემოს არქონა	√	√	√
9.	სოციალურად დაუცველ პირთა მხარდამჭერი მუნიციპალური პროგრამების არაეფექტურობა, კოორდინაციისა და მონიტორინგის სისტემის ნაკლებობა	√	√	√

12.4 ადგილობრივი ეკონომიკისა და მეწარმეობის განვითარება

N	გამოწვევები	გადაჭრის გზები		
		საგრანტო კონკურსი	შესაძლებლობების გაძლიერება	ლობირება-ადვოკატირება
1.	დარგობრივი ბიზნესასოციაციებისა და გაერთიანებების ნაკლები შესაძლებლობები	√	√	√
2.	გასაღების ბაზრების სიმწირე, პროდუქციის რეალიზაციის პრობლემები	√	√	√
3.	ბიზნესკონსალტინგისა და მხარდამჭერი ორგანიზაციების არარსებობა, სერვისებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა (მათ შორის, მეღვინეობაში)	√	√	√
4.	სკეპტიციზმი და მეწარმეობაში ორიენტირების ნაკლებობა	√	√	√
5.	რესურსების, მათ შორის, ადამიანური რესურსების (პროფესიული კადრების) სიმცირე		√	√
6.	ადგილობრივი წარმოების მცირე მასშტაბები, მაღალი თვითღირებულება და განვითარების დაბალი ტემპები	√	√	√
7.	წარმოების და გადამუშავების ნაწილში მოდერნიზაციის/მექანიზაციის დაბალი დონე	√	√	√
8.	შრომითი რესურსების პროფესიული განათლების და კვალიფიკაციის დაბალი დონე		√	√
9.	ადამიანური რესურსების გადინება, შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაცია		√	√
10.	ახალი ტექნოლოგიების ცოდნისა და გამოყენების დაბალი დონე	√	√	√
11.	ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა		√	√
12.	სამეწარმეო განათლების დაბალი დონე	√	√	√
13.	მოუწესრიგებელი საკურორტო და ტურისტული ინფრასტრუქტურა	√	√	√
14.	მოუწესრიგებელი მუნიციპალური რესურსები (კანალიზაცია, წყალმომარაგება, ტრანსპორტი და სხვ.)		√	√
15.	კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის გამართვის ნაკლები შესაძლებლობები		√	√

16.	სტიქიური მოვლენების გაზრდილი რისკები		√	√
17.	ბიზნესის/მეწარმეობის მხარდაჭერის მიმართულებით ადმინისტრაციულ სერვისებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა (ნებართვის აღების სირთულე და სხვ.)		√	√
18.	რეგიონში ხარისხის კონტროლის ლაბორატორიების არარსებობა	√	√	√
19.	მოუქნელი სადაზღვევო სისტემა, მოსავლის დაზღვევის არარსებობა		√	√

12.5 გარემოს დაცვა

N	გამოწვევები	გადაჭრის გზები		
		საგრანტო კონკურსი	შესაძლებლობების გაძლიერება	ლობირება-ადვოკატირება
1.	მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე გარემოსდაცვით და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის საკითხებზე	√	√	√
2.	ბუნებრივი კატასტროფების გაზრდილი რისკები		√	√
3.	ნარჩენების მართვისთვის საჭირო არასაკმარისი ინფრასტრუქტურა და მართვის სუსტი პრაქტიკა	√	√	√
4.	უკანონო თევზჭერა და ნადირობა		√	√
5.	ნარჩენების მდინარეებში ჩადინება		√	√
6.	ნიადაგის დაბინძურება ცენტრალური საკანალიზაციო სისტემების არარსებობის გამო	√	√	√
7.	ხე-ტყის უკანონო ჭრა		√	√
8.	უკანონო ნაგავსაყრელების დიდი რაოდენობა		√	√

12.6 განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდები

N	გამოწვევები	გადაჭრის გზები		
		საგრანტო კონკურსი	შესაძლებლობების გაძლიერება	ლობირება-ადვოკატირება
1.	სოფლებში ინტერნეტის მიწოდების დაბალი ხარისხი			√
2.	საზოგადოებრივი სივრცეების ნაკლებობა	√	√	√
3.	საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის დაბალი ხარისხი და შეზღუდული რესურსი	√	√	√
4.	საგანმანათლებლო სისტემასა და მუნიციპალიტეტს შორის კომუნიკაციის სირთულეები		√	√
5.	საგანმანათლებლო დაწესებულებების პროცესებში მშობელთა მონაწილეობის დაბალი ხარისხი		√	√
6.	მოსწავლეების შემცირებული რაოდენობა		√	√
7.	არაადაპტირებული გარემო სასწავლო დაწესებულებებში	√	√	√
8.	მასწავლებელთა კვალიფიკაციის დაბალი დონე		√	√
9.	სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების შეზღუდული ხელმისაწვდომობა შესაბამის სერვისებზე	√	√	√
10.	არაფორმალური განათლებისა და აქტივიზმის დაბალი დონე	√	√	√
11.	არაეფექტური მუნიციპალური პროგრამები		√	√

12.7 კერძო და საჯარო სექტორებს შორის პარტნიორობის ჩამოყალიბება და კარგი მმართველობის მხარდაჭერა

N	გამოწვევები	გადაჭრის გზები		
		საგრანტო კონკურსი	შესაძლებლობების გაძლიერება	ლობირება-ადვოკატირება
1.	პოლიტიკის დაგეგმვის და საბიუჯეტო პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის დაბალი ხარისხი	√	√	√
2.	ინვესტიციების მოზიდვის საკითხში მუნიციპალიტეტის ნაკლები აქტიურობა	√	√	√
3.	კანონით და კარგი პრაქტიკით განსაზღვრული მონაწილეობის ფორმების შესახებ ცნობიერების დაბალი დონე; შესაბამისად, ამ ფორმების გამოყენების ნაკლები პრაქტიკა	√	√	√
4.	Lsgindex-ში გაუარესებული შედეგები		√	√
5.	ელექტრონული მმართველობის მიმართულებით კომპეტენციების, ტექნიკური შესაძლებლობების ნაკლებობა	√	√	√
6.	მუნიციპალიტეტში სტატისტიკის სისტემის არარსებობა		√	√

13. მონიტორინგი და შეფასება

ოზურგეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის მიხედვით დაგეგმილ აქტივობებსა და პროცესებზე დაკვირვებისათვის, ასევე მათი შეფასებისათვის მნიშვნელოვანია შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტური სისტემის შექმნა. იგი მიზნად ისახავს, შეისწავლოს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული ამოცანების შესრულების პროცესი, მიღწეული შედეგები და გამოავლინოს გამოწვევები.

მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელი ორგანო იქნება ოზურგეთის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის მმართველი საბჭო, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს მთლიან პროცესს: ოზურგეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას, მიზნების მიღწევას, სტრატეგიაში ცვლილებების შეტანის საჭიროებას და სხვ.

14. რეგიონული განვითარების პროექტების დაგეგმვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში

ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში ჩატარებული SWOT-ანალიზების საფუძველზე გამოიკვეთა 7 ძირითადი არეალი, რომლებზე ზემოქმედება პროექტის ფარგლებში ხელს შეუწყობს რეგიონის განვითარებას და პროექტის მიზნების შესრულებას:

- სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა
- ტურიზმის განვითარება
- ახალგაზრდების და ქალების ეკონომიკურად გაძლიერება
- ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაცია
- გარემოს დაცვა
- განათლება, კულტურა, სპორტი და ახალგაზრდები
- სხვადასხვა სფერო

თითოეულ არეალს აქვს განვითარების შესაბამისი მიზნები, რომლებიც მიიღწევა კონკრეტული ამოცანებისა და აქტივობების განხორციელების შედეგად. ამოცანების შესრულების დროს მნიშვნელოვანია პროექტის თანამშრომლობა სხვადასხვა სააგენტოს, მუნიციპალიტეტისა და დონორი ორგანიზაციების მხრიდან ინიცირებულ პროექტებთან.

მოქმედების არეალი: სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა

განვითარების მიზანი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ღირებულებათა ჯაჭვის განვითარება

ქმედების მიზანი: არსებული პოტენციალის მაქსიმალურად ათვისებით მუნიციპალიტეტში მაღალი ღირებულების, ბაზარზე მოთხოვნადი პროდუქციის წარმოება და გადამუშავება (მეურნეობების მცირე ზომის გათვალისწინებით)

ინდიკატორი: მუნიციპალიტეტში წარმოებული პროდუქციის რაოდენობის ზრდა; მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებით შექმნილი დამატებითი ღირებულება; ადგილობრივი პროდუქციის ცნობადობის ზრდა

ამოცანა 1	ამოცანა 2	ამოცანა 3	ამოცანა 4
კლიმატგონივრული პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების პრაქტიკის დანერგვა	გადამამუშავებელი და მოსავლის აღების შემდგომი დამუშავების ინფრასტრუქტურის განვითარებით რეგიონში დამატებითი ღირებულების შექმნა	ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია და მარკეტინგული მხარდაჭერა	ბაზარზე წვდომის გაუმჯობესება
● სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების წახალისება; ● ბაზარზე მოთხოვნადი, მაღალშემოსავლიანი კულტურების, ჯიშების და ჰიბრიდების დანერგვა; ● პირველად წარმოებაში ხარისხის სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა ● რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვა; ● კენკროვანი, კურკოვანი და ბოსტნეული კულტურების წარმოების ხელშეწყობა ● ახალი ჯიშებისა და კულტურების პოპულარიზაცია; ● საკონსულტაციო სერვისპროვაიდერების გაძლიერება/შექმნა (პირველადი პროდუქციის წარმოების მიმართულებით); ● ფერმერების შესაძლებლობების გაძლიერება კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის მიმართულებით	● სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის შექმნა; ● სამაცივრე, სასაწყობე ინფრასტრუქტურის განვითარება; ● კენკროვანი კულტურებისთვის მობილური წინასწარი გაგრილების სისტემების დანერგვა, რითაც შესაძლებელი იქნება მცირემიწიანი ფერმერებისთვის სერვისის მიწოდება ● ადგილობრივი ჯიშების ღვინის წარმოება და პოპულარიზაცია; ● მშრალი ხილისა და ბოსტნეულის წარმოება; ● თხილის შემგროვებელი, საშრობი და გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა;	● ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მიღების მხარდაჭერა; ● პროდუქციის ბრენდირება; ● გამოფენებისა და ფესტივალის ორგანიზება, სხვა ღონისძიებების დაგეგმვა და მათში მონაწილეობის ხელშეწყობა; ● მარკეტინგული მიმართულებით საკონსულტაციო ორგანიზაციების გაძლიერება	● პროდუქციის ბრენდირებისა და შეფუთვის გაუმჯობესება; ● მცირემიწიანი ფერმერების დაკავშირება კონსოლიდატორებთან და გადამმუშავებლებთან; ● მწარმოებლების საბაზრო კავშირების გაძლიერება და ადგილობრივ თუ საექსპორტო ბაზრებთან მათი დაკავშირება; ● სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეგიონის ტურისტულ ბაზრებთან დაკავშირება; ● მალფუჭებადი პროდუქციის ლოჯისტიკური პრობლემების გადაწყვეტა; ● ადგილობრივი წარმოების პროდუქციის შესახებ ინფორმაციის ადგილობრივ და საერთაშორისო online-გაყიდვების არხებზე განთავსების ხელშეწყობა

	● მეფუტკრეობის პროდუქტების გადამუშავება, მაღალი ხარისხის თაფლის წარმოებისთვის მცირე ზომის გადამმუშავებელი ინფრასტრუქტურის განვითარება ● სურსათის უვნებლობის სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა ● ენერგოეფექტური ტექნოლოგიებისა და განახლებადი ენერგიის დანერგვის ხელშეწყობა ● მწარმოებლების შესაძლებლობების გაძლიერება სასურსათო ტექნოლოგიებში ● საკონსულტაციო სერვისპროვაიდერების გაძლიერება/შექმნა (შენახვა-გადამუშავების მიმართულებით)		
პროცესში ჩართული და დაინტერესებული მხარეები: ● საქართველოს მთავრობა ● საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ● ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო“ (RDA) ● სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“ ● სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“ ● სსიპ „მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტო“ ● სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ● ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია ● ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ● ადგილობრივი დარგობრივი ასოციაციები ● სოფლის მეურნეობის წარმოების საშუალებების მომწოდებლები			

მოქმედების არეალი: ტურიზმის განვითარება

განვითარების მიზანი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პოტენციალის ოპტიმალურად გამოყენებით ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაცია

ქმედების მიზანი: სოფლად ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაცია ტურიზმის განვითარების გზით

ინდიკატორი: ტურისტების რაოდენობის ზრდა; ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; ოზურგეთის, როგორც ტურისტული ადგილის, შესახებ ცნობადობის გაზრდა

ამოცანა 1	ამოცანა 2	ამოცანა 3	ამოცანა 4
ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ტურიზმის სექტორში ჩართული მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება	ტურიზმში ჩართული ბიზნესის ბაზარზე წვდომის გაუმჯობესება	ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	ტურისტული ადგილების პოპულარიზაცია და ოზურგეთის, როგორც ტურისტული თვალსაზრისით მიმზიდველი ადგილის, პოზიციონირება
● საოჯახო სასტუმროების, სასტუმროებისა და განთავსების სერვისის გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს ტურისტის ვიზიტის გახანგრძლივებას ან მისთვის შეთავაზებების დივერსიფიცირებას ● სასტუმროებისთვის/რესტორნებისთვის/ კვებითი მომსახურებისთვის/საოჯახო სასტუმროებისთვის დამატებითი სერვისების განვითარება, აგროტურისტული შეთავაზებების ჩათვლით ● ტურისტული სერვისების მიმწოდებლების მხარდაჭერა, რომლებიც ტურისტებს სთავაზობენ ინოვაციურ პროდუქტებს, მათ შორის, კულინარიის მასტერკლასებს; ადგილობრივი რეწვის განვითარებას ● საცხენოსნო, საკემპინგო, სალაშქრო და ველოტურების სერვისების მომწოდებლების აღჭურვა და/ან სერვისების განვითარების ხელშეწყობა ● არსებული საოჯახო ტიპის სასტუმროების პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება ● სასტუმროებსა და კვების ობიექტებში სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა ● ახალი საოჯახო ტიპის სასტუმროებისა და სხვა ობიექტების შექმნა და არსებულის გაძლიერება	● ბრენდის თანმიმდევრული მესიჯების, ლოგოსა და ვიზუალური მასალების შექმნა ● ვებგვერდის შექმნა, სადაც განთავსდება ტურისტული შეთავაზებები, რომლებიც მომხმარებელს მიაწვდის საჭირო ინფორმაციას და შესაძლებელი იქნება online-დაჯავშნა, საძიებო სისტემის ოპტიმიზაცია ● მაღალი ხარისხის მასალების, მათ შორის, სტატიების, ბლოგების, ვიდეორგოლებისა და ფოტოსურათების შექმნა ● სოციალური მედიის მართვა ● მიზნობრივი ციფრული რეკლამის შექმნა; online-სარეკლამო კამპანიისა და სოციალური მედიარეკლამების მართვა; ● სხვადასხვა ღონისძიებასა და ფესტივალებში მონაწილეობის მხარდაჭერა ● მომხმარებელთა უკუკავშირის მიღებისა და ანალიზის სისტემის შექმნა	● ტურისტული ობიექტების, სასტუმროებისა და კვების ობიექტების ერთიანი საინფორმაციო პორტალის შექმნა ● ტურისტული ნიშნების, ბილიკების, რუკების, მარშრუტების მოწყობა	● ახალი ტურისტული მარშრუტების შექმნა-პოპულარიზაცია ● ექსტრემალური და სამთო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა ● ფოლკლორის, ადგილობრივი სამზარეულოს, ღვინის ტურიზმის პოპულარიზაცია ● ტურისტული სააგენტოების, ტუროპერატორების გაძლიერება ● ადგილობრივი კულინარიული ტრადიციების შესწავლა და პოპულარიზაცია ● ნაკლებად ცნობადი კულტურული ძეგლების შესახებ ინფორმაციის მოპოვება ● ძველი ლეგენდების, თქმულებების, ისტორიების, მათ შორის, ცნობილი ადამიანების შესახებ ამბების მოძიება და „გაცოცხლება“ ● კულტურული მარშრუტების იდენტიფიცირება და მონიშვნა ● საინფორმაციო დაფების დამზადება და დამონტაჟება

● ხელნაკეთი ნივთებისა და სუვენირების წარმოების ხელშეწყობა ● ტურისტულ ობიექტებში განახლებადი ენერგიის წყაროების დანერგვის ხელშეწყობა			● გიდების გადამზადების (უცხო ენის ცოდნა) სერვისების დანერგვა ● ოზურგეთის 2-3-სთ-იანი საფეხმავლო სითი-ტურის პროგრამის შედგენა საინფორმაციო მასალის გამოყენებით
პროცესში ჩართული და დაინტერესებული მხარეები: ● საქართველოს მთავრობა ● საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ● სსიპ „საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია“ ● სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ ● სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ● ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია ● ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ● კერძო ბიზნესი ● დონორი ორგანიზაციები			

მოქმედების არეალი: ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაცია **განვითარების მიზანი:** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პოტენციალის ოპტიმალურად გამოყენებით ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაცია		
ქმედების მიზანი: სოფლად ეკონომიკური საქმიანობის დივერსიფიკაცია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების გზით **ინდიკატორი:** არასასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა; მუნიციპალიტეტში მოზიდული ინვესტიციები		
ამოცანა 1 ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა	**ამოცანა 2** ბიზნესისა და ინვესტორებისთვის მეგობრული გარემოს შექმნა	**ამოცანა 3** ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციებისა და სერვისების გაძლიერება
● სხვადასხვა სფეროში წარმოების ხელშეწყობა ● მომსახურების სფეროს განვითარების ხელშეწყობა ● სამეწარმეო და ბიზნესუნარების განვითარების ხელშეწყობა	● ღია სივრცე განვითარებისთვის ● საინვესტიციო პროფილის შემუშავება (შეთავაზებები, ინვესტორის მომსახურების სტანდარტები) ● Start-up ეკოსისტემის განვითარების მხარდაჭერა ● მუნიციპალიტეტში არსებულ მსხვილ ბიზნესთან თანამშრომლობის გაძლიერება ● ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობა ● ინვესტიციების მოზიდვა	● საკონსულტაციო ორგანიზაციების განვითარება ფინანსებზე ხელმისაწვდომობის, მარკეტინგის, ხარისხის და გარემოსდაცვითი სტანდარტების მიმართულებით
პროცესში ჩართული და დაინტერესებული მხარეები: ● მუნიციპალიტეტის მერია ● საქართველოს მთავრობა ● საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ● საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ● საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ● საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ● სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ● ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო“ (RDA) ● საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა ● სსიპ „აწარმოე საქართველოში“ ● ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ● სადაზღვევო ორგანიზაციები ● ადგილობრივი დარგობრივი ბიზნესასოციაციები ● ტურისტული ოპერატორები და სააგენტოები ● კერძო ინვესტორები ● არასამთავრობო, დონორი და პარტნიორი ორგანიზაციები		

მოქმედების არეალი: ახალგაზრდების და ქალების ეკონომიკურად გაძლიერება

განვითარების მიზანი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი წარმოადგენდეს ახალგაზრდებისთვის სასურველ ადგილს

ქმედების მიზანი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ხარისხიანი, ახალგაზრდებისთვის მიმზიდველი განათლების შეთავაზება, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული განათლების, ფორმალური და არაფორმალური განათლების მომზადება/გადამზადების პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტული და გასართობი აქტივობების შეთავაზება

ინდიკატორი: ახალგაზრდებისა და ზრდასრულთათვის შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული გადამზადების კურსებისა და პროგრამების შეთავაზება; მუნიციპალიტეტში სპორტული აქტივობების დაგეგმვა და სხვა მუნიციპალიტეტების ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება; სოფლებში ახალგაზრდული ცენტრების ფუნქციონირება

ამოცანა 1	ამოცანა 2	ამოცანა 3
ახალგაზრდებში შრომის ბაზარზე მოთხოვნადი უნარების განვითარება	ახალგაზრდებში მეწარმეობის და ICT უნარების განვითარება	ქალების ეკონომიკურად გაძლიერება
● საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; ● კერძო სექტორის ჩართულობით სხვადასხვა მიმართულებით პროფესიული გადამზადების კურსების დანერგვა (ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, გიდების გადამზადება, სტუმარ-მასპინძლობის მენეჯმენტი) ● პროფესიული განათლების პოპულარიზაცია/ხელშეწყობა ● ფორმალური და არაფორმალური განათლების პროვაიდერების განვითარება ● კერძო სექტორის მხრიდან სტაჟირების პროგრამების შეთავაზება	● პროფესიულ კოლეჯებსა და სკოლებში არაფორმალური ექსტრაკურიკულური აქტივობების დანერგვის ხელშეწყობა (პროფესიული უნარების სააგენტოსთან თანამშრომლობით) ● სამეწარმეო უნარების ამაღლების მოკლევადიანი კურსების დანერგვა ● ჰაკათონების, იდეათონების მოწყობა (კერძო სექტორთან თანამშრომლობით) ● ტექნოლოგიური კვირეულების მოწყობა	● მეწარმე ქალების ხელშეწყობა ● ქალთა სამეწარმეო უნარების გაძლიერება ● ღონისძიებები ცნობიერების ასამაღლებლად

პროცესში ჩართული და დაინტერესებული მხარეები:

- საქართველოს მთავრობა
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
- პროფესიული უნარების სააგენტო
- საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო
- სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები და სკოლები
- პროფესიული განათლების დაწესებულებები
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია

მოქმედების არეალი: განათლება, სპორტი და კულტურა **განვითარების მიზანი:** ოზურგეთის მუნიციპალიტეტი წარმოადგენდეს ახალგაზრდებისთვის სასურველ ადგილს			
ქმედების მიზანი: ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ხარისხიანი, ახალგაზრდებისთვის მიმზიდველი განათლების შეთავაზება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტული და გასართობი აქტივობების შეთავაზება **ინდიკატორი:** მუნიციპალიტეტში სპორტული აქტივობების დაგეგმვა და სხვა მუნიციპალიტეტების ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება; სოფლებში ახალგაზრდული ცენტრების ფუნქციონირება			
ამოცანა 1 ფორმალური და არაფორმალური განათლების გაძლიერება/ განვითარება	**ამოცანა 2** ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტული და გასართობი აქტივობების შეთავაზება	**ამოცანა 3** სოფლად ახალგაზრდული აქტივობების ხელშეწყობა	**ამოცანა 4** მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა
● სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ● ბიბლიოთეკების მოდერნიზაცია/მოწყობა ● ბაღებში სათამაშო მოედნების მოწყობა ● სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა ● წრეების, სტუდიების მუშაობის ხელშეწყობა და ახალი აქტივობები ● საზაფხულო სკოლების მოწყობა ● სკოლებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება ● მასწავლებლების გაძლიერება სხვადასხვა მიმართულებით	● სპორტული მოედნებისა და სხვა სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა/ გაუმჯობესება ● შეჯიბრებებისა და სპორტული აქტივობების ორგანიზება	● სკოლებში საერთო სამუშაო სივრცეების მოდერნიზაცია/ მოწყობა ● სოფლად ახალგაზრდული ცენტრების მოწყობა ● ბანაკების მოწყობა ● საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტერნეტზე წვდომის უზრუნველყოფა ● სოფლად ბიბლიოთეკების განვითარება-მოდერნიზება ● სკოლებში ახალგაზრდული აქტივობების ორგანიზება ● სხვადასხვა მიმართულებით ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების ორგანიზება და მათში მასწავლებლებისა და მოსწავლეების ჩართვის უზრუნველყოფა	● კვლევები, კულტურული ძეგლების კეთილმოწყობის მხარდაჭერა; ● ძეგლების პოპულარიზაცია და ამ მიმართულებით საინფორმაციო კამპანიის მხარდაჭერა

პროცესში ჩართული და დაინტერესებული მხარეები:

- საქართველოს მთავრობა
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
- პროფესიული უნარების სააგენტო
- საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო
- სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
- სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები და სკოლები
- პროფესიული განათლების დაწესებულებები
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია

მოქმედების არეალი: გარემოს დაცვა (ბუნებრივი საფრთხეების შემცირება) და ბუნებრივი რესურსების მართვა **განვითარების მიზანი:** „მწვანე გურიის“ კონცეფციის დანერგვა				
ინდიკატორი: რეგიონში არსებული გარემოს დაცვის პრობლემების თაობაზე ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდილი დონე; არასათანადოდ განთავსებული მუნიციპალური ნარჩენების შემცირებული რაოდენობა; გადაუდებელ სიტუაციებში რეაგირების გაზრდილი ეფექტურობა; ეროზიული და ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცველი ადგილების იდენტიფიცირება; მუნიციპალიტეტში კლიმატგონივრული სასოფლო პრაქტიკის დანერგვა; წარმოებაში ენერგოეფექტური წარმოების ხაზებისა და განახლებადი ენერგიის წყაროების დანერგვა				
ამოცანა 1 ეკომეგობრული ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა	**ამოცანა 2** გარემოსდაცვითი გამოწვევების შესახებ ცნობიერების ამაღლება	**ამოცანა 3** კატასტროფის რისკებზე რეაგირების ეფექტურობის გაზრდა; ბუნებრივი საფრთხეების შესახებ დროული შეტყობინება; ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად გამოწვეული ზარალისა და დანაკარგის შემცირება	**ამოცანა 4** ეროზიისგან დაზიანებული ნიადაგის აღდგენა	**ამოცანა 5** ნარჩენების მართვის მდგრადი პრაქტიკის დანერგვა
● განახლებადი ენერგიის წყაროების დანერგვის ხელშეწყობა ● ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა ● მსხვილ და საშუალო ბიზნესთან თანამშრომლობა და მათი სოციალურ-კორპორაციული პასუხისმგებლობის ფარგლებში ერთობლივი ღონისძიებების დანერგვა ● სასარგებლო წიაღისეულის მდგრადი მოპოვების შესახებ ცნობიერების ამაღლება	● გარემოსდაცვითი აქტივობების ორგანიზება ● ცნობიერების ასამაღლებლად ღონისძიებების ჩატარება ● საინფორმაციო კამპანიის ორგანიზება და დასუფთავების აქციების ჩატარება ● მიუსაფარ (ქუჩაში მცხოვრებ) ცხოველებზე ზრუნვა	● მუნიციპალიტეტის კატასტროფის რისკის შემცირების გეგმის (DRR) განხორციელების ხელშეწყობა ● ადრეული გაფრთხილების სისტემების განვითარების ხელშეწყობა ● კატასტროფების რისკების მართვის მიმართულებით მუნიციპალიტეტის როლის შესახებ ცნობიერების ამაღლება და შესაძლებლობების გაძლიერება	● ეროზირებული და მეწყერსაშიში ტერიტორიების იდენტიფიკაცია ● დეგრადირებული მიწისა და ტყის აღდგენის ხელშეწყობა ● ბიოინჟინრული ლანდშაფტის აღდგენის ღონისძიებების დანერგვა-პოპულარიზაცია ● კლიმატგონივრული, საადაპტაციო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის ხელშეწყობა	● ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება ● ბიზნესორგანიზაციების მიერ ნარჩენების მართვის მდგრადი პრაქტიკის დანერგვა/ პილოტირება

პროცესში ჩართული და დაინტერესებული მხარეები: ● საქართველოს მთავრობა ● საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ● გარემოს ეროვნული სააგენტო ● ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ● მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო ● ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია

მოქმედების არეალი: სხვადასხვა სფერო **განვითარების მიზანი:** ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ცხოვრების ხარისხის ამაღლება			
ამოცანა 1 ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სოციალური და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება	**ამოცანა 2** საერთო სარგებლობის სათემო პროექტების განხორციელება	**ამოცანა 3** ინოვაციური პროექტების განხორციელება	**ამოცანა 4** ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციებისა და სერვისების გაძლიერება

ოზურგეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგია

(2024 – 2029 წწ)

მწვანე გურია
GREEN Guria